

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო
უნივერსიტეტი

ლიანა ზედგინიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

კარტოფილის რეგიონული ბაზრის ფორმირების ძირითადი
მიმართულებები
(სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე)

სპეციალობა - 02.00.13. სატყეო მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და
მიწათმოწყობის ეკონომიკა

მეცნიერ-ხელმძღვანელი - ომარ ქეშელაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

თბილისი - 2006

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი;

თავი I. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის ფორმირების თეორიული საფუძვლები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში;

1.1. საბაზრო ეკონომიკური სისტემის დახასიათება, ძირითადი მოთხოვნები და მოტივაციები;

1.2. რეგიონული სასურსათო ბაზრის ფორმირების ძირითადი მიმართულებები და ფუნქციონირების საფუძვლები;

1.3. სოფლის მეურნეობის დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები და მაჩვენებელთა სისტემა;

თავი II. მეკარტოფილეობის განვითარების თანამედროვე დონე, ხელშემწყობი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები და როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

2.1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეკარტოფილეობის სხვა დარგებთან შეთანაწყობილი ფუნქციონირების ეკონომიკური პარამეტრები და კონცეპტუალური პოზიციები;

2.2. მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო და საკვლევი რეგიონის პრიორიტეტულობა;

2.3. მეკარტოფილეობის როლი და ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. განვითარების ზონალურ-დიფერენცირებული ეკონომიკური პარამეტრები და დარგთაშორისი პროპორციები;

2.4. მეკარტოფილეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კანონზომიერებები და ეფექტიანობა;

2.5. მეკარტოფილეობის პროდუქციით უზრუნველყოფის დონე სასურსათო უსაფრთხოების საერთო სისტემაში;

თავი III. მეკარტოფილეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა სისტემა;

- 3.1. სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის გამოყენება კარტოფილის წარმოებასა და რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში;
- 3.2. კარტოფილის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხის დასაბუთება მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით;
- 3.3. მეკარტოფილეობის ოპტიმალური შეთანაწყობა სხვა დარგებთან და კულტურებთან;
- 3.4. კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მენეჯმენტი და სახელმწიფო რეგულირების სისტემა; დასკვნები და წინადადებები; გამოყენებული ლიტერატურა;

შესავალი

თემის აქტუალობა და დასაბუთება. ამჟამად, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და მოტივაციების შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრარული სექტორის თითოეული სფეროს ურთიერთშეწონასწორებულ ფუნქციონირებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ზონალურ და მიკროზონალურ თავისებურებებს.

ამ თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის დარგობრივ ჭრილში დიდ მნიშვნელობას იძენს მეკარტოფილეობის დარგი, რომლის განვითარებისათვის საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, როგორც სამთო, ისე საგარეუბნო რეგიონებში, საკმაოდ ხელშემწყობი პირობები არსებობს. ამიტომაც, მის დინამიურ და სხვა დარგებთან პროპორციულ განვითარებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში მეცნიერული გამოკვლევები სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგის განვითარების პრობლემების ირგვლივ მრავალი წელია რაც მიმდინარეობს, თუმცა, იგი არა თუ არ კარგავს აქტუალობას, არამედ, სრულიად ახლებური მიდგომით, დაკავშირებებითა და გააზრებით გადაწყვეტას ითხოვს. ეს განპირობებულია იმით, რომ ახლა ეკონომიკისადმი დამოკიდებულება უცილობლად მოითხოვს საბაზრო მოტივაციების, მარკეტინგული პოზიციების, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებას, წარმოების ოპტიმიზაციისა და რაციონალიზაციის უზრუნველყოფას.

ყოველივე ამას უნდა შეეთანაწიოს და მოერგოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე სისტემა, როგორც ზემოთ აღნიშნული პირობებისა და ამოცანების გადაწყვეტის საფუძველი და ფუძემდებლური ეკონომიკური პოზიცია.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგის განვითარებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემებს ბევრი გამოჩენილი და ავტორიტეტული მეცნიერი სწავლობდა, რომელთა ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს შემდეგ მეცნიერთა: ი. ჯაშის, პ. ჟღენტის, ვ. პაპუნძის, ო. ტატიშვილის, კ. გიორგაძის, რ. ანდლულაძის, ვ. ბურკაძის, ო. ქეშელაშვილისა და სხვების დიდი ღვაწლი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლევათა მიზანია საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით მეკარტოფილეობის გაადგილებისა და განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის ზონალურ-დიფერენცირებული სისტემისა და კარტოფილის რეგიონული ბაზრის ფორმირების ძირითადი მიმართულებების დამუშავება.

ამ მიზნის მისაღწევად გადაწყდა შემდეგი ამოცანები:

- შესწავლილია სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის თეორიული საფუძვლები. განსაზღვრულია მისი როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები;
- შესწავლილია მეკარტოფილეობის გაადგილებისა და განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო და ზონალური თავისებურებები;

- განსაზღვრულია მეკარტოფილეობის როლი და ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში და მისი განვითარების ზონალურ-დიფერენცირებული ეკონომიკური პარამეტრები;
- შესწავლილია მეკარტოფილეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები;
- განსაზღვრულია მეკარტოფილეობის პროდუქციით უზრუნველყოფის დონე სასურსათო უსაფრთხოების საერთო სისტემაში;
- დადგინდა მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ზონალურ-დიფერენცირებული მოდიფიკაციები;
- შესრულდა მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი;
- განისაზღვრა და დადგინდა მეკარტოფილეობის განვითარების პერსპექტიული სარეკომენდაციო ოპტიმიზებული ეკონომიკური პარამეტრები;
- გაანგარიშებულია მეკარტოფილეობის განვითარების პროგნოზირებული ეკონომიკური ეფექტიანობა;
- დასახულია მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის ამადლების გზები.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს მეკარტოფილეობის დარგი ზონალურ-დიფერენცირებული მიდგომითა და დაკავშირებებით.

კვლევის მეთოდოლოგია. გამოკვლევათა თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური თეორია, საბაზრო ურთიერთობათა მოტივაციური მექანიზმი, მართვისა და პროგნოზირების ტექნოლოგიები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორცაა: ეკონომიკურ-სტატისტიკური, ფუნქციონალური ანალიზის, სისტემური და კორელაციური მიდგომის, პროგნოზირების.

კვლევის მეთოდოლოგიური არსენალი მოიცავდა: ოფიციალურ ეკონომიკურ-სტატისტიკურ ინფორმაციას, მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ეკონომიკურ შეხედულებებსა და დასკვნებს, გაეროს ოფიციალურ პუბლიკაციებსა და ამ ორგანიზაციის მიერ, ავტორის თანამონაწილეობით, დამუშავებულ დოკუმენტებს.

კვლევის მეცნიერული სიახლე.

- საქართველოში მეკარტოფილეობის გაადგილების, სპეციალიზაციის თავისებურებების და კანონზომიერებების გათვალისწინებით, პირველად არის შესწავლილი კარტოფილის რეგიონული ბაზრის ფორმირების პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

- შესწავლილია მეკარტოფილეობის გაადგილებისა და განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო, ზონალური თავისებურებების გათვალისწინებით;

- განსაზღვრულია მეკარტოფილეობის როლი და ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები;

- პირველად დადგინდა მეკარტოფილეობის განვითარების

ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ზონალურ-დიფერენცირებული მოდიფიკაციები;

- შესრულდა მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი;

- განისაზღვრა და დადგინდა მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკური პროგნოზირებული სარეკომენდაციო ოპტიმიზირებული პარამეტრები და მისი ამადლების გზები;

- მოცემულია კარტოფილის რეგიონული ბაზრის ფორმირებისა და სრულყოფის ეკონომიკური პარამეტრები და პროგნოზული რეკომენდაციები;

- წარმოდგენილია მეკარტოფილეობის მენეჯმენტის სრულყოფისა და მისი სახელმწიფო რეგულირების სისტემური რეკომენდაციები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობის იმაში, რომ კვლევის შედეგების გამოყენებამ უნდა სრულყოს და გააუმჯობესოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია, ხელი შეუწყოს მარკეტინგული სიტუაციის გაუმჯობესებასა და სასურსათო უსაფრთხოებას და საბოლოო ჯამში, უზრუნველყოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდა.

კვლევის შედეგად მიღებული პარამეტრები, დასკვნები და წინადადებები შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრარული რეფორმების გატარებისას - შესაბამისი სამინისტროების, ფერმერული და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

ნაშრომის მოცულობა და პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდ 146 გვერდზე. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ექვს სამეცნიერო ნაშრომში.

თავი 1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის ფორმირების თეორიული საფუძვლები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში

1.1. საბაზრო ეკონომიკური სისტემის დახასიათება, ძირითადი მოთხოვნები და მოტივაციები

ეკონომიკა - ესაა მეცნიერება შეზღუდული რაოდენობის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და მათი საშუალებით წარმოებული პროდუქციის რაციონალური განაწილების შესახებ. დღეისათვის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, როგორც კონკრეტული დარგი, მთლიანად წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი მიწის კერძო საკუთრებაში მფლობელი ოჯახური, ანუ გლეხური და ფერმერული მეურნეობაც, აწარმოებს რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და რეალიზაციას უკეთებს მას ბაზარზე, იღებს მოგებას, ანუ რაც რჩება შემოსავლიდან ყველა სახის ხარჯების გასტუმრების შემდეგ და ამრიგად, მას უჩნდება შრომითი და ფულად-მატერიალური რესურსების ეკონომიის მძლავრი სტიმული.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის რეალიზაცია თვით წარმოების პროცესში, რადგან ბაზარს შეუძლია ტექნოლოგიისა და მოთხოვნილებისადმი სწრაფი ადაპტირება.

საბაზრო სისტემაში მეურნეობები ერთმანეთს ეჯიბრებიან თავიანთი პროდუქციის გასაღებაში. მათი მთავარი საზრუნავი ხდება მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რაც სტიმულს ქმნის ისეთი ახალი სახის პროდუქციის წარმოებისათვის, რომელიც უფრო უკეთ აკმაყოფილებს მყიდველთა მოთხოვნილებებს. საწარმო, რომელიც

წარმატებებს აღწევს ნოვატორულ საქმიანობაში, იკავებს ბაზრის მეტ სეგმენტს (ნაწილს, ნიშას), ხოლო ის საწარმო, რომელიც ვერ ახერხებს გააუმჯობესოს თავისი პროდუქციის ხარისხი და ამით გაზარდოს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, იძულებული ხდება შეამციროს წარმოება და გაკოტრდეს კიდევ.

ასე რომ, საბაზრო ეკონომიკას აქვს წარმოების სტრუქტურული გარდაქმნის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ისეთ ტექნიკურ პროგრესს, რომელიც მიესადაგება მოთხოვნილებების ცვლილებათა ხასიათს.

მსოფლიოში არსად აღარ არსებობს ე.წ. „წმინდა“ საბაზრო ეკონომიკა, სადაც ყველა პრობლემა გადაწყდება აბსოლიტურად თავისუფალ ბაზარზე. საბაზრო ეკონომიკის სისტემის ნებისმიერი სახე წარმოადგენს „შერეულს“, რადგან თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს - მწარმოებლებისა და მომხარებლებისა და გარკვეული კანონმდებლობითი ურთიერთობათა ნორმებით, ბაზარზე „თამაშის წესებით“ და სხვა.

საბაზრო ეკონომიკა, გარდა რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა, უზრუნველყოფს შემოსავლის სამართლებრივ განაწილებას.

ბაზრის ნორმალური მუშაობის ძირითადი პირობაა არჩევითობის შესაძლებლობა, როგორც მწარმოებლისათვის, ისე მომხმარებლისათვის, ანუ მონოპოლიზმის დაუშვებლობა.

საბაზრო ეკონომიკის პროგრესულობა განისაზღვრება იმით, რომ იგი ქმნის პიროვნების პოტენციური შესაძლებლობის, ნიჭის

გახსნისა და საკუთრების ყველა ფორმის სამართლებრივი დაცვის პირობებს. მხოლოდ ბაზარს შეუძლია რეალიზაცია გაუკეთოს პრინციპს: თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს - შრომის შედეგების მიხედვით. ბაზარი განსაკუთრებით რთული და ობიექტური მექანიზმია. იგი სულაც არაა სტიქიური, არამედ სისტემაა, რომელიც ემყარება ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს.

მაგრამ არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის, როგორც რაღაც მაგიური სისტემის სახით წარმოდგენა, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს მატერიალური კეთილდღეობის სიუხვის ამოცანა საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის.

იმის გამო, რომ შეზღუდული ვართ რესურსების მარაგებით, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს პრიორიტეტების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი თავისუფალი და დამოუკიდებელი მწარმოებლები უკვე თვითონ წყვეტენ - რა სახის პროდუქცია აწარმოონ, რა რაოდენობით, როგორი ხარისხის, როგორი ფასით გაყიდონ იგი. ამიტომ, იმ შემთხვევაში (და ეს არც თუ იშვიათად ხდება), როცა პროდუქციის მიწოდება და მოთხოვნილება, რომელთა შექენაც სურთ მყიდველებს, არ ემთხვევა ერთმანეთს, წარმოიქმნება დაბალანსების მექანიზმის პრობლემა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფერმერულ მეურნეობათა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დიდ როლს თამაშობს ფასები. ფასების საშუალებით მომხმარებლები იღებენ ინფორმაციას - რა თანხა შეუძლიათ აიღონ, რათა იყიდონ ესა თუ ის პროდუქტი, ხოლო მწარმოებლები წარმოდგენას იღებენ იმის შესახებ, მოგების რა მოცულობას მიიღებენ თავიანთი პროდუქციის წარმოებისა და

რეალიზაციის შედეგად. საკმარისია იცოდნენ ამ პროდუქციის წარმებაზე გახარჯული შრომის, კაპიტალის, ნედლეულის მოცულობის ღირებულება. სხვაობა მათ შორის არის მოსალოდნელი მოგება. ეცოდინება რა ეს, მწარმოებელი წყვეტს რა და რა რაოდენობით აწარმოოს. ასე რომ, ფასები იძლევა ინფორმაციას წარმოების ღირებულებისა და გადახდის მზადყოფნის შესახებ.

გადაწყვეტილებების დეცენტრალიზებულმა მიღებამ, რაზეც დაფუძნებულია საბაზრო ეკონომიკა, უჩვენა თავისი უპირატესობა გეგმიურ ეკონომიკასთან შედარებით.

როცა ყველა მსურველს შეუძლია იყიდოს პროდუქცია დადგენილი ფასით და ყველა მწარმოებელი თანახმაა აწარმოოს იგი იმავე ფასებით, ბაზარზე მყარდება მიწოდებასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობა, რასაც საბაზრო გაწონასწორება ეწოდება. [70]

შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის ყურადღების ცენტრში დგას მომხმარებლის ინტერესები. საბოლოო ჯამში, სწორედ ის განსაზღვრავს წარმოების სტრუქტურას და განაწილებას. მწარმოებელი ემსახურება მომხმარებელს.

მაგრამ საბაზრო ეკონომიკასაც აქვს თავისი სუსტი მხარეები. მათგან თავდასაღწევად არის მცდელობა წავიდნენ სხვა გზითაც, ე.წ. „საბაზრო სოციალიზმის გზითაც“ - როცა სახელმწიფო არ განსაზღვრავს მწარმოებლისათვის კონკრეტულ საგეგმო დავალებებს, მაგრამ ადგენს ფასების დონეს სხვადასხვა სახის საარსებოდ საჭირო, აუცილებელ პროდუქტზე, რათა ფერმერები თვითონ მიერგონ მათ. ამით ვლენულობთ საბაზრო ეკონომიკის იმიტაციას მისი ფაქტიური დანერგვის გარეშე, რადგან შემოსავლის განაწილება მაინც ხდება ცენტრალიზებული გზით (ამის მაგალითია ჩინეთი). ასე

რომ, ამ შემთხვევაში, „უხილავი ხელი“ კი არ აწონასწორებს ბაზარს, არამედ გაწონასწორება ხდება სახელმწიფოს ჩარევით.

კერძო საკუთრებისა და კოორდინაციის შეთანაწყოება დაგეგმვით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდიკატური დაგეგმვის მაგალითი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში, ჯერჯერობით, ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა, საფრანგეთში, დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში მან გაამართლა, რადგან სამთავრობო სტრუქტურები პირდაპირ პროდუქციის ბაზარზე გაცვლის პროცესში კი არ ერევიან, არამედ მანამდე თანაბარ სასტარტო პირობებს უქმნიან, როგორც მწარმოებლებს, ისე მომხმარებლებს. ამითაა განპირობებული ამ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების შედარებით მაღალი დონე. მოსახლეობა უამრავი სახის გადასახადით იბეგრება, მაგრამ ამაზე არავინ ჩივის, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ეს თანხები ნამვილად იხარჯება მათი კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე [56].

ამით ფერმერებიც სარგებლობენ და ისეთი მაღალი სახის პროდუქციას აწარმოებენ, რომ კონკურენციას უწევენ გარე ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას, რაც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ჩვენს ბაზარზე ასეთი სიტუაციის შექმნა ძალზე საშური საქმეა, რადგან ბაზრის ნახევარი გაჯერებულია იმპორტული პროდუქტებით, რომელიც ჩვენი გლეხების მიერ წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით დაბალი ფასებით იყიდება. დარიბ-დატაკ მოსახლეობას მათი ყიდვა უფრო ხელეწიფება. ეს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას იწვევს.

მთლიანი შიდა პროდუქტი გამოსახავს ქვეყნის ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ ღირებულებას. ამავე დროს, იგი წარმოადგენს საერთო ეროვნული

შემოსავლის დონეების მაჩვენებელს, ანუ მუშა- მოსამსახურეების შრომით შემოსავლებს, ფირმების, კომპანიების და ა.შ. მათ შორის, გლეხური და ფერმერული მეურნეობის მიერ მიღებული მოგების თანხებს, უფრო მეტიც, მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კერძო მესაკუთრე პირების, საწარმოების, მთავრობისა და უცხოელი მოქალაქეების (ინვესტორების) დანახარჯები სამამულო საქონლის წარმოებაზე და მომსახურებაზე.

სახელმწიფო რომ შეძლებდეს რაიმე საშუალებით გაზარდოს ერთობლივი მიწოდება და ერთობლივი მოთხოვნა, შემცირდებოდა, როგორც უმუშევრობის, ისე ფასების დონე. მაგრამ დღემდე არ არის გამონახული ამ მიზნის მიღწევის ეფექტიანი გზა. ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი გზა გამონახა ევროკავშირმა. საერთო ბაზრის მეშვეობით, მასში საქონელი, მომსახურება, კაპიტალი და სამუშაო ძალაც თავისუფლად გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში (კავშირის ფარგლებში). ამით ზრდიან კონკურენციას და წარმოების ეფექტიანობის ცალკე აღებულ ქვეყნებში. ამიტომაც, რომ ამ კავშირში მოხვედრისათვის რიგია გამართული.

საბაზრო ეკონომიკამ დაამტკიცა, რომ იგი წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის მოქნილ, სიცოცხლისუნარიან სისტემას თანამედროვე საზოგადოებაში. მისი მოქნილობა, მნიშვნელოვანწილად, განპირობებულია გაკოტრების მექანიზმით. ნაკლია ის, რომ საწარმოთა გაკოტრების შედეგად, მეწარმეთა რიცხვი გადადის უმუშევართა რიგებში, თუმცა, მათ ადგილს სწრაფად იკავებენ უფრო ნიჭიერი, გერგილიანი და რისკიანები და, საერთო ჯამში, უმუშევართა რიცხვი იშვიათად აჭარბებს 10%-ს.

იმისათვის, რომ საბაზრო სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებდეს, საჭიროა დაცული იქნეს სამი პირობა მაინც: კერძო საკუთრება, კონკურენცია და საქონლის თავისუფალი გაცვლა. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაუშვას (სასამართლოს მეშვეობით) გაკოტრება (ბანკროტი) და ამრიგად შექმნას ეკონომიკური აღორძინებისა და აღზრდისათვის საჭირო პირობები.

იმისათვის, რომ ეკონომიკა, რომელიც უკვე ემყარება თავისუფალ ბაზარს, ფუნქციონირებდეს ნორმალურად, ხელისუფლების როლი უნდა შემოიფარგლოს ამასთან დაკავშირებული შემდეგი სამი პრობლემის გადაწყვეტით: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია; კონკურენციისა და თავისუფალი საქონელგაცვლის პირობა და სპეციალური კანონმდებლობის დამუშავება, რომელიც დაარეგულირებს ნებისმიერი საწარმოსა (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო) ბანკროტისა და ლიკვიდაციის წესებს.

ამ პრობლემების გადაწყვეტისას, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონკურენციის ქმედითობა, მაგრამ არ დაუშვას მონოპოლიზმის ტენდენცია. ამის გარდა, სასურველია სახელმწიფომ შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

1. საბაზრო სისტემის დაცვა;
2. საზოგადოებრივი სარგებლობის საქონლით და მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა;
3. თანამდევ ეფექტებზე მუშაობა;
4. სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების დახმარება;
5. ეკონომიკის სტაბილიზაცია ქვეყანაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის ყველა სექტორს, მართალია, თავისი განსხვავებული ინტერესები ამოძრავებს, მაინც ბევრი საერთო მიზანი აქვთ: სრული დასაქმება, ეკონომიკის ზრდა, ფასების სტაბილურობა, ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური უზრუნველყოფა, თანასწორობა და ეფექტიანობა.

ჩვენს ქვეყანაში წვრილი ოჯახური მეურნეობების წილად უკვე მოდის წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80-100 პროცენტი. მაგრამ ისინი ვერ უწევენ კონკურენციას ფერმერულ და სხვა ორგანიზაციული ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარება მათ დასახმარებლად. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროტექციონიზმი ქვეყნის შიდა ბაზარზე ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. შიდა ბაზარზე იმპორტული პროდუქცია უნდა იყიდებოდეს არა დემპინგური დაბალი ფასებით, არამედ საერთაშორისო ბაზრის ფასებით, მაშინ კონკურენცია მათთან ჯანსაღი იქნება. და მაინც, მათ არ უნდა ქონდეთ სახელმწიფოსგან დახმარების იმედი მოგების დაკარგვის შემთხვევაში. ისინი მინდობილი უნდა იყვნენ თავის თავზე და სწევდნენ პასუხისმგებლობას თავის ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობის შედეგებზე. მაშინ ისინი გადარჩენისათვის ბრძოლაში იძულებულები იქნებიან აამაღლონ პასუხისმგებლობის ხარისხი, შეცვალონ წარმოება როცა იცვლება მათზე, ტექნოლოგია და სხვა პირობები.

საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს გადაუჭრელი კონფლიქტები. ეკონომიკურ ურთიერთობათა თითოეული სუბიექტი აკეთებს იმას, რაც ყველაზე მეტად პასუხობს მის პირად ინტერესებს:

მომხმარებელი ისწრაფვის მიიღოს თავისი შემოსავლების და ფასების მოცემულ დონეზე რაც შეიძლება მეტი სამომხმარებლო სარგებელი, მწარმოებელი კი იღწვის მიიღოს რაც შეიძლება მაქსიმალური მოგება წარმოების შესაძლებლობათა და ფასების მოცემული დონის პირობებში.

საბაზრო ეკონომიკის ყველაზე რთულ დილემას წარმოადგენს უთანაბრობა შემოსავლების განაწილებისას. უთანაბრობა შეიძლება შევამციროთ ე.წ. პროგრესიული დაბეგვრის გამოყენებით, რომლის დროსაც მდიდრები იძულებულნი არიან გააკეთონ გაცილებით დიდი შენატანები ბიუჯეტში, ვიდრე მოსახლეობის სხვა ფენამ. ასეთი სხვაობით მიღებული თანხებიდან სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენები სხვადასხვა სახის ტრანსფერული ანაზღაურებით, ისეთების როგორცაა დახმარება დროებით შრომისუნარიანობის დაკარგვისას, ავადმყოფობისას ან უმუშევრობისას, შეღავათიანი პროცენტებით სესხების მიცემისას და სხვა. (61)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადარჩენისათვის ბრძოლა, განსაკუთრებით მაღალი შემოსავლებისათვის დიდ მოთხოვნებს უყენებს ყველას. გამუდმებით უნდა ვიდგეთ ახალი პრობლემების პირისპირ: შეიძლება თუ არა წარმოების ისეთი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზებული გარდაქმნა, რომ შევამციროთ წარმოების ხარჯები. პროდუქციის რომელ სახეს მივცეთ უპირატესობა მომავალში; ვინ არიან, ან იქნებიან ჩვენი კონკურენტები, როგორ სტრატეგიას აირჩევენ ისინი; რა სახის პროდუქცია იძლევა ზარალს, რათა შევწყვიტოთ მათი წარმოება; რამდენად დაკმაყოფილებულნი არიან ჩვენი პროდუქციით

მომხმარებლები და როგორ დავაინტერესოთ ისინი უფრო მეტად და სხვა.

როგორც საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა და ანალიზი გვიჩვენებს, სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ოცნებაც არ შეიძლება საგრძნობი მასშტაბებით სურსათის მწარმოებლების კომერციულ სასაქონლო ფერმებად გარდაქმნისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფომ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში უნდა გამოიყენოს პარიტეტის კონცეფცია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ვინაიდან სოფლის მეურნეობაში წარმოება, გასაგებ მიზეზთა გამო, მუდმივად დიდ რისკთან არის დაკავშირებული, თანაფარდობა დარგში წარმოებულ პროდუქციის ფასებსა და იმ რესურსების ფასებს შორის, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ პროდუქციის წარმოებაზე, უნდა რჩებოდეს მუდმივი და უზრუნველყოფდეს მწარმოებლისათვის მინიმალურ, გარანტირებულ შემოსავალს მაინც. ამას ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო არეგულირებს. ამიტომ ჩვენთან მითუმეტეს უნდა დამუშავდეს სურსათის მწარმოებელ მეურნეობათა (მეწარმეთა) მხარდაჭერი, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო პროტექციონიზმის პროგრამათა მთელი კომპლექსი.

ამაში უწინარეს ყოვლისა ვგულისხმობთ პარიტეტული ფასების საშუალებით ბაზრის ყველა სუბიექტის ინტერესების ოპტიმალურ შეთანწყოებას. ეს კი მიიღწევა სოფლის მეურნეობის დარგის დოტაციებით და სუბსიდიებით როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. მაგალითად 1990 წლისათვის ამ დარგში სახელმწიფო სუბსიდიების წილი დიდ ბრიტანეთში ტოლი იყო ფერმერების მიერ

წარმოებული პროდუქციის ღირებულების 48%-სა, აშშ-ში – 30%-ს, იაპონიაში – 68%-სა. (65).

სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივ დარეგულირებაში დიდი როლი ეკუთვნის აგრეთვე საგადასახადო სისტემას. სურსათის წვრილი მწარმოებლები უნდა დაიბეგრონ, რაც შეიძლება შეღავათებით, სამაგიეროდ ეს თანხა ამოღებულ იქნას გადასახადების გაზრდით შუამავალი სავაჭრო-გამსაღებლებ-გადამამუშავებელი საწარმოებისათვის.

ზოგიერთის პროტესტის მიუხედავად (თითქოს ეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დარღვევააო) მიგვაჩნია, რომ დაეუშვათ სოფლის მეურნეობაში პროდუქციის გარკვეული ასორტიმენტით და მოცულობით წარმოების სახელმწიფო დაკვეთითაც, მაგრამ ეს უნდა მოხდეს საკონტრაქტო ხელშეკრულებებით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება პროდუქციის შესყიდვა ფერმერისაგან ისეთი ფასებით, რომელიც აუცილებლად უზრუნველყოფს მათ გარანტირებულ შემოსავლის მიღებას გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მოქმედებს იგივე სართო ეკონომიკური კანონები, რაც ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში, მაგრამ მათი გამოვლენა ხდება მისი სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებით. მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. დღეისათვის წარმოება დარგში უპირატესად კერძო, გლეხური მეურნეობებით ხორციელდება, რომლებიც ძალზე წვრილ საწარმოო ერთეულებს წარმოადგენს. წვრილ მეურნეობებს კი, არ შეუძლიათ აწარმოონ იმდენი პროდუქცია, რომ რაიმე გავლენა იქონიონ საბაზრო ფასებზე. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გახდა დარგი სრულყოფილი კონკურენციით, რაც ეკონომიკის სხვა დარგებში ჯერჯერობით იშვიათია.

2. მიწა აქ წარმოადგენს წარმოების ძირითად საშუალებას, რესურსს. წარმოება დარგში ბევრად არის დამოკიდებული ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ნაყოფიერი ნიადაგებით კი სამთო მიწათმოქმედების პირობებში ძალზე შეზღუდულნი ვართ. ამით არის განპირობებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების დაბალი ელასტიკურობა. ასე რომ მიწა შეზღუდულ რესურსს წარმოადგენს, რაც იწვევს მიწის რენტის წარმოქმნის ფენომენს. მიწის რენტის თეორია შეადგენს აგრარული ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ განაკვეთს.

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ბევრად არის დამოკიდებული ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. ამიტომ წარმოების შედეგები კვლავ ძნელად პროგნოზირებადს განეკუთვნება. მათი მკვეთრი და ხშირი ცვალებადობის გამო, აგრარული სექტორი მასში ინვესტიციების ჩადების შედარებით რისკიან სფეროს განეკუთვნება.

4. ამასთან დაკავშირებით მომხმარებლისათვის სარგებლობის მიზნით პროდუქციის მრავალფეროვანი სახის წარმოება მათი ხარისხის შემდგომი ამაღლება ძალზედ რთული საქმეა, რადგან ამ პროდუქციების დივერსიფიკაციის შესაძლებლობითაც საკმაოდ შეზღუდულნი არიან ფერმერები. ფასების პარიტეტიც ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებსა და მათ წარმოებისათვის საჭირო წარმოების საშუალებათა ფასებს შორის გამუდმებით იცვლება არა აგრარული სექტორის სასარგებლოდ.

5. საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნების ფასების ელასტიურობა, როგორც წესი, ყოველთვის დაბალია (0.2-0.25). ამიტომ მომხმარებლები იძულებულნი არიან იყიდონ ისინი, აიწვეს თუ დაიწვეს ფასები მათზე, პრაქტიკულად უცვლელი მოცულობით. იმისთვის, რომ გლეხმა (ფერმერმა) 10%-ით გაზარდოს თავისი პროდუქციის რეალიზაცია, მათი ფასები უნდა შეამციროს 40-50%-ით.

6. სასოფლო-სამეურნეო სურსათზე მოთხოვნის მომხმარებლისათვის წარმოადგენს დაბალელასტიკურს შემოსავლების თვალსაზრისითაც. როცა მცირე შემოსავალი აქვს, მას პირველ რიგში კვებაზე ხარჯავს. როცა ფული გაუჩნდება, კვებაზე მაინც იმაზე მეტს არ ხარჯავს რაც მის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ასე რომ კლიენტის შემოსავლების ზრდა და სურსათზე მოთხოვნების ზრდა არაპროპორციულად ხდება.

7. სოფლის მეურნეობაში მუშაობა პრესტიჟულ და ვაჟკაცურ საქმედ ითვლება. შემოსავლების დაცემისას ბაზრის კანონებით ფერმერი უნდა გაკოტრდეს და უნდა გავიდეს ამ დარგიდან. ჩვენს პრაქტიკაში ეს არ ხდება. საქმე იმაშია, რომ ფერმერობა მათთვის არა მარტო წარმოების, არამედ ცხოვრების სფეროცაა. ამ სფეროში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეწევა არა მარტო როგორც ბიზნესს, არამედ საქმიანობს მიწის და სოფლად ცხოვრების სიყვარულის გამო. ფერმერთა დანახარჯების სტრუქტურაში მუდმივი ხარჯები აბსოლუტურად ჭარბობს ცვალებად ხარჯებს. როცა ფასები ბაზარზე ეცემა, მუდმივი აქტივობის შენახვაზე და მუშა მდგომარეობაში ყოფნაზე გასაწევი ხარჯების შემცირება მათ არ შეუძლიათ, არ შეუძლიათ არც მუშაკების შემცირება (ისინი ხომ მისი ოჯახის

წევრები არიან) და ამიტომ მაინც განაგრძობს თავის სამეურნეო საქმიანობას.

8. ამიტომ სოფლის მეურნეობაში რესურსების იმობილურობას მიეყვართ გრძელვადიანი ფერმერული პრობლემის გაღრმავებამდე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების, ფასის, შემოსავლების, დაბალი ელასტიკურობა, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულება და კონკურენცია ბაზარზე, ერთობლიობაში წარმოქმნის ე. წ. მოკლევადიან ფერმერულ პრობლემებს.

9. აგრარული ეკონომიკის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებების გარდა, საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ ეს სექტორი ხასიათდება საზოგადოების მისადმი განსაკუთრებული ურთიერთობით. მისი დასაცავი სახელმწიფო პოლიტიკური პროტექციონიზმის ფორმა, ყველა ქვეყანაში, ყველაზე მეტად ძლიერი, სწორედ ამ დარგში უნდა იყოს. ამის დასასაბუთებლად მრავალ არგუმენტთა შორის აღსანიშნავია მთავარი – ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა [39] და ტრადიციული სოფლის სახის ე.წ. სოფლის ლანდშაფტის შენარჩუნებისადმი მისწრაფება, რომელიც თავისი განუმეორებელი მშვენიერებით და სილამაზით წარმოადგენს ეროვნულ სიმდიდრეს და იგი არამცდაარამც არ უნდა დაგკარგოთ.

1.2. რეგიონული სასურსათო ბაზრის ფორმირების ძირითადი მიმართულებები და ფუნქციონირების საფუძვლები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენს ქვეყანაში ცვლილებები განიცადა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებამაც. მის სტრუქტურაში შემცირდა საექსპორტო მაღალშემოსავლიანი ისეთი პროდუქტების წარმოების ხვედრითი წილი, როგორცაა - ყურძენი, ხილი, ჩაი, ციტრუსები და სხვა. სამაგიეროდ, გაიზარდა სასიცოცხლოდ აუცილებელი ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორცაა - მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი, რძე და სხვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანას ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე საკუთარი, შიდა წარმოებით.

სასოფლო სამეურნეო წარმოების რაციონალური გაადგილება და სპეციალიზაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ემყარება რიგ პრინციპებს, რომელთაგან მთავარია ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების განლაგება და მასზე დასპეციალიზება იმ რეგიონებში, რის შედეგადაც მიიღწევა მისი მაქსიმალური მოცულობით წარმოება მატერიალური და შრომითი რესურსების მინიმალური დანახარჯებით, რათა მათი რეალიზაციით მიღწეული იქნას მაქსიმალური მოგების მიღება.

მაგრამ აღნიშნულ გარემოებათა გამო, აუცილებელი გახდა მრავალდარგოვან მეურნეობათა განვითარება, რამაც, როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენა, მიგვიყვანა სპეციალიზაციის დონის მკვეთრ დაცემამდე ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მთავარ ფორმას საანალიზო დარგში წარმოადგენს წარმოების გაადგილება, იგი

ყველა დარგს ეხება, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ასახავენ კვლავწარმოების ეკონომიკურ და ბუნებრივ პროცესთა კანონზომიერებებს. ასე მაგალითად, აქ წარმოების პროცესში მონაწილეობენ როგორც, წარმოების ტექნიკური და სხვა სახის (ძირითადად მიწა) ძირითადი საშუალებები, ისე ცოცხალი ორგანიზმები, მცენარეები და ცხოველები.

სოფლის მეურნეობის წარმოების გაადგილება წარმოადგენს ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების პროცესის გეოგრაფიულ განაწილებას ქვეყნის და მისი რეგიონების ტერიტორიაზე. უფრო სრულად სოფლის მეურნეობის წარმოების განლაგება ხასიათდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოების მოცულობა რეგიონებში და მათი ხვედრითი წონა მთლიან და სასაქონლო პროდუქციაში.

სოფლის მეურნეობის წარმოების რაციონალური გაადგილება ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით, წარმოადგენს პროდუქციას წარმოების გადიდების და გაიაფების მნიშვნელოვან პირობას. ამასთან ასეთი განლაგება ხელს უწყობს მიწის, ფულად-მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

შრომის ტერიტორიული დანაწილება ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციის განვითარებას ცალკეულ რეგიონებში (ზონებში), წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებას ხელს უწყობს აგრეთვე დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა. თავის მხრივ სპეციალიზაციის განვითარება არსებით გავლენას ახდენს წარმოების კონცენტრაციაზე.

ამრიგად, ეს სამი კატეგორია: განლაგება, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაში მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და ცვლილებებს ერთ-ერთ მათგანში, მიყვავართ არსებით ცვლილებებამდე დანარჩენებშიც. სპეციალიზაციის გაღრმავებას და კონცენტრაციას საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელს უწყობს მექანიზაციის ფართოდ გამოყენება, დარგის თანმიმდევრული ქიმიზაცია და ინტენსიფიკაცია. (42).

სოფლის მეურნეობის წარმოების სწორი სპეციალიზაციის დადგენა და მისი რაციონალური განაწილება ქვეყნის ტერიტორიაზე გაფართოებული კვლავწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მისი ოპტიმიზაცია საშუალებას იძლევა მივიღოთ დამატებითი წმინდა შემოსავალი (მოგება), ეფექტიანად გამოვიყენოთ ძირითადი და საბრუნავი აქტივები, უზრუნველვყოთ მატერიალური რესურსების თავისდროული და ხარისხობრივი უკუგება.

დარგის საბაზრო ეკონომიკაზე და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მასში წარმოიჩნდა წარმოების განლაგების ზოგიერთი ახალი თავისებურებები. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირების რღვევამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის და სამრეწველო პროდუქციების ფასებს შორის დისპროპორციის გაღრმავებამ ხელი შეუწყო აგრარულ სექტორში მატერიალური რესურსების შემცირებას და მისი განლაგების პროცესების დაცემას მეურნეობრიობის საბოლოო შედეგებზე.

საანგარიშო წლებში (1994-2004) შემცირდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა როგორც სასოფლო-სამეურნეო

წარმოების ისე სამრეწველო და დამამუშავებელი საწარმოების განლაგებზე. ამან კი, თავის მხრივ, მიგვიყვანა გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების შენელებამდე, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ისე მათი პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებშიც.

სოფლის მეურნეობის წარმოების განლაგების ეფექტიანობა ხასიათდება ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლების მთელი სისტემით. მათგან მთავარია: წარმოების მოცულობა, პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ, როგორც მოსახლეობის ისე მისი ნედლეულის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოების მოთხოვნილებები; შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე და ტრანსპორტირებაზე; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიდიდე დარგში დასაქმებულ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა და სახნავის ერთ ჰექტარზე; სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების და კაპიტალდაბანდებების ამოღება; წმინდა შემოსავლისა და მოგების თანხა ერთ ჰექტარ ფართობზე გაანგარიშებით;

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაადგილება ემყარება მნიშვნელოვან პრინციპებს, რომლებიც ასახავენ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობების ობიექტურ მოთხოვნებს. მათგან ძირითადს მიეკუთვნება:

1. წარმოების გაადგილება იმ რეგიონებში, სადაც მიიღწევა მთლიანი პროდუქციის მაქსიმალური მოცულობით წარმოება მატერიალური და შრომითი რესურსების მინიმალური დანახარჯებით;

2. წარმოების გაადგილება ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით იქ, სადაც შეიძლება მივაღწიოთ მემცენარეობის კულტურათა მოსავლიანობა ან პირუტყვის პროდუქციულობა მაღალია;

3. შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

4. ყველა სახის ტრანსპორტის და გზების განვითარების დონე;

5. სწორი პროპორციების დადგენა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მიერ წარმოებულ პროდუქციის ფასებს შორის;

6. სამრეწველო საწარმოების მიახლოება ნედლეულის ბაზრებთან, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა მათი პროდუქციის მომხმარებლებთან. ეს ამცირებს სატრანსპორტო დანახარჯებს. მაღფუჭადი პროდუქციის წარმოება მსხვილი ქალაქების ირგვლივ, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელ ქარხნებთან;

7. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზრის სრულყოფა;

8. ქვეყნის ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცება (57).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის შრომითი რესურსების გამოყენებას. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და ფონდ-ენერგო შეიარაღების მქონე რეგიონებში საჭიროა განვაღაგოთ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ყველაზე ინტენსიური დარგები, რომლებიც მოითხოვენ შრომის მნიშვნელოვან დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით.

სოფლის მეურნეობის წარმოების რაციონალური განლაგება უნდა განხორციელდეს აგრეთვე კონკრეტულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივ-ისტორიული ჩვევების, ადათ-წესების და რელიგიური მრწამსის გათვალისწინებით. მაგალითად ქვემო ქართლში მეღორეობის განვითარება არაპერსპექტიულია, რადგან იქ მოსახლე მუსულმანური მოსახლეობა ღორის ხორცს არ მიირთმევს. სამაგიეროდ მეცხვარეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მოთხოვნაზე. მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მაღალი დონის რაიონებს ნამატი პროდუქცია გააქვთ რეგიონს გარეთ, წარმოების დაბალი დონის მქონე რაიონებს კი პირიქით, შემოაქვთ კვების პროდუქტები.

ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური განლაგების დადგენისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, როგორც კონკრეტული რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები, ისე მოთხოვნები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ქვეყნის მოსახლეობის სურსათით სრული დაკმაყოფილებისათვის, პირველ რიგში, უნდა განვახილოთ ის დარგები, რომლებიც ინტერესს იწვევენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამასთან უნდა განისაზღვროს იმ სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას მოცემულ რეგიონში, აგრეთვე ის წილი, რომელიც უნდა გაიყიდოს მეზობელ რეგიონებში და ქვეყნის გარეთაც კი ექსპორტის სახით (9).

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტის პრობლემა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი, სასიცოცხლო მნიშვნელობის სახეები, უნდა ვაწარმოოთ რაც შეიძლება სრული მოცულობით, უპირობოდ საკუთარ ქვეყანაში.

მარცვლის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იმ ვალუტის მარაგების ეკონომიის საშუალებას მოგვცემს, რომლებსაც ვხარჯავთ მათი მნიშვნელოვანო ნაწილის იმპორტზე საზღვარგარეთიდან.

სოფლის მეურნეობის წარმოების განლაგების ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვა განუხრელად ზრდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობას, ამადლებს პროდუქციის ხარისხს, ამცირებს საწარმოო ხარჯებს და ამადლებს მთლიანად დარგის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

საქართველოს ტერიტორიაზე სამთო მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი, კლიმატური და დემოგრაფიულ პირობების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ეკონომიკური რეგიონი მხარეების სახელწოდებით: ესენია: 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. 2. გურია. 3. იმერეთი. 4. სამეგრელო და ზემო სვანეთი. 5. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. 6. შიდა ქართლი. 7. მცხეთა-თიანეთი. 8. კახეთი. 9. ქვემო ქართლი. 10. სამცხე-ჯავახეთი. (16).

ეს რეგიონები (მხარეები) წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო ტერიტორიულ სისტემას. ისინი წარმოიშვნენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გათვალისწინების შედეგად.

ეკონომიკური რეგიონი – ესაა ტერიტორიული, სამეურნეო კომპლექსი, რომელიც აერთიანებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე, დარგთა შეთანაწყობასა და მათი განვითარების ტემპებზე მრავალი პირობა და ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელიც პირობითად იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებად. ჩვენი ქვეყნის პირობებში გაადგილებისა და სპეციალიზაციის საკითხების გადაწყვეტა განსაკუთრებულ დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვდა რეგიონის (მხარის) ცალკეული რაიონების ნიადაგურ-კლიმატური და სამეურნეო პირობების გათვალისწინებით. უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა სახის კლიმატი და ნიადაგები.

საწარმოო თვალსაზრისით, ბუნებრივი პირობები მოქმედებს არა იზოლირებულად, არამედ სხვა ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში, პირველ რიგში, ეკონომიკურ პირობებთან, რითაც განისაზღვრება სოფლის მეურნეობისადმი წაყენებული საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ხასიათი, დარგობრივი კავშირები, საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების პრინციპები, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სოფლად სოციალურ ურთიერთობათა ასპექტები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური გაადგილების პრობლემის გადაჭრა ქვეყნის რაიონებისა და ზონების მიხედვით, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების ეკონომიისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია წარმოადგენს

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სხვა ფორმას. იგი ახასიათებს დარგში ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების პირობით გამოცალკავების ხარისხს. ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობაში ადამიანს საქმე აქვს, ერთი მხრივ, მანქანურ წარმოებასთან, მეორე მხრივ - ნიადაგებთან და ცოცხალ ორგანიზმებთან. ამიტომ შრომის დანაწილება სოფლის მეურნეობაში არ შეიძლება მიმდინარეობდეს ტექნოლოგიური პროცესების დონეზე.

რეგიონის (ზონის) ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სპეციალიზაცია მდგომარეობს მთავარი დარგის გამოყოფაში და ყველა პირობის შექმნა მისი უპირატესი განვითარებისათვის. იგი ახასიათებს მათ საწარმოო მიმართულებას და დარგობრივ სტრუქტურას, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმრავლესობაში წარმოების რაციონალური ორგანიზაცია მიიღწევა მემცენარეობის 1-2 ძირითად დარგზე და მეცხოველეობის 1-2 დარგზე დასპეციალიზაციებისას სხვა რიგ დახმარე დარგებთან ერთად. მეცხოველეობაში შესაძლებელია უფრო ვიწრო სპეციალიზაციაც, რადგან ეს დარგი პირდაპირ არ არის დაკავშირებული მიწასთან.

ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა სულაც არ ნიშნავს, რომ თითოეულ მეურნეობაში აუცილებლად საჭიროა რისკისაგან თავის ასაცილებლად გვექონდეს ყველა დარგი, ვთესოთ ყველა სახის კულტურა, შევინახოთ ყველა სახის პირუტყვი, თუ ამის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა მეურნეობის ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. დარგების მრავალრიცხვიანობას მივყავართ მათ დაქუცმაცებამდე, რაც

ამცირებს წარმოების კონცენტრაციის დონეს და უარყოფითად მოქმედებს მეურნეობრიობის ეფექტიანობაზე.

სპეციალიზაცია მნიშვნელოვნად აადვილებს წარმოებაში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას, მეცნიერული მიღწევების ფართოდ გამოყენებას. სპეციალიზაცია გულისხმობს დარგთა ოპტიმალურ გაადგილებასა და შეთანაწყობას, ძირითადი პროდუქციის წარმოების უპირატეს ზრდასთან ერთად, რისთვისაც საუკეთესო პირობები არსებობს და რომლის დროსაც, მიიღწევა დანახარჯთა უფრო მეტი ეკონომია, ვითარდება სხვა დარგებიც, რომელიც ავსებს ძირითად წარმოებას და ხელს უწყობს მის ეფექტურად განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაში რამდენიმე ფორმას განასხვავებენ: ზონალურს ანუ ტერიტორიულს, დარგობრივს და მეურნეობრივს. დარგობრივი სპეციალიზაცია გვიჩვენებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესს დარგის შიგნით და მოიცავს ერთი და იგივე პროდუქციის წარმოების სხვადასხვა სტადიას. იგი შეიძლება განხორციელდეს, როგორც ცალკეულ მეურნეობაში, ისე რამდენიმე მეურნეობის კოპერირების საფუძველზე.

შიდა მეურნეობრივი სპეციალიზაცია ის მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც წარმოადგენს ოპტიმალური სპეციალიზაციის დამამთავრებელ სტადიას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, საწარმო სპეციალდება რომელიმე კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებაზე, თუ ეს ეკონომიკურად დასაბუთებული და მიზანშეწონილი იქნება. შიდამეურნეობრივი სპეციალიზაცია განსაზღვრავს წარმოების კოპერირების დონეს და ფარგლებს,

თითოეული დარგის ოპტიმალურ სიდიდეს, რომელზედაც დამოკიდებულია მიწის, შრომითი და სხვა წარმოების საშუალებების რაციონალური გამოყენება.

სპეციალიზაციის ფორმებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზონალურ სპეციალიზაციას, ანუ დასაბუთებული დარგობრივი სტრუქტურის დადგენას რაიონების, ზონებისა და მიკროზონების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური სპეციალიზაციის ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქმნის მთავარი ფაქტორის - მიწის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას, ამადღებს შრომის ნაყოფიერებას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილებების დანერგვას, ხელს უწყობს წარმოებაში ინდუსტრიულ ტექნოლოგიაზე გადასვალას.

მეურნეობათა სპეციალიზაციას ახასიათებს საქონლიანობის დონე. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით, დარგების რაოდენობა, მთლიანი პროდუქციის, ძირითადი საშუალებებისა და კაპდაბანდებათა სტრუქტურა, პირუტყვის სიმჭიდროვე 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარშებით. მისი უფრო სრული დახასიათებისათვის გამოიყენება აგრეთვე სპეციალიზაციის კოეფიციენტი $K_{სპეც}$, რომელიც იანგარიშება ასეთი

$$K_{სპეც} = \frac{100}{\sum D(2N-1)} \quad [44]$$

სადაც D - არის თითოეული დარგის ხვედრითი წონა სასაქონლო პროდუქციაში, N - სასაქონლო პროდუქციის ნომერი რანჟირებულ რიგში, დაწყებული ყველაზე მაღლით.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ეფექტიანობა ხასიათდება მაჩვენებელთა მთელი სისტემით, რომელთაგან, ძირითადად, წარმოადგენს: მოლიანი და სასაქონლო პროდუქციის ღირებულება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1 მუშაკზე, ძირითადი საწარმოო ფონდების 100 ლარზე, მიმდინარე საწარმოო დანახარჯების 100 ლარზე გაანგარიშებით, პროდუქციის წარმოების რენტაბელობა.

წარმოების სპეციალიზაციას არ შესწევს უნარი მოგვცეს საკმარისი ეფექტი წარმოების კონკურენციის გარეშე. მხოლოდ წარმოების კონცენტრაციის გზით არის შესაძლებელი ამა თუ იმ პროდუქციის დიდი მოცულობებით წარმოება.

წარმოების კონცენტრაციაში ვლინდება მსხვილი წარმოების წვრილზე უპირატესობის ეკონომიკური კანონის მოქმედება. ამ კანონის თანახმად, მსხვილ წარმოებას აქვს დიდი ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა წვრილთან შედარებით, მაგრამ თუ ამ უპირატესობას ზღვარიც აქვს. ამიტომ ამ კანონს აქ აბსოლუტური ხასიათა არ აქვს.

სოფლის მეურნეობაში წარმოების კონცენტრაციის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს მექანიზაცია. მანქანა-იარაღების უქონლობისა და დასამუშავებელი ნაკვეთების, თითქმის ოთხ მილიონამდე დანაწევრების გამო, წარმოების კონცენტრაციას ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ძალზე შეზღუდული ხასიათი აქვს.

სოფლის მეურნეობაში წარმოების კონცენტრაცია ხორციელდება ცენტრალიზაციის, კომბინირებისა და კოოპერაციის გზით. ცენტრალიზაციის დროს, ხდება წვრილი მეურნეობის

გაერთიანება კოოპერატივებში. კომბინირებული გულისხმობს ერთ საწარმოში პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების გაერთიანებას. კოოპერაცია - ესაა მეურნეობათა, ფერმერთა გაერთიანება გარკვეული სახის პროდუქციის ერთობლივი წარმოებისათვის მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. საწარმოო ძალების განვითარებისა და ორგანიზაციის თითოეულ დონეს შეესაბამება თავისი სიდიდის მეურნეობა. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრის პრობლემა აქტუალურია დღესაც კი, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთელი ფართობი ქვეყანაში განაწილებულია ერთ მილიონამდე კერძო გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებზე. ამიტომ ჩვენი ნაშრომის ბოლო, მესამე თავში ამ პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგიურ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მივაქცევთ.

სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტა საქართველოში ამჟამად, ზემოთ აღნიშნული პირობების გამო, შეუძლებელია გადაწყდეს მარტო კულტურათა ფართობების გაზრდით, მათი სტრუქტურის სრულყოფით (რომლებზეც მონაცემები წარმოდგენილი 1.2.1. და 1.2.2. ცხრილებში), სპეციალიზაციის გაღრმავებით და კონკურენციით. ამ პროცესებს თან უნდა ახლდეს ყველა ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა. ეს უკანასკნელი კი ხელეწიფება ყველაზე მცირე კერძო, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებსაც კი. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ განვითარების მოცემულ ეტაპზე მათში მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემათა დანერგვას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება სამეურნეობათშორისო კოოპერაციას და აგროსამრეწველო ინტეგრაციას. სამეურნეობათშორისო კოოპერაციის ორგანიზაციულ ფორმებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება სხვადასხვა საწარმოო მიმართულების კოოპერატივები (პროდუქციის რეალიზაციის, საწარმოო-ტექნიკური მომსახურების და სხვა), რომელთა ფორმებიც ჩვენთან მხოლოდ ესესაა იწყება.

წარმოების სპეციალიზაციისა და კონკურენციის განხორციელებისას სამეურნეო კოოპერაციის ბაზაზე, უნდა გამოვდიოდეთ შემდეგი ძირითადი პრინციპებიდან:

- ნებაყოფლობა ერთობლივი თანამშრომლობის შექმნისას;
- მეცნიერული მიდგომა ორგანიზაციული ფორმების, მიმართულებებისა და სამუშაოების თანმიმდევრობისადმი;
- სამეურნეობათშორისი გაერთიანებული მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის შენარჩუნება;
- მატერიალური დაინტერესება, როგორც მეურნეობების მხრივ, ისე მთლიანად გაერთიანებისათვის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში [20].

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება სამეურნეობათშორისო კოოპერაციას და აგროსამრეწველო ინტეგრაციას. სამეურნეობათშორისო კოოპერაციის ორგანიზაციულ ფორმებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება სხვადასხვა საწარმოო მიმართულების კოოპერატივები& წარმოების სპეციალიზაციისა და

კონკურენციის განხორციელებისას სამეურნეო კოოპერაციის ბაზაზე, უნდა გამოვდიოდეთ შემდეგი ძირითადი პრინციპებიდან:

- მეცნიერული მიდგომა ორგანიზაციული ფორმების, მიმართულებებისა და სამუშაოების თანმიმდევრობისადმი;
- სამეურნეობათშორისი გაერთიანებული მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის შენარჩუნება;
- ნებაყოფლობა ერთობლივი თანამშრომლობის შექმნისას;
- მატერიალური დაინტერესება, როგორც მეურნეობების მხრივ, ისე მთლიანად გაერთიანებისათვის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში [20].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია განაპირობებს მის კონკურენციას სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე მეურნეობაში და რაიონებში, ანუ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგების გარკვეულ გაადგილებას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია არ არის სტაბილური, ერთ მდგომარეობაში გაყინული, იგი გამუდმებით იცვლება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას განსაზღვრავს მთლიანი პროდუქციის სტრუქტურა, რადგან ის გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთდამო-კიდებულებას სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებთან.

საანალიზო დარგში სპეციალიზაციისა და კოოპერაციის პროცესს გააჩნია რიგი თავისებურება: მათ შორის, მთავარს წარმოადგენს ნიადაგების ნაყოფიერება, ბიოლოგიურ ორგანიზმებთან

ურთიერთობა, მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში
მომხდარი პროცესების სეზონურობა, წლის

ცხრილი 1.2.1.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში [ათასი ჰექტრობით]

| | | წლები | | | | | 2004წ. %-ში 1985 წ/თან |
|----|------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|---------------------------------|
| | | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 | |
| 1 | ნათესი ფართობები სულ | 730,1 | 701,9 | 453,1 | 610,8 | 534,0 | 73,5 |
| 2 | მარცვლოვანი კულტურები სულ | 272,7 | 269,8 | 259,9 | 386,4 | 355,8 | 130,4 |
| 3 | მათ შორის: ხორბალი | 80,2 | 91,2 | 61,3 | 100,9 | 98,5 | 122,8 |
| 4 | სიმინდი | 117,6 | 107,0 | 142,4 | 219,6 | 189,1 | 160,7 |
| 6 | პარკოსანი კულტურები | 19,3 | 13,9 | 13,3 | 11,5 | 17,6 | 91,2 |
| 7 | ტექნიკური კულტურები | 39,0 | 33,1 | 41,0 | 69,8 | 39,5 | - |
| | მათ შორის - მხესუმზირა | 12,1 | 13,3 | 36,2 | 65,7 | 36,5 | 3-ჯერ |
| 8 | კარტოფილი | 19,3 | 13,9 | 13,3 | 11,5 | 17,6 | 91,2 |
| 9 | ბოსტნეული | 37,5 | 35,9 | 28,6 | 46,1 | 40,9 | 109,0 |
| 10 | საკვები კულტურები | 341,6 | 329,0 | 97,0 | 65,1 | 510,7 | 149,5 |

ცხრილი 1.2.2.

ძირითადი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (პროცენტობით მთლიან ფართობთან)

| | | | | | | | |
|---|------------------------------|------|------|------|------|------|--|
| 1 | ნათესი ფართობები სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | |
| 2 | მარცვლოვანი კულტურები სულ | 37,3 | 38,5 | 57,4 | 63,6 | 66,6 | |
| 3 | მათ შორის: ხორბალი | 75,8 | 75,2 | 78,8 | 84,4 | 86,6 | |
| 4 | სიმინდი | 70,5 | 72,0 | 78,2 | 82,3 | 78,1 | |
| 6 | პარკოსანი კულტურები | 11,6 | 9,4 | 7,3 | 4,3 | 7,3 | |
| 7 | ტექნიკური კულტურები | 5,4 | 4,7 | 9,0 | 11,4 | 7,4 | |

| | | | | | | | |
|----|---------------------------|------|------|------|------|------|--|
| | მათ შორის - მზესუმზირა | 30,9 | 40,2 | 88,3 | 94,1 | 92,4 | |
| 8 | კარტოფილი | 41,2 | 39,7 | 42,7 | 41,5 | 44,1 | |
| 9 | ბოსტნეული | 48,9 | 51,3 | 52,7 | 49,5 | 47,0 | |
| 10 | საკვები კულტურები | 46,8 | 46,9 | 21,6 | 10,1 | 9,7 | |

ცხრილი შედგენილია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004. თბ. 2005.

განმავლობაში შრომის არათანაბარი გამოყენება, რაც მოითხოვს საწარმოო დარგების შეთანაწყოებას. წარმოება აქ ბევრად არის დამოკიდებული მცენარეთა ვეგეტაციური პერიოდის ხანგძლივობასა და სხვა ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის მოცულობასა და შედგენილობაზე.

სოფლის მეურნეობის დარგების ოპტიმალური გაადგილება, სპეციალიზაცია და კოოპერირება საშუალებას გვაძლევს წარმოების პროცესში გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები, რაც დადებითად მოქმედებს წარმოების დონისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაზე. წარმოების სპეციალიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორს მთელი წარმოების ოპტიმალური ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური განლაგებისა და სპეციალიზაციის პროცესი ქვეყნის საწარმოო ძალების გარკვეული ზემოქმედების ქვეშაა და წარმოადგენს მათი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს.

ეს იმითაც დასტურდება, რომ იგი დამოკიდებულია მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების დონეზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, მექანიზაციაზე, ელექტროფიკაციაზე და ქიმიზაციაზე, ინვესტიციებზე, მოსახლეობის რაოდენობასა და მათ

განაწილებაზე ქვეყანაში და შრომითი რესურსების მოცულობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური გაადგილება და სპეციალიზაცია უნდა მოხდეს მცენარეთა აგრობიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია აგრეთვე ყოველი კულტურის გავრცელების გეოგრაფიული არეალი ქვეყანაში. თითოეულ ზონაში უნდა ვაწარმოოთ იმ სახის პროდუქცია, რომელიც უფრო წარმატებით შეიძლება მივიღოთ შრომისა და სხვა მატერიალური რესურსების მინიმალური დანახარჯებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი მალფუჭებადი და ნაკლებტრანსპორტირებადი პროდუქტების გაადგილება, რომელიც შედის კვების პროდუქტების აუცილებელ ასორტიმენტში. მათი წარმოება და სპეციალიზაცია უნდა მოხდეს დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ახლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვითითებს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: მეცნიერულად დასაბუთებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური გაადგილება და სპეციალიზაცია არის კომპლექსური ამოცანა და მისი წარმატებით გადაწყვეტა პირდაპირ არის დაკავშირებული საწარმოო ძალების განვითარებასთან, ეკონომიკური და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების ოპტიმალურ გამოყენებასთან, რაც, საბოლოო ჯამში, ძალიან წაადგება დარგის რეამინაციას და მის შემდგომ განვითარებას.

1.3. სოფლის მეურნეობის დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები და მაჩვენებელთა სისტემა

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის ცნება და მისი საწარმოო მაჩვენებლები. ოჯახური, გლეხური და ფერმერული მეურნეობები და სხვა ორგანიზაციული ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობის ძირითადი სახეა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მემცენარეობაში და მეცხოველეობაში. მათი საქმიანობა განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომელიც დგას მის წინაშე. ასეთ ძირითად საკითხს წარმოადგენს მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ყოველმხრივი ზრდა და მისი რეალიზაცია სასურსათო ბაზარზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ვითარდება მიწაზე, ამიტომ მისი ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია მიწის სავარგულების ფართობი სახეების მიხედვით: სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მათ შორის, სახნავი, სათიბი, საძოვრები და სხვა. მეურნეობაში მიწების გამოყენების მთავარ მაჩვენებელს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახნავობის კოეფიციენტი და მისი ხვედრითი წილი საერთო ფართობში, სავარგულების ტრანსფორმაციის კოეფიციენტი და სხვა.

მემცენარეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურის საერთო ფართობი, მოსავალი და მოსავლიანობა ცენტრებში. მეცხოველეობის განვითარების ძირითად მაჩვენებლად ითვლება პირუტყვისა და ფრინველის სულადობის რაოდენობა, საშუალო სულადობა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების

პროდუქტიულობა და მეცხოველეობის პროდუქციის საერთო წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსი.

წარმოების ეფექტიანობა - ეს ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს მიღებული ეკონომიკური შედეგების შეფარდებას გაწეულ ხარჯებთან. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება საბაზრო ეკონომიკის კანონების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.

წარმოების განვითარებამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთლიანად და კერძოდ, სოფლის მეურნეობაშიც თანამედროვე ეტაპზე მიაღწია ისეთ დონეს, რომლის დროსაც, მთლიანად უზრუნველყოფილია ეფექტიანობის ყოველმხრივი ზრდა, ე.ი. წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და შემოსავლის ზრდა ისეთი ოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა განსაზღვრავს საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქციის მაქსიმალურ გამოსავალს მიწის ფართობის ერთეულიდან ან პირუტყვის ერთი პირობითი სულისაგან უმცირეს დანახარჯებით.

მაშასადამე, მეურნეობის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა უნდა გვეხმოდეს, როგორც შრომისა და დროის ეკონომია მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებაზე ამ პროდუქციის რაოდენობის განუხრელი ზრდით.

ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმები.

ეფექტიანობის უმაღლეს კრიტერიუმს წარმოების ნებისმიერ სფეროში და მათ შორის, სოფლის მეურნეობაშიც, წარმოადგენს საკვებზე და ნედლეულზე ქვეყნის მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილება ხელთ არსებული რესურსების რაციონალური ანუ ოპტიმალური, ანუ ეკონომიკური გამოყენების პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა რთული ეკონომიკური კატეგორიაა. საბოლოო შედეგის ხასიათის მიხედვით, უნდა გავარჩიოთ ორი მცნება - ეფექტი და ეკონომიკური ეფექტიანობა. ეფექტში სოფლის მეურნეობის წარმოებაში გატარებული ამა თუ იმ ღონისძიების შედეგი იგულისხმება, მაგალითად, სასუქების გამოყენების ეფექტი გამოისახება მოსავლიანობის ნამატით, მაგრამ მიღებული ეფექტი არ იძლევა წარმოდგენას სასუქების გამოყენების სრულ ეფექტიანობაზე. ასე რომ, მარტო ეფექტით შეუძლებელია ვიმსჯელოთ ჩატარებული ღონისძიების მიზანშეწონილობაზე. ამ კითხვაზე უფრო სრულ პასუხს იძლევა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი, როცა წარმოების შედეგების შედარება ხდება მის განხორციელებაზე გაწეულ ფულად-მატერიალურ დანახარჯებთან.

ეკონომიკური ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გვიჩვენებს წარმოების საშუალებებისა და ცოცხალი შრომის გამოყენებით მიღებულ საბოლოო სასარგებლო ეფექტს, ანუ ერთობლივი კაპიტალური დაბანდებების ამოგებას, როგორც ეკონომიკის ამ სისტემაშია მიღებული. სოფლის მეურნეობაში ესაა მაქსიმალური მოგების მიღება მიწის ფართობის ერთეულზე ცოცხალი და განივთებული შრომის მინიმალური დანახარჯების პირობებში. იგივე წარმოადგენს ეფექტიანობის კრიტერიუმსაც.

წარმოების შედეგების დანახარჯებთან შედარებისათვის, სოფლის მეურნეობაში ანგარიშობენ ეკონომიკური ეფექტიანობის შემდეგ სახეებს: სოფლის მეურნეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის (მეურნეობის) ერთ-ერთი დარგის ეფექტიანობა; სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების (მემცენარეობისა და მეცხოველეობის) ეფექტიანობა; ცალეული სამეურნეო ღონისძიებების ეფექტიანობა და სხვა. ეფექტიანობის ყველა ეს სახე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეკონომიკური ეფექტიანობა მთლიანად სოფლის მეურნეობაში დამოკიდებულია ყველა რესურსის რაციონალურ გამოყენებაზე, ეკონომიისათვის და მომჭირნეობისათვის ბრძოლაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე და შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ არა ერთი, არამედ ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებელთა მთელი კომპლექსი, რომელთაგან საწყისებს ნატურალური მაჩვენებლები წარმოადგენს, მაგრამ ისინი ასახავენ მიღწეული ეფექტიანობის მხოლოდ ერთ მხარეს. ერთი და იგივე მოსავლიანობის დონე, მაგალითად, შეიძლება მიღწეულ იქნეს შრომისა და საშუალებების სხვადასხვა მოცულობათა სხვადასხვა დანახარჯებით ან მათ სხვადასხვა ხარისხი აქვთ და სხვა. ამიტომ თანაზომად სიდიდეებში მათ გადასაყვანად იგივე მოსავლიანობა უნდა გამოვსახოთ ღირებულებით ფორმაში. ღირებულებით მაჩვენებელს აქვთ არა მარტო საადრიცხვო, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობაც, რადგან ისინი მონაწილეობენ ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებაში, ხოლო წარმოების პროდუქტი გამოდის ბაზარზე საქონლის სახით. სასოფლო-სამეურნეო

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად ღირებულებით მაჩვენებელს განეკუთვნება მთლიანი შიდა შემოსავალი, წმინდა შემოსავალი და მოგება.

სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ეფექტიანობის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი პროდუქციის, ან მთლიანი შემოსავლის, ან წმინდა შემოსავლის ანუ მოგების შეფარდება ცოცხალ და განივთებულ შრომის დანახარჯებთან:

$$E_{\text{მთ.}} = \frac{\text{მთ.}_3, \text{ ან მთ}_4, \text{ ან წმ}_4, \text{ ანუ მოგება}}{\text{საწ.დ.} + \text{d}_{\text{სან. ფ.}} \cdot X \cdot K} \quad \text{სადაც [50]}$$

$E_{\text{მთ}}$ – მთლიანი ეფექტიანობაა;

მთ._3 – მთლიანი პროდუქცია;

მთ_4 - წმინდა შემოსავალი ანუ მოგება;

$\text{d}_{\text{საწ.ფ.}}$ - ძირითადი საწარმოო ფონდები, K - ამ ფონდების ეფექტიანობის კოეფიციენტი.

ეს ფორმულა შეიძლება გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან ერთდროული დანახარჯები დარდება მიმდინარე დანახარჯებთან, რომელთა შორის, არსებობს რეალური კავშირი.

სოფლის მეურნეობაში მთლიანი შემოსავალი დამოკიდებულია გასაღებული პროდუქციის ფასებზე და მატერიალური დანახარჯების სიდიდეზე. ასე რომ, ფერმერი ინაწილებს მხოლოდ შექმნილ ღირებულებას, ანუ მთლიანად შემოსავალს, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, რომელიც გამოიყენება საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო მეორე ნაწილი იქმნება დამატებითი შრომით და უმთავრესად, გამოიყენება დაგროვებისათვის.

წმინდა შემოსავალი წარმოადგენს დამატებითი პროდუქციის ფულად გამოსახულ ღირებულებას და განისაზღვრება, როგორც სხვაობა მთლიანი პროდუქციის ღირებულებასა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის. წმინდა შემოსავალი გაიანგარიშება აგრეთვე მთლიან შემოსავალს გამოკლებული ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის კვლავწარმოებასთან.

წმინდა შემოსავალი წარმოადგენს ფერმის შემდგომი განვითარებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდის წყაროს.

უნდა განვასხვაოთ შექმნილი და რეალიზებული წმინდა შემოსავალი. წმინდა შემოსავალი შეესაბამება მოგებას. მოგებას განგარიშობთ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ფულადი ამონაგებიდან მისი სრული თვითღირებულების გამოთიშვით. მეურნეობა, რომელსაც აქვს მოგება, ითვლება რენტაბელურად. რაც მეტი იქნება მოგება, მით მეტი შესაძლებლობაა წარმოების გაფართოებისათვის. მოგების საერთო მასაში იგულისხმება რეალიზებული წმინდა შემოსავლის მთლიანი თანხა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოგება სოფლის მეურნეობაში განისაზღვრება შედარებით სხვა მეთოდით. მოგება, ანუ ამონაგები არის რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩენილი მოგება, ხოლო როცა მათ ვაკლებთ გადასახადების დამატებით ღირებულებაზე, მაშინ იგი იანგარიშება შემდეგნაირად:

$$მ = (\text{პრ}_{\text{კალ.}} - \text{ბდამ.ღირ.}) - \text{პრ}_{\text{კომ.თ/ღ-ბა}}$$

სადაც მ – არის მოგება ლარებში;

პრ_{კაღ}. - პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგები ლარებში;

ბღამღირ - გადასახადის თანხა დამატებით ღირებულებაზე, ლარი;

პრ_{კომ.თ/ღ-ბა} - პროდუქციის სრული ანუ კომერციული თვითღირებულება.

საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერი დარგის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასების დონეზე ბაზარზე.

სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოებაზე მოქმედი ფაქტორები. მათი დროული გამოვლენა და გავლენის დონის განსაზღვრა და პრაქტიკული ზომების მიღება ამ გავლენის შესამცირებლად, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მეურნისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტემპერატურული რეჟიმი, ნიადაგები, კვებითი ნივთიერებების რაოდენობა და მათი მდგომარეობა, დასამუშავებელი ნაკვეთების სიდიდე, მათი კონტურობა და რელიეფი და სხვა. ყველა ეს მაჩვენებელი ნიადაგის ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერებაა. ასე რომ, მიწის უკეთესი გამოყენება ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორია. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ბევრადაა დამოკიდებული შრომის ფონდუზრუნველყოფასა და ფონდშეიარაღებაზე. ძირითადი საწარმოო და საბრუნავი ფონდებით არათანაბარი უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არათანაბარ პირობებში აყენებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს,

როგორც შრომითი რესურსების უკმარისობა, ისე მუშაკთა არასაკმარისი დასაქმებაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდა, როგორც წინა თავში ავლნიშნეთ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფერმერის სპეციალიზაციის დონესა და ხარისხზე. ასე რომ, სპეციალიზაციაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად, როგორც ვხედავთ, გამოიყენება შედეგების მაჩვენებელთა მთელი კომპლექსი - სისტემა. ზოგიერთი მათგანის გაანგარიშების მეთოდზე ზემოთ ავლნიშნეთ, მთავარს მაინც წარმოადგენს რენტაბელობის დონე.

რენტაბელობა მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. იგი ნიშნავს ფერმის შემოსავლიანობას, მომგებიანობას და წარმოების ეკონომიკურ მიზანშეწონილებას. რენტაბელობაში აისახება არა მარტო ცოცხალი, არამედ განივთებული შრომის დანახარჯები, შედეგები, რეალიზებული პროდუქციის ხარისხი, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის დონე. იგი გაიანგარიშება მოგების პროცენტული თანაფარდობით მატერიალური და შრომითი დანახარჯების თანხასთან.

$$r_e = \frac{\text{მოგება}}{\text{პროდუქციის კომერციული თვითღირებულება}} \times 100 \quad [57]$$

მეურნეობის რენტაბელური გაძღოლა ითვალისწინებს მის ისეთ საქმიანობას, რომლის დროს საკუთარი შემოსავლები არა მარტო ფარავს ყველა საწარმოო დანახარჯებს, არამედ უზრუნველყოფს მოგების მიღებასაც. ამიტომ რენტაბელობა შედეგობრივი მაჩვენებელია, რომელიც უფრო სრულად ასახავს საერთო

პროდუქციის წარმოების მოცულობას და მისი რეალიზაციის საერთო და სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებას, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულებას, რეალიზებული პროდუქციის ფასებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოს რენტაბელობას ანგარიშობენ ზემოთ ნაჩვენები ფორმულით, რომლის გამოყენებაც შეიძლება დარგების (მემცენარეობა, მეცხოველეობა და ა.შ.) და პროდუქციის ცალკე სახეების რენტაბელობისთვის.

რენტაბელობის განსაზღვრისათვის სარგებლობენ აგრეთვე ნორმითაც, რომელიც იანგარიშება წმინდა შემოსავლის (მოგების) პროცენტული შეფარდებით ძირითადი და საბრუნავი აქტივების (ფონდების) საშუალო წლიური ღირებულების რაოდენობასთან. ეს მაჩვენებელი უფრო სრულად ახასიათებს საწარმოო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობას.

ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანხა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებზე და დანახარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია ამ პროდუქციის წარმოებაზე და გასაღებაზე, აგრეთვე რეალიზებული პროდუქციის ფასებზე ბაზარში და თვით რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე.

ამონაგების ზრდაზე გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხი. ფაქტორები, რომელიც განაპირობებს მოგების სიდიდეს, იმყოფება მჭიდრო კავშირში, ერთის ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებასაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მთავარ გზებს წარმოადგენს:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდა; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დონის ამაღლება; პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდა; პროდუქციის საქონლიანობის ზრდა; პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების ახალი წესების დანერგვა;

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ფულად-მატერიალური დანახარჯების შემცირება; სპეციალიზაციის გაღრმავება, წარმოების ინტენსიფიკაცია; პროდუქციის შრომატევადობის, ლითონტევადობისა და ფონდტევადობის შემცირება; მაღალმწარმოებლური ტექნიკის და ახალი, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება; შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება მემცენარეობაში და მეცხოველეობაში; საერთო სამეურნეო და სამართავი დანახარჯების შემცირება; წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა;

3. პროდუქციის რეალიზაციის ხელსაყრელი საბაზრო არხების გამონახვა და ამ არხებით მისი ოპტიმალურ ვადებში რეალიზაცია;

4. საბრუნავი ფონდების ბრუნვის დაჩქარება;

5. ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნე და რაციონალური გამოყენება. საერთოდ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა.

ყველაფერმა ამან უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული რესურსებისაგან მაქსიმალური ეფექტის მიღება.

**თავი II. მეკარტოფილეობის განვითარების თანამედროვე დონე,
ხელშემწყობი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, განვითარების
ტენდენციები და კანონზომიერებები და როლი სასურსათო
უსაფრთხოების უზრუნველყოფაში**

**2.1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეკარტოფილეობის სხვა
დარგებთან შეთანაწყობილი ფუნქციონირების ეკონომიკური
პარამეტრები და კონცეპტუალური პოზიციები**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობების სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, ახალი ტიპის მეურნე-სუბიექტების შექმნამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადანაწილებამ, თავისუფალი ვაჭრობის ბაზრის დამკვიდრებამ დარგი ახალი გადასაწყვეტი პრობლემების წინაშე დააყენა. მათგან აღსანიშნავია პროდუქციის წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის ახლად დასაბუთება.

აგრარული რეფორმის ჩატარების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკუთრებითმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. თუ მოქალაქეთა პირად სარგებლობაში იყო მხოლოდ 211 ათასი ჰექტარი სავარგული, ანუ 7%, რეფორმის შემდეგ ეს ფართობი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და პირად კერძო საკუთრებაში გადაეცა 1 მლნ-ზე მეტ გლეხის ოჯახს, რომელთაგან შეიქმნა 1 მლნ 40 ათასი წვრილი, ოჯახური (გლეხური) მეურნეობა.

განხორციელდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია. ყოფილი კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები და სახელმწიფო საკუთრების საწარმოები კერძო, კოოპერაციული და სხვა სახის საკუთრებაზე დაფუძნებული მეურნეობების ახალ სამართლებრივ ორგანიზაციულ ფორმებად

ჩამოყალიბდა. ესენია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ორგანიზაცია. მათი რიცხვი 2924-ს აღწევს.

მიწის პრივატიზაციამ გამოიწვია არა მარტო მეწარმე სუბიექტის შეცვლა, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურაც. ოჯახური მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის წილმა დარგის მთლიან პროდუქციაში უკვე 2003 წლისათვის 80% შეადგინა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მომხდარ ცვლილებებზე დინამიკაში წარმოდგენას გვაძლევს 2.1,2.2. და 2.3 ცხრილებში წარმოდგენილი მაჩვენებლები, რომელიც ეხება მემცენარეობის კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების ფართობებში, მოსავლიანობის და მოსავლის დონეებში, აგრეთვე პირუტყვის სულადობაში, პროდუქტიულობის და წარმოებული პროდუქციის მოცულობაში მომხდარ ცვლილებებს, აგრეთვე კერძო ოჯახური (გლეხური) მეურნეობების ხვედრით წონას წარმოების მთელ მოცულობაში. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ფაქტიურად შედგა.

მაგრამ შედეგები ჯერჯერობით არც თუ ისე სახარბიელოა. იმის გამო, რომ საჭირო გახდა მოსახლეობის დაკმაყოფილება, პირველ რიგში, საკუთარი წარმოების პირველადი საჭიროების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, მარცვლეული კულტურების ფართობები მარტო 10 წლის განმავლობაში გაიზარდა 43,2%-ით, კარტოფილისა - 34,2%-ით, ბოსტნეულისა - 28,4%-ით და ა.შ. მიუხედავად ამისა, საჰექტარო მოსავლიანობის დონის დაცემის გამო,

ხორბლის წლიური მოსავალი 2000 წლისათვის 1990 წელთან შედარებით, ჯერ კიდევ მხოლოდ 63,1%-ს შეადგენს, კარტოფილის - 84,2%-ს, ბოსტნეულისა - 84,4%-ს.

გაცილებით სავალალო მდგომარეობა მივიღეთ მრავალწლიან ნარგავებში. მათი ფართობი ბევრად არის შემცირებული, მოსავალი და მოსავლიანობის დონე ხომ კატასტროფულად არის შემცირებული. ხეხილის ბაღები შემცირდა 48,4%-ით, ვენახებისა - 37,8%-ით, ციტრუსების პლანტაციებისა - 35,6%-ით, ჩაის პლანტაციებისა - 36,0%-ით. დარჩენილი ფართობები მოუვლელობის გამო ძალზე გამეჩხერებულია და ხნოვანების გამოც დიდი ხანია ექვემდებარება ამოძირკვას. მათში ჩასატარებელი ყველა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი აღარ სრულდება, სასუქების შეტანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამის გამო ამ დარგებმა დაკარგა პროდუქციის გასაღების ბაზარი, დაეცა მათი წარმოების მოტივაციაც. სახელმწიფოც ვეღარ პატრონობს, მათი ფუნქციონირება ხომ პირდაპირ იყო დაკავშირებული კოლოსალურ კაპდაბანდებასთან, რომლის წყაროს ადრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა.

ყოველივე ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ 2004 წლისათვის, 1990 წელთან შედარებით, ქვეყანაში იწარმოება ხილის მხოლოდ 42,3%, ყურძენი - 30,0%, ციტრუსები - 14,1%, ჩაის მწვანე ფოთოლი - 4,8%.

ცხრილი 2.1.1.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები, მოსავლიანობა და მოსავალი (საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობაში) [17]

| | წლები | | | | | | | 2000 წ %- ში 1990 წ. |
|---------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------------------------------------|
| | 1990 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | |
| მარცვლეული | | | | | | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 269,8 | 259,9 | 280,7 | 437,2 | 415,8 | 378,8 | 386,4 | 143,2 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 24,7 | 19,8 | 22,9 | 21,0 | 15,8 | 20,8 | 13,4 | 54,2 |
| მოსავალი ათასი ტ | 666,3 | 516,2 | 652,2 | 901,9 | 597,8 | 780,5 | 420,5 | 63,1 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 26 | 79 | 78 | 82 | 88 | 94 | 94 | 361,5 |
| შაქრის ჭარხალი | | | | | | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 1,4 | 0,9 | 0,1 | - | - | - | - | - |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 229,2 | 132,9 | 86,4 | - | - | - | - | - |
| მოსავალი ათასი ტ | 30,6 | 12,5 | 0,4 | - | - | - | - | - |
| თამბაქო | | | | | | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 7,2 | 1,2 | 1,0 | 0,2 | 2,9 | 1,8 | 1,9 | 26,4 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 11,2 | 8,3 | 9,2 | 11,3 | 11,7 | 11,9 | 10,3 | 91,9 |
| მოსავალი ათასი ტ | 8,1 | 1,0 | 1,0 | 0,2 | 3,4 | 2,1 | 1,9 | 23,4 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | - | - | - | - | 97 | 98 | 99 | |
| მზესუმზირა | | | | | | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 13,3 | 36,2 | 33,3 | 36,3 | 54,0 | 71,4 | 65,7 | 486,6 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 5,8 | 2,0 | 1,2 | 8,9 | 4,9 | 6,2 | 2,3 | 39,6 |
| მოსავალი ათასი ტ | 7,1 | 7,1 | 4,0 | 31,4 | 22,8 | 40,5 | 2,6 | 36,6 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 1 | 25 | 52 | 60 | 69 | 92 | 81 | |

| | | | | | | | | |
|---------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| კარტოფილი | | | | | | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 27,8 | 23,2 | 23,6 | 27,1 | 34,4 | 34,1 | 37,3 | 134,2 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 105,6 | 152,0 | 121,0 | 130,0 | 106,4 | 130,0 | 88,9 | 84,2 |
| მოსავალი ათასი ტ | 293,8 | 353,3 | 285,6 | 353,0 | 349,8 | 443,3 | 302,6 | 102,3 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 49 | 97 | 96 | 98 | 90 | 99 | 99 | 204,0 |
| ბოსტნეული | | | | | | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 35,9 | 28,6 | 28,3 | 32,3 | 41,6 | 43,4 | 46,1 | 128,4 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 110,6 | 140,0 | 136,0 | 151,0 | 92,2 | 96,0 | 93,4 | 84,4 |
| მოსავალი ათასი ტ | 443,2 | 428,3 | 423,9 | 513,9 | 380,0 | 417,0 | 354,2 | 79,9 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 59 | 97 | 95 | 97 | 87 | 97 | 99 | |

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის
სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით

ცხრილი 2.1.2.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები, მოსავლიანობა და მოსავალი საქართველოს ყველა ფორმის მეურნეობაში) [17]

| | წლები | | 2000წ %-ში 1990წ- თან |
|---------------------------|-------|-------|--------------------------------|
| | 1990 | 2000 | |
| ხეხილი | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 126,5 | 65,3 | 51,6 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 58 | 49,2 | 84,8 |
| მოსავალი ათასი ტ | 591,2 | 250,0 | 42,3 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 80 | 99,0 | |
| ვენახი | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 112,8 | 70,2 | 62,2 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 67,6 | 36,3 | 53,7 |
| მოსავალი ათასი ტ | 691,0 | 21,0 | 30 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 45 | 99,0 | |
| ციტრუსების პლანტაციები | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 24,7 | 15,9 | 64,4 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 169,8 | 57,7 | 34,0 |
| მოსავალი ათასი ტ | 283,4 | 40,0 | 14,1 |
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 83,0 | 99,0 | |
| ჩაის პლანტაციები | | | |
| ფართობი ათასი ჰა | 62,3 | 39,9 | 64,0 |
| მოსავლიანობა ც/ჰა | 90,0 | 19,5 | 21,7 |
| მოსავალი ათასი ტ | 501,7 | 24,0 | 4,8 |

| | | | |
|---------------------------|-----|------|--|
| ოჯახური მეურნეობის წილი % | 7,0 | 34,0 | |
|---------------------------|-----|------|--|

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის
სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით

ცხრილი 2.13.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, პროდუქციის წარმოება და პროდუქტიულობის დონე მეცხოველეობაში [17]

| | წლები | | | | | | | 2000 წ %- ში 1990 წ. |
|--|--------|-------|--------|--------|--------|--------|--------|-------------------------------------|
| | 1990 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | |
| მესაქონლეობა | | | | | | | | |
| მსხვ. რქ. პირ. ათასი სული | 129,3 | 973,6 | 1008,0 | 1027,2 | 1050,9 | 1122,1 | 1177,4 | 90,7 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 829,4 | 916,9 | 966,1 | 1002,4 | 1035,6 | 1111,1 | 1170,5 | |
| % | 63,8 | 91,2 | 95,8 | 97,6 | 98,5 | 99,0 | 99,4 | |
| მეღორეობა | | | | | | | | |
| სულადობა, ათასი სული | 880,2 | 352,6 | 332,5 | 330,3 | 365,9 | 411,1 | 443,4 | 50,4 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 583,2 | 328,4 | 323,4 | 325,9 | 362,9 | 409,6 | 448,6 | |
| % | 66,2 | 93,1 | 97,2 | 98,6 | 99,2 | 99,6 | 99,7 | |
| მეცხვარეობა-მეთხეობა | | | | | | | | |
| სულადობა, ათასი სული | 1618,1 | 724,8 | 652,0 | 583,5 | 586,7 | 633,4 | 627,6 | 38,8 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 705,4 | 576,1 | 553,9 | 520,0 | 542,2 | 595,0 | 599,8 | |
| % | 43,6 | 79,5 | 84,9 | 89,1 | 92,4 | 93,9 | 95,6 | |
| მეფრინველეობა | | | | | | | | |
| სულადობა, მლნ ფრთა | 21,8 | 13,8 | 14,6 | 15,5 | 8,2 | 8,5 | 7,8 | 35,8 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 10,9 | 13,6 | 14,6 | 15,4 | 8,1 | 8,4 | 7,7 | |
| % | 50,0 | 98,5 | 100,0 | 98,8 | 98,8 | 98,8 | 98,8 | |
| ძირითადი პროდუქტების წარმოება ათასი ტონა | | | | | | | | |
| ხორცი დაკლ. წონით | 170,3 | 115,5 | 117,8 | 120,7 | 104,1 | 100,5 | 107,9 | 63,3 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 81,9 | 112,0 | 116,0 | 119,1 | 103,4 | 100,1 | 107,3 | |

| | | | | | | | | |
|---------------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|------|
| % | 48,1 | 97,0 | 98,5 | 98,7 | 99,3 | 99,6 | 99,4 | |
| რძე, სულ | 659,4 | 475,4 | 530,3 | 600,2 | 634,7 | 660,3 | 618,9 | 93,8 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 402,5 | 455,8 | 514,3 | 589,1 | 627,7 | 655,5 | 615,7 | |
| % | 61,0 | 95,8 | 97,0 | 98,1 | 99,0 | 99,0 | 99,5 | |
| კვერცხი, მლნ ცალი | 769,2 | 269,4 | 350,2 | 370,4 | 380,4 | 390,1 | 361,4 | 47,0 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 263,4 | 261,4 | 348,5 | 370,4 | 377,0 | 386,4 | 357,2 | |
| % | | | | | | | | |
| მატყლი, სულ | 6,2 | 3,1 | 3,0 | 1,7 | 1,7 | 1,7 | 1,8 | 29,0 |
| მ.შ. ოჯახურ მეურნეობაში | 3,8 | 2,8 | 2,8 | 1,6 | 1,6 | 1,6 | 1,7 | |
| % | 61,3 | 90,0 | 93,3 | 94,1 | 94,1 | 94,1 | 94,1 | |
| პროდუქტიულობა კგ ფურის საშ. წველადობა | 1108 | 913 | 982 | 1090 | 1087 | 1073 | 935 | 84,4 |
| საშ. ნაპარსი მატყლი | 3,5 | 23,9 | 2,9 | 2,5 | 3,1 | 3,2 | 3,0 | 85,7 |
| საშ. კვერცხმდებლობა, ცალი | 178 | 112 | 115 | 119 | 164 | 165 | 170 | 95,5 |

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ამ დარგების კატასტროფამდე მიყვანამდე დიდი გავლენა იქონია აგრარულ რეფორმაში დაშვებულმა შეცდომებმა. ჩვენი აზრით, დაუშვებელი იყო ამ დარგებში მსხვილი აგროსამრეწველო ტიპის საწარმოთა ხელაღებით, დაუსაბუთებლად გაუქმება ან სხვა ტიპის საწარმოებად რეორგანიზაცია. საკმარისი იყო მათთვისაც მიგვეცა პროდუქციის წარმოებასა და გასაღებაში, საწარმოს მართვაში სრული თავისუფლება, როგორც მივეცით კერძო, წვრილ, ოჯახურ (გლეხურ) მეურნეობებს და ისინიც გადაიქცეოდნენ კერძო საბაზრო საქონელმწარმოებლებად - მსხვილ ფერმებად.

საანგარიშო პერიოდში (1990-2004) განსაკუთრებით გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, თუმცა 1990 წლის

დონემდე მაინც გვაკლია 9,3%. 50,4% პროცენტამდე შემცირდა ღორების სულადობა, ცხვრისა და თხისა კი - 38,8%-მდე, რაც ძირითადად, განაპირობა ზამთრის ბუნებრივი საკვები სავარგულების დაკარგვამ. ძალზე შემცირდა (35,8%-მდე) ფრინველის სულადობაც, რაც, ძირითადად, გამოიწვია სამრეწველო მეფრინველეობის ფაბრიკების ფუნქციონირების შეწყვეტამ, რომელიც უმთავრესად, მუშაობდა ქვეყნის გარედან შემოზიდული საკვებით. ქვეყანას კი არ გააჩნია მათი აღდგენა-რეკონსტრუქციის სახსრები. ამჟამად ისინი პრივატიზებულია და ზოგიერთმა მათგანმა მოახდინა რეამინაცია და დაიწყო მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე 1990-1994 წლებში მკვეთრად შემცირდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისა და საერთო დესტაბილიზაციის გამო. შემდეგ პერიოდში (1995-2004) დაიწყო შემობრუნების - დარგის აღდგენისა და განვითარების პერიოდი, მაგრამ, როგორც ცხრილების მონაცემებიდან ჩანს, პირვანდელი, საბაზისო წლისათვის ჯერ არ მიგვიღწევია.

დარგში წარმოება თითქმის მთლიანად (განსაკუთრებით კარტოფილის წარმოებაში) გადავიდა ოჯახური მეურნეობის ხელში. მართალია, ისინი ძირითადად ჯერ კიდევ კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას ეწევიან, რადგან წარმოება მათში დაფუძნებულია მხოლოდ ხელით შრომაზე, მაგრამ პროდუქციის გარკვეული ნაწილის (ხშირად საკუთარი მოხმარების შეკვეცის ხარჯზე) რეალიზაციას მაინც ახდენენ ქვეყნის სასურსათო ბაზრებზე, რომელთა რიცხვმა 2004 წლისათვის 234-ს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ჯერ კიდევ არ არის სრულად დაკმაყოფილებული ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით, მაინც ეს ბაზრები საკმარისად გაჯერებულია ნაწილობრივ იმპორტით, ნაწილობრივ, სამწუნხაროდ, თვით მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შესაბამისი დაცემის გამო.

ნაშრომის თითქმის ყველა თავში მოტანილი აგრარული სექტორის საქმიანობის საშედევო მაჩვენებლები მიუთითებს, რა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა შემცირდა 21,9%-ით, სურსათის წარმოება დაეცა 2-ჯერ და მეტადაც. საკუთრების სხვადასხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 60%-მდე წამგებიანია. ცხრილიდან ჩანს, რა მიზერული ხვედრითი წონა უკავია მათ კვების პროდუქციის წარმოების სერვო მოცულობაში, ოჯახურ მეურნეობებთან შედარებით.

მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის დეინდუსტრიალიზაცია. რომელ მექანიზაციაზე და ინდუსტრიალიზაციაზე შეიძლება მსჯელობა პარცერული ფართობებისა და ნაკვეთების მქონე მეურნეობებში, როცა სოფლის მეურნეობის ორივე სუბიექტში (ოჯახური მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, როგორც აქვს დაყოფილი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს) 729542 ნაკვეთიდან 1 ნაკვეთი გააჩნია 247312 მეურნეობას, ანუ 33,9%-ს, 2-დან 3-მდე ნაკვეთი - 356032-ს ანუ მეურნეობათა 48,8%-ს, 4-დან 5-მდე ნაკვეთი 94482 მეურნეობას, ანუ 13%-ს. ასე რომ, მეურნეობათა 95,7%-ს 1-5 ნაკვეთი აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სახით. [45]

იმავე პერიოდში დაირღვა სოფლის მეურნეობის სოციალური სფეროც, გაიზარდა აშკარა და ფარული უმუშევრობა. მოსახლეობის 25%-ზე მეტი მყარად იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

დღეისათვის ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობათა მოდელის რეალიზაციამ ქვეყანაში გამოიწვია რიგი ნეგატიური ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური შედეგები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. ჩამოყალიბდა ბაზრისა და საბაზრო ურთიერთობათა ელემენტარული გამარტივებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის მხოლოდ თავისუფალ წარმოებას და ვაჭრობას, სახელმწიფო რეგულირების გარეშე, რამაც გამოიწვია მეურნეობათა უმრავლესობაში პროდუქციის წარმოების არახელსაყრელობამდე. [38]

2. გადამწყვეტი გახდა ბაზრის სტრუქტურისა და სუბიექტების ფორმირებისადმი მოძველებული მიდგომა - თითქოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება შეუძლიათ მხოლოდ მიწის კერძო მესაკუთრეებს. ასეთმა მცდარმა აზრმა განაპირობა ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომელმაც დააჩქარა მსხვილი სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების რეგონიზაციისა და პრივატიზაციის პროცესი, მათი რეალური ეფექტიანობის მხედველობაში მიუღებლად. მხოლოდ კერძო და ოჯახური მეურნეობებით სურსათით მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილება და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრის საქმეში მათი დიდი როლი ჰიპერპოლიზირებულია. მსოფლიო პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ბაზრის სუბიექტი კონკურენციის შენარჩუნებისათვის, აუცილებელია იყოს ნებისმიერი სახის მესაკუთრე - კერძო, კოლექტიური, კოოპერაციული და

სახელმწიფოც.

აგრარული რეფორმის დამთავრების შემდეგ, ქვეყანაში წარმოებული იყო 6849 მლნ ლარის ღირებულების მთლიანი და შიდა პროდუქტი, საიდანაც 24,9% სოფლის მეურნეობაზე მოდის. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში კი - 2280 მლნ ლარი, ანუ 1754 მლნ დოლარი. კერძო სექტორის წილად მოდის 80%, ანუ 1844 მლნ ლარი, ხოლო სახელმწიფო სექტორის წილად - 20%, ანუ 436 მლნ ლარი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ჯერ ძალზე შესამჩნევად დაეცა, მაგრამ შემდეგ კვლავ თანდათან გაიზარდა და 1990 წელთან შედარებით, კლება მხოლოდ 20%-მდე აღინიშნება.

თუ გასულ საუკუნეში სოფლის მეურნეობა იყო დარგი, რომელშიც ჯერ კიდევ დასაქმებული იყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დღეისათვის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აგრარული სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს მხოლოდ რამოდენიმე პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი, ეკონომიკაში დასაქმებულთა მთელ რიცხვში, 10%-ს აღემატება.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე და მისი განვითარების ტემპებზე ბევრად არის დამოკიდებული ეროვნულ მეურნეობაში დარგთა შორის პროპორციები და მთელი ქვეყნის ეკონომიკის ზრდა. ჩვენი ქვეყნის ეროვნული სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში (2004 წლის მონაცემებით) სოფლის მეურნეობის წილად მოდის 50,4%, ხოლო საბაღიანსო მოგებაში 17,5%.

ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობიდან 44,3%

მოდის სოფლად მომუშავეებზე. ერთი ასეთი კაცი ინახავს მატერიალური წარმოების სხვა სფეროებში მომუშავე 5-7 კაცს. სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის გამოიყენება ქვეყნის მიწების 42%-მდე.

ასე რომ, სოფლის მეურნეობა - ესაა არა მარტო ეკონომიკის დარგი, არამედ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საცხოვრისი გარემო. აქ ხდება ერის ზნეობრივი საფუძვლების ფორმირება, მისი ეროვნული ფსიქოლოგია, ისტორიული მეხსიერება.

მეოცე საუკუნის დასასრულს მოსახლეობის მოთხოვნილებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე იმდენად გაიზარდა, რომ ბიოსფერო ვეღარ უზრუნველყოფს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ზოგიერთი პროდუქტის წარმოების რესურსი აღმოჩნდა ამოწურვის ზღვარზე.

იმავე პერიოდში გაიზარდა წინააღმდეგობები ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებში. მრავალმა ქვეყანამ პრაქტიკულად მიაღწია პროდუქტიულობის მაქსიმუმს, მაგრამ ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, საფრთხე შეექმნა ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს. ამის გამო, ბევრი ქვეყანა „მდგრადი განვითარების“ კონცეფციის რეალიზების პირობებში გადადის ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხო ინტეგრირებულ ტექნოლოგიაზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაველიანობის შემცირებაზე.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიოს 178 ქვეყანამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც არის სამოქმედო რეკომენდაციების კრებული და უნდა გაატარონ სახელმწიფოებმა მომავალი ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რიოს

კონფერენციაზე დამტკიცდა სტაბილური, ანუ მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს არსებული რესურსების უფრო ეკონომიკურად და ეფექტიანად გამოყენებას ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ამასთან, აღინიშნა, რომ ეკონომიკური საქმიანობა უნდა წარიმართოს გარემოსათვის უსაფრთხო მიმართულებით.

ამის მისაღწევად, ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ საჭიროა მოსახლეობის მოთხოვნილებების შეზღუდვა საკვებზე, ზოგი მოსავლიანობის შემცირების მომხრეა, ზოგი პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის, ისე რომ არ დაირღვეს ეკოსისტემა.

ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება არ წარმოადგენს ამ დარგის განსაკუთრებულ სფეროს. მდგრადმა სოფლის მეურნეობამ უნდა დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილებები წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივ რესურსებზე და საკვებზე, დაიცვას ნიადაგი გამოფიტვისგან, მიღებული პროდუქცია იყოს ეკოლოგიურად სუფთა. ამასთან, შესწავლილ იქნეს ცალკეული სახის პროდუქციის მისაღებად ეკოლოგიურად უსაფრთხო მოვლამოყვანის ტექნოლოგია, დაწყებული - თესლის შეწამვლიდან, დამთავრებული - მოსავლის დაბინავებამდე.

ჩვენი აზრით, მდგრადი სოფლის მეურნეობა არ გულისხმობს არც პროდუქციის წარმოების რაოდენობრივ და არც ხარისხობრივ შეზღუდვას. მასზე გადასვლით საჭიროა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის შევიმუშაოთ სამოქმედო პროგრამა პროდუქციის წარმოების ხარჯების გათვალისწინებით. დავამუშაოთ ფერმერისათვის სარეკომენდაციო წინადადებები. მან უნდა იცოდეს,

როგორ მიიღოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ისე, რომ შეინარჩუნოს ნიადაგის ნაყოფიერება და ყოველივე ეს, უნდა განხორციელდეს მდგრადად.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ახალციხის რაიონის რამდენიმე ფერმერული მეურნეობა, რომელიც ორიენტირებულია კარტოფილის წარმოებაზე. გავაანალიზეთ კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები და დავსახეთ ღონისძიებები მისი წარმოების მდგრადი განვითარებისათვის, რომელსაც აქ გთავაზობთ.

კარტოფილის წარმოებისა და მოხმარების გაფართოება საქართველოს სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად მიგვაჩნია. თუმცა, ეს პრობლემა უნდა მოექცეს კარტოფილის წარმოების მდგრადი განვითარების ჩარჩოებში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს არა მარტო უბრალოდ კარტოფილის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, არამედ მის შესაბამისობას ეკოლოგიურობის ხარისხის ზრდასთან.

კარტოფილი, თავისი ბიოლოგიური თვისებებით, საუცხოოდ არის შეგუებული საანალიზო სამცხე-ჯავახეთის პირობებს. ამ მხრივ, მას კონკურენციას ვერ უწევს ვერცერთი დღემდე ცნობილი სასოფლო-სამეურნეო კულტურა და იგი რეგიონის სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. [31], [32].

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მთელ ნათეს ფართობებში, 2004 წლისათვის სამცხე-ჯავახეთის წილად მოდიოდა სულ 10,1% (59335 ჰა). აქედან, კარტოფილს უკავია მხოლოდ 13153 ჰექტარი (30,8%). თვით ამ რეგიონის შიგნით კარტოფილის ნათესი ფართობების სიდიდის მიხედვით, რაიონები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდება: ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა,

ადიგენი, ბორჯომი, ასპინძა. ახალქალაქის რაიონში ამ კულტურით დაკავებულია 6049 ჰექტარი, ანუ 46%. მარტო 2002-2004 წწ. მისი ფართობი რეგიონში გაიზარდა 1652 ჰექტარით.

რეგიონში კარტოფილის საჰექტარო მოსავლიანობაც 129 ც/ჰა მაღალია რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 81 ცენტნერით.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორები მეტნაკლებად ცნობილია, როგორც ფერმერებისათვის, ისე ოჯახური მეურნეობებისათვის, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი და შესწავლილი ცალკეული, კონკრეტული სახის პროდუქციის საწარმოებლად მოსალოდნელი (სავარაუდო) ცვლადი დანახარჯები და ის ეკოლოგიური საფრთხე, რომელიც შეიძლება მოყვეს ამ პროდუქციის წარმოებისას (ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქცია, ნიადაგის გამოფიტვა და სხვა). ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ახალციხის რაიონის მეკარტოფილეობის მიმართულების რამოდენიმე ფერმერული მეურნეობის ცვლადი დანახარჯები, რომელიც გავთვალეთ მთლიანი ტექნოლოგიური ციკლის განმავლობაში, რის საფუძველზეც შეთავაზებული გვაქვს კარტოფილის წარმოების მდგრადი განვითარების ტექნოლოგია.

აღმოჩნდა, რომ ერთ ჰექტარზე კარტოფილის წარმოებისათვის საჭიროა 2571,32 ლარის დანახარჯი. მათ შორის, ყველაზე მეტი, ანუ 43% (1105 ლარი) მოდის სათესლე მასალაზე, თანაც იმის გათვალისწინებით, თუ გამოვიყენებთ 72% საკუთარი წარმოების თესლს, დანარჩენს კი ვიყიდით. ხარჯები სასუქების შეტანასა და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, შეადგენს 539,57 ლარს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ცვლად დანახარჯებში ყველაზე მეტი ხვედრითი

წლით (28,3%) წარმოდგენილია ხარჯები მექანიზაციაზე. იგი შეადგენს 726,75 ლარს.

დღეისათვის კარტოფილის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას, საჭიროა წინასწარ იქნას გაანგარიშებული მარჟინალური მოგება, რომელიც წარმოადგენს სხვაობას შეფასებად პროდუქციის ღირებულებასა და პროპორციულ-ცვლად დანახარჯებს შორის. ჩვენმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ზონის მეკარტოფილეობის არცერთ ფერმერულ მეურნეობაში არ ანგარიშობენ ცვლად დანახარჯების სტრუქტურას და მარჟინალური მოგებასაც. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს, რამდენად გაიზრდება მეურნეობის მთლიანი მოგება საწარმოო პროცესის ერთი ერთეულით გაფართოებისას იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა წარმოების საჭირო ფაქტორების დამატებითი რეზერვები. მიღებული სიდიდით ხდება წარმოების პროცესის მუდმივი დანახარჯების დაფარვა და აგრეთვე გამოიყენება თვით საწარმოს მოგების გამოანგარიშება.

კარტოფილის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ხარისხის ამაღლება. ეს კი შესაძლებელია მისი დარგვიდან მოსავლის აღებამდე და დაბინავება-შენახვამდე გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა პირობა უხვმოსავლიანი, ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მისაღებად. მათ შორის: განისაზღვროს კარტოფილის ბიოლოგიური თავისებურებანი; გარემო პირობები (ტემპერატურა, სინათლე, წყლის რეჟიმი); სასუქებზე ამ კულტურის მოთხოვნილება, დოზები და მისი ნიადაგში შეტანის ნორმები; რეკომენდირებული სასუქების სახეები; კარტოფილის აგროტექნიკა (ნიადაგის დამუშავება, ტურებების დარგვის ვადები და ნომა) და სხვა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე კარტოფილის დაავადებებთან ბრძოლის აქტიური ღონისძიებების შემუშავება. უპირველეს ყოვლისა, თესლი დარგვის წინ უნდა დამუშავდეს სპეციალური პრეპარატით. ამასთან, დაავადებათა მიმართ გამძლეობის გაზრდისა და სწრაფად აღმოცენების მიზნით, სარგავად გამოყენებული უნდა იქნეს ვირუსული გადაგვარებისაგან თავისუფალი, გადარჩენილი თესლი, რათა არ გაჩნდეს სხვადასხვა სახის დაავადება.

მთელი ვეგეტაციის პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარებას (უმთავრესად, კოლორადოს ხოჭოსთან, მახრასთან, მავთულა ჭიებთან).

ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს კარტოფილის რეალიზაციამდე პერიოდში შენახვის პირობების მკაცრად დაცვა. სწორედ ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება დაგვიცავს მოსავლის დანაკარგებისაგან, რომელიც აღებული მოსავლის 25%-საც აღწევს.

2.2. მეკარტოფილეობის განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო და საკვლევი რეგიონის პრიორიტეტულობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების გაადგილებამ და სპეციალიზაციამ საბჭოთა წყობილების პერიოდში რამდენჯერმე იცვალა ხასიათი და ჩამოყალიბდა საერთო საკავშირო, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრინციპების შესაბამისად, საკავშირო სასურსათო ფონდების ფორმირების ადმინისტრაციული მოთხოვნებით, რის გამოც, პრიორიტეტი მიენიჭა მევენახეობას, მეხილეობას, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობას. ქვეყანაში სოფლის

მეურნეობის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პროცესი შეწყვეტილი იქნა ხელოვნურად - საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით, რომელიც არ შეესაბამებოდა არც ქართველი გლეხის ბუნების და არც ქვეყანაში მეურნეობრიობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს ქართველი კაცის ადათ-წესებს და მის ჩვევებს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის მერე, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საადგილმამულო ურთიერთობებში - მოსახლეობას პირად საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი, ხარვეზებით წარიმართა აგრარული რეფორმა და სხვა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია, როგორც სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე, ისე ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების ეფექტიანად გამოყენებაზე.

კერძო საკუთრება და პიროვნების თავისუფლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში გახდა ადამიანის ყოფიერების განმსაზღვრელი ორი ძირითადი, ბუნებრივი კრიტერიუმი, რომლის არსებობასა და განვითარების დონეზე დამოკიდებულია მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა.

დღეისათვის სასურსათო პროდუქციის უმეტეს ნაწილს, მათ შორის, კარტოფილსაც, უკვე აწარმოებენ ოჯახური, გლეხური მეურნეობები (იხ. ცხრ. 2.2.1. და 2.2.2.), რომლებიც ორიენტირებული არიან თვითუზრუნველყოფაზე და ახასიათებთ სასაქონლო პროდუქციის ძალზე მცირე მოცულობით წარმოება. გლეხური მეურნეობები ამჟამად უპირატესობას აძლევენ მარცვლეულის, კარტოფილის,

ბოსტნეულის და განსაკუთრებით, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, ნაცვლად ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტული დარგებისა.

ამის შედეგია ის, რომ მთლიანად დაირღვა სოფლის მეურნეობის წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის კარგად ჩამოყალიბებული სქემა, სტრუქტურა. წვრილი, კერძო ოჯახური მეურნეობები კი აწარმოებენ მხოლოდ იმ პროდუქციის სახეებს, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის თვითდაკმაყოფილებას და უკეთეს შემთხვევაში, სულ მცირედი ნაწილით, სასაქონლო პროდუქციასაც, რომელიც ასე სჭირდება გადატაკებული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

ასეთი კრიზისული მოვლენების განვითარებას ხელი შეუწყო საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ხელისუფლების ხშირმა ცვლამ, რომელმაც ხელი შეუშალა აგრარული რეფორმის ჩატარების კანონზომიერ განვითარებას.

მოსახლეობის ძირითადი, საარსებო პროდუქტების მწარმოებელი დარგები ადრეც და ამჟამადაც გაადგილებულია მთაში და მთისწინებში, სადაც წარმოების დაბალი ეფექტიანობის სამთო მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი მრავალი ფაქტორით არის განპირობებული: საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე, მთიდან მოსახლეობის მიგრაცია და მრავალი სხვა.

ადრე ამ დარგების დაფინანსება სახელმწიფო რესურსებიდან არასაკმარისად ხდებოდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მერე კი, ოჯახური მეურნეობების (რომელთა რიცხვი დღეს მილიონს

აჭარბებს) დაფინანსება, სუბსიდირება მთავრობამ საერთოდ მიატოვა.

ამრიგად, სასიცოცხლოდ აუცილებელი კვების პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის წარმოების გონივრულ განლაგებას და

ცხრილი 2.2.1.

ძირითადი ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათას ტონებში)

| | | წლები | | | | | 2004წ. %-ში 1985 წ/თან |
|---|------------|-------|-------|-------|-------|-------|---------------------------------|
| | | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 | |
| 1 | ხორბალი | 174,2 | 257,7 | 453,1 | 76,5 | 89,4 | 106,6 |
| 2 | სიმინდი | 321,5 | 270,2 | 386,5 | 295,9 | 410,6 | 127,7 |
| 3 | პარკოსნები | 16,1 | 7,3 | 14,8 | 2,7 | 12,2 | 75,8 |
| 4 | მზესუმზირა | 9,3 | 7,7 | 7,1 | 2,6 | 22,3 | 239,8 |
| 5 | თამბაქო | 10,4 | 8,1 | 1,0 | 1,9 | 1,5 | 14,2 |
| 6 | კარტოფილი | 393,8 | 293,8 | 353,3 | 302,0 | 419,5 | 106,5 |
| 7 | ბოსტნეული | 604,3 | 443,2 | 428,3 | 354,2 | 400,5 | |

ცხრილი 2.2.2

ძირითადი ერთწლიანი კულტურების წარმოება ოჯახურ მეურნეობებში (ათას ტონებში) და მათი ხვედრითი წილი (პროცენტებში)*

| | | წლები | | | | |
|---|-------------------------------|---------------|-------------|-------------|-------------|--------------|
| | | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 |
| 1 | ხორბალი ათასი ტონა % | 0,0 0 | 0,3 0 | 19,6 26 | 79,5 89 | 165,2 89 |
| 2 | სიმინდი ათასი ტონა % | 149,4 46,0 | 167,0 62 | 368,2 95 | 283,4 96 | 397,7 97 |
| 3 | პარკოსნები ათასი ტონა % | 7,7 48 | 4,5 62 | 14,1 99 | 2,7 99 | 16,5 99,4 |
| 4 | მზესუმზირა ათასი | 0,1 | 0,1 | 1,8 | 2,1 | 20,5 |

| | | | | | | |
|---|------------------------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| | ტონა % | 1 | 1 | 25 | 81 | 94 |
| 5 | თამბაქო ათასი ტონა % | 3,5 17 | 0,5 6 | 0,9 90 | 1,9 99 | 1,5 100 |
| 6 | კარტოფილი ათასი ტონა % | 168,6 43 | 143,2 49 | 341,4 97 | 298,9 99 | 406,5 97 |
| 7 | ბოსტნეული ათასი ტონა % | 286,7 47 | 259,6 59 | 416,0 97 | 349,6 99 | 388,9 97 |

*შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კრებული - სოფლის მეურნეობის მონაცემებით 2004. თბილისი სპეციალიზაციის პრობლემას ნაკლები ყურადღება ექცეოდა კვლევის საბაზისო,

1985 წლიდან - საანგარიშო 2004 წლის პერიოდშიც. ამის გამო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების არსებული სტრუქტურა პრაქტიკულად გამორიცხავდა ადრე და ამჟამადაც კრიტიკულ სიტუაციებში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში პოზიტიური ცვლილებებიც: გამოიკვეთა ერთწლიანი კულტურების, პირველ რიგში, მარცვლეულის, კარტოფილისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით სოფლის მოსახლეობის დაინტერესება, ასევე, გამოიკვეთა მათი ნათესი ფართობების გადიდებისა და პირუტყვის (განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი) სულადობის გადიდების ტენდენცია; შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოებისადმი მათი გასაღების ტრადიციული ბაზრების დაკარგვის გამო. არა და, 1990 წლამდე ამ პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგენდა გლეხობის შემოსავლების ძირითად წყაროს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ (80-100 პროცენტით)

საზოგადოებრივი მეურნეობებიდან გადაინაცვლა კერძო სექტორში. ნეგატიურ ცვლილებას უნდა მივაწეროთ ის, რომ ვეღარ ხორციელდება წარმოებული პროდუქციით (ნედლეულით) მათი გადამამუშავებელი საწარმოების უზრუნველყოფა, რამაც გამოიწვია მათი ფინანსური კრიზისი და ბევრი მათგანი აღარ ფუნქციონირებს, მხოლოდ ახლა იწყება მათი რეამინაციის პროცესი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები სამწუხაროდ, ხდება სტიქიურად, ყოველგვარი მეცნიერული რეკომენდაციების გარეშე. სახელმწიფო ჯერჯერობით არ ასრულებს გარკვეულ მარეგულირებელ როლს.

ქვეყანაში შეუძლებელია ძირითადი პროდუქტების (მათ შორის, კარტოფილის) იმ რაოდენობით წარმოება, რომ შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული მოცულობით.

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის კაპიტალდაბანდებებისა და ინვესტიციების მოზიდვა, მაღალპროდუქტიული მეთესლეობის განვითარება, სამელიორაციო ობიექტებისა და სარწყავი სისტემების აღდგენა, სამთო მიწათმოქმედების პირობებს მისადაგებული მაღალმწარმოებლური, ე.წ. მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნა ოჯახური მეურნეობებისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების დანერგვა (თუნდაც, ისეთის, როგორსაც ჩვენ ვიძლევიტ საგვიანო და საადრეო კარტოფილის წარმოებისათვის. ცხ. 2.2.3 და 2.2.4), წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მარკეტინგის რეკლამირების პრობლემების მოგვარება და სხვა. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია ადგილობრივი მოხმარების

პროდუქტებზე სახელმწიფომ გაატაროს პროტექციონისტური პოლიტიკა, გამოიყენოს ეკონომიკური რეგულირების სხვადასხვა ბერკეტები. მაგალითად, დააწესოს იმპორტულ კარტოფილზე ისეთი მაღალი საბაჟო გადასახადი, რომ იგი არ გაიყიდოს ჩვენს ქვეყანაში იმაზე დაბალი დემპინგური ფასებით, ვიდრე იგივე უჯდებათ ადგილობრივ მწარმოებლებს, რათა მათაც მიიღონ რეალიზაციის შედეგად მოგება.

საჭიროა მთლად ხელი არ ავიღოთ მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოებზე, არამედ დავადგინოთ მათი წარმოების ოპტიმალური პარამეტრები, რომლებიც კიდევ დააკმაყოფილებენ ადგილობრივ ბაზარს და კონკურენტუნარიანი იქნებიან მსოფლიო ბაზარზეც. ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგში უნდა ვაწარმოოთ ის პროდუქცია, რომლის წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები არსებობს.

მას შემდეგ, რაც დადასტურდა საკვლევი რეგიონის პრიორიტეტულობა და წამყვანი როლი კარტოფილის წარმოებაში საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ დავახასიათოთ სამცხე-ჯავახეთის ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები, რომელიც ხელს უწყობს მეკარტოფილეობის დარგის განვითარებას.

რეგიონის მოკლე დახასიათება. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მისი ფართობია 6389 კმ², რაც საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობის (69700 კმ²) 7,5%-ს შეადგენს, სამცხე წარმოდგენილია ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებით, საერთო ფართობით 2610 კმ². ჯავახეთი კი მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, 2590 კმ² საერთო

ფართობით. ბორჯომის რაიონი - მესხეთში შემავალი

ცხრილი 2.2.3.

საგვიანო კარტოფილის მოვლა-მოყვანის მარჟინალური მოგების ანგარიში

ერთეული

I ჰექტარი

| | | | |
|----------------------------|----------------------|----------------|----------------------|
| შემოსავლები: | რაოდენობა ტონა/ჰა | ფასი ლარი/ტ | სულ თანხა ლარი/ჰა |
| კარტოფილის მოსავალი | 23 | 230 | 5060 |
| ფონები ჩაიხვენება მინდორში | | | 0 |
| სულ შემოსავალი | | | 5060 |

ხარჯები

ღიზელის ფასი

1,2 ლარი/ლიტრი

| № | ტექნოლოგიური პროცესის დასახელება | მასალის ხარჯები | | | | მექანიზაცია | | შრომა ხელფასი ლარი/ჰა | სულ პროცესის ხარჯი ლარი/ჰა |
|---|----------------------------------|-------------------|---------|------------|-------------------|---------------|---------------------|-----------------------------|-------------------------------|
| | | მასალის რაოდენობა | ერთეული | ფასი ლ/ერთ | მას.ხარჯი ლარი/ჰა | საწვავი ლიტრი | საწვ. ხარჯი ლარი/ჰა | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | მოხვნა | | | | 0 | 30 | 36 | 30 | 66 |
| 2 | დაფარცხვა | | | | 0 | 20 | 24 | 20 | 44 |
| | სათესლე მასალის ტრანსპორტირება | 2500 | კგ | | | 3 | 4 | 2 | 6 |
| 3 | თესვა, კვალგამჭრელი | 2500 | კგ | 0,6 | 1500 | 10 | 12 | 20 | 1532 |

| | | | | | | | | | |
|----|---|-----|----|------|-----|----|----|-----|-----|
| | ხელით | | | | | | | | |
| 4 | აზოტის (სუფთა ნივთიერება) შეტანა | 101 | კგ | 1,05 | 106 | 4 | 5 | 3 | 114 |
| 5 | ფოსფორის (სუფთა ნივთიერება) შეტანა | 122 | კგ | 1,4 | 171 | 4 | 5 | 3 | 178 |
| 6 | კალიუმის (სუფთა ნივთიერება) შეტანა | 244 | კგ | 0,5 | 122 | 4 | 5 | 3 | 130 |
| 7 | მორწყვა, ქირით 3-ჯერ | | | | 0 | | 0 | 45 | 45 |
| 8 | ფუნგიციდის შესხურება, ხელით 3-ჯერ | 7,5 | კგ | 50 | 375 | | 0 | 30 | 405 |
| 9 | ინსექციდის შესხურება, ხელით 2-ჯერ | 2,5 | კგ | 50 | 125 | | 0 | 20 | 145 |
| 10 | თოხნა, ხელით ხელით 2-ჯერ | | | | | 0 | 0 | 150 | 150 |
| 11 | მოსავლის აღება, ამომთხრელი ხელით | | | | 0 | 18 | 22 | 90 | 112 |
| 1 | საწყობში | | | | 0 | 11 | 13 | 10 | 23 |

| | | | | | | | | | |
|--------|--|--|--|--|------|-----|-----|-----|------|
| 2 | გადაზიდვა- ჩამოცლა, 10 კმ | | | | | | | | |
| 1 3 | მიწის იჯარა | | | | 0 | | | | 57 |
| 1 4 | სულ ხარჯების ჯამი | | | | 2399 | 104 | 125 | 426 | 3007 |
| 1 5 | მარუინალური მოგება, ლარი/პა-წელი | | | | | | | | 426 |

ცხრილი 2.2.3.-ის გაგრძელება

| აგროვადები და მოთხოვნა სამუშაო დროზე თვეების მიხედვით, კაც/სთ | | | | | | | | | | | |
|---|----|-----|-----|----|----|-----|------|----|-----|----|-----|
| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | XI | X | XI | XII |
| | | 2 | | | | | | | | | |
| | | 0,8 | | | | | | | | | |
| | | 0,6 | | | | | | | | | |
| | | 12 | | | | | | | | | |
| | | | 0,7 | | | | | | 0,7 | | |
| | | | | | | | | | 0,7 | | |
| | | | | - | | - | -- | | | | |
| | | | | 8 | 8 | 8 | | | | | |
| | | | | | 8 | | 8 | | | | |
| | | | | 50 | | 50 | | | | | |
| | | | | | | | | 90 | | | |
| | | | | | | | | 5 | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|--|-----|------|-----|------|------|------|-----|------|-----|--------------------|-----|--|
| 0,0 | 0,0 | 15,4 | 0,7 | 58,0 | 16,0 | 58,0 | 8,0 | 95,0 | 1,4 | 0,0 | 0,0 | |
| სულ მოთხოვნა სამუშაო დროზე წლის განმავლობაში | | | | | | | | | 253 | კაც/საათი/ჰა-წყალი | | |

გაანგარიშებულია გავაშედიშვილი გ-ს მონაცემებით წიგნიდან „მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური შეფასება მეთოდით საქართველოს პირობებში“. თბილისი, 2005.

ცხრილი 2.2.4

საადრეო კარტოფილის მოვლა-მოყვანის მარჟინალური მოგების ანგარიში

ერთეული I ჰექტარი

| შემოსავლები: | რაოდენობა ტონა/ჰა | ფასი ლარი/ტ | სულ თანხა ლარი/ჰა |
|---------------------------|----------------------|----------------|----------------------|
| კარტოფილის მოსავალი | 26 | 330 | 6600 |
| ფონები ჩაიხვდება მინდორში | | | 0 |
| სულ შემოსავალი | | | 6600 |

ხარჯები
ლარი/ლიტრი

დიზელის ფასი 1,2

| | | | | |
|--|-----------------|-------------|-------|-----|
| | მასალის ხარჯები | მექანიზაცია | შრომა | სულ |
|--|-----------------|-------------|-------|-----|

| № | ტექნოლოგიური პროცესის დასახელება | მასალის რაოდენობა | ერთეული | ფასი ლ/ერთ | მას.ხარჯი ლარი/ჰა | საწვავი ლიტრი | საწვ. ხარჯი ლარი/ჰა | ხელფასი ლარი/ჰა | პროცესის ხარჯი ლარი/ჰა |
|---|------------------------------------|-------------------|---------|------------|-------------------|---------------|---------------------|-----------------|------------------------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | მოხვნა | | | | 0 | 30 | 36 | 30 | 66 |
| 2 | დაფარცხვა | | | | 0 | 20 | 24 | 20 | 44 |
| | სათესლე მასალის ტრანსპორტირება | 3500 | კგ | | | 4 | 5 | 2 | 7 |
| 3 | თესვა, კვალგამჭრელი ხელით | 3500 | კგ | 0,6 | 2100 | 10 | 12 | 20 | 2132 |
| 4 | აზოტის (სუფთა ნივთიერება) შეტანა | 132 | კგ | 1,05 | 139 | 4 | 5 | 3 | 146 |
| 5 | ფოსფორის (სუფთა ნივთიერება) შეტანა | 172 | კგ | 1,4 | 241 | 4 | 5 | 3 | 249 |
| 6 | კალიუმის (სუფთა ნივთიერება) შეტანა | 340 | კგ | 0,5 | 170 | 4 | 5 | 3 | 1278 |
| 7 | მორწყვა, ქირით 3-ჯერ | | | | 0 | | 0 | 30 | 30 |

| | | | | | | | | | |
|----|-----------------------------------|-----|----|----|-----|---|---|-----|-----|
| 8 | ფუნგიციდის შესხურება, ხელით 3-ჯერ | 7,5 | კგ | 50 | 375 | | 0 | 30 | 405 |
| 9 | ინსექციდის შესხურება, ხელით 2-ჯერ | 2,5 | კგ | 50 | 125 | | 0 | 20 | 145 |
| 10 | თოხნა, ხელით ხელით 2-ჯერ | | | | | 0 | 0 | 150 | 150 |

| ცხრილი 2.2.4 | | | | | | | | | | | | |
|---|-----------------------------------|-----|-----|----|---|------|-----|------|-----|------|----|-----|
| 11 | მოსავლის აღება, ამომთხრელი ხელით | | | | | 0 | 0 | 0 | 140 | 140 | | |
| 12 | საწყობში გადაზიდვა-ჩამოცლა, 10 კმ | | | | | 0 | 11 | 13 | 10 | 23 | | |
| 13 | მიწის იჯარა | | | | | 0 | | | | 57 | | |
| 14 | სულ ხარჯების ჯამი | | | | | 3149 | 87 | 104 | 461 | 3772 | | |
| 15 | მარჟინალური მოგება, ღარი/ჰა-წელი | | | | | | | | | 2828 | | |
| აგროვადები და მოთხოვნა სამუშაო დროზე თვეების მიხედვით, კაც/სთ | | | | | | | | | | | | |
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | XI | X | XI | XII |
| | | 2 | | | | | | | | | | |
| | | 0,8 | | | | | | | | | | |
| | | 0,6 | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|--|------|-----|------|------|-------|-----|-----|-----|--------------------|-----|-----|
| | 12 | | | | | | | | | | |
| | | 0,7 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 0,7 | | |
| | | | | | | | | | 0,7 | | |
| | | - | | - | | | | | | | |
| | | | 8 | 8 | 8 | | | | | | |
| | | | | 8 | 8 | | | | | | |
| | | | 50 | | 50 | | | | | | |
| | | | | | 140 | | | | | | |
| | | | | | 4 | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| 0,0 | 15,4 | 0,7 | 58,0 | 16,0 | 210,0 | 0,0 | 0;0 | 1,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სულ მოთხოვნა სამუშაო დროზე წლის განმავლობაში | | | | | | | | 302 | კაც/საათი/ჰა-წყალი | | |

გაანგარიშებულია გავაშეღიშვილი გ-ს მონაცემებით წიგნიდან „მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური შეფასება მეთოდით საქართველოს პირობებში“. თბილისი, 2005.

თორისა და ხეობის ტერიტორიებს, ასევე სამცხისა და ჯავახეთის მცირე ნაწილს - სულ 1189 კმ².

სამცხე-ჯავახეთი მთაგორიანი მხარეა - მოვაკებული ტერასებით, ხეობებით, გორაკ-ბორცვებით და ვულკანური წარმოშობის მთებით. სამცხე წარმოდგენილია ახალციხის დეპრესიით⁷ (800-1500 მ.ზ.დ.) მესხეთის, არსიანის, ერუშეთის, კასრის, გუმბათის ქედებით, ვანის მთისა და თრიალეთის ქედის კალთებით. ჯავახეთი კი მდებარეობს ვულკანურ პლატოზე (1800 მ.ზ.დ.) მათა მთელი სისტემებით: ნიალის ქედი (სამხრეთით), თრიალეთის ქედის სამხრეთი კალთები (ჩრდილოეთით) , ჯავახეთის ქედი (აღმოსავლეთით) და აბულ-სამსარის ქედი, რომელიც მის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

სამცხე-ჯავახეთის მიწათსარგებლობის სურათი ასეთია: სასოფლო-სამეურნეო მიწები - 68,5%, სამოსახლო ტერიტორია - 5%, სახნავი მიწები - 3,7%, ტყეები - 20,1%, ბუჩქნარები - 0,9%.

ასე რომ, სამცხე-ჯავახეთის რელიეფით მკვეთრად განსხვავებულ ორ მხარედ იყოფა: დასავლეთი- სამცხე და აღმოსავლეთი - ჯავახეთი. მათი სირთულე ბუნებრივი პირობების კონტრასტულების და ნაირგვარობას განაპირობებს.

კლიმატი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჰავა მშრალი კონტინენტურია. ქვაბულის მდებარეობა კლიმატის თავისებურებას განაპირობებს. ზამთარი ცივია. იანვრის საშუალო ტემპერატურა 8,5-9,0⁰-ია, აბსოლუტური მინიმალური კი 30-38⁰. ზაფხული ზომიერად ცხელია. ივლის-აგვისტოს ტემპერატურა პლუს 16-21⁰-ია. ზაფხულის მაქსიმალური ტემპერატურა მესხეთში ზოგჯერ 35-39⁰-ს აღწევს. მესხეთის მნიშვნელოვან ნაწილში ნალექები მცირეა (500-700მმ), ჯავახეთის პლატოზე ზაფხული გრილია, ნალექები მცირე - 500-600მმ. რაც ერთ-ერთ

მთავარ პირობას წარმოადგენს მაღალხარისხიანი გვიანი კარტოფილის წარმოებისათვის.

ნიადაგები.—სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დაბალ ნაწილში განვითარებულია მდელოს ყავისფერი, ალუვიური და კარბონატული ნიადაგები. მაღლობებსა და ქედების ქვედა კალთებზე გვხვდება შავმიწისებრი და მთა-მდელოს ნიადაგები. მთათაშორის ქვაბული ალუვიური ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგებითაა დაფარული. მდინარის ნაფენებზე დე მესხეთის ტერასებზე ყველაზე მეტი ფართობი უკავია ალუვიურ კარბონატულ ნიადაგებს. მთისწინების ზონაში გაბატონებულია გარდამავალი სახის რუხ-ყავისფერი ნიადაგები. ტყის ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია ახალციხის გარშემო (900-1200 მ), მუქი ყომრალი ნიადაგები გავრცელებულია ბორჯომის რაიონის ნაძვნარ და ფიჭვნარ ტყეებში. სუბალპიურ და ალპიურ ზონებში გვხვდება ტორფით მდიდარი და პრიმიტული მთამდელოს ნიადაგები.

სუბალპიური და ალპური ზონები ხასიათდება მცენარეული საფარის მრავალფეროვნებით, ხელს უწყობს ბიომასის შექმნას. ამიტომ ისინი წარმოქმნიან საზაფხულო სათიბ-საძოვრებს, რაც ეგზომ ხელს უწყობს რეგიონში მეცხოველეობის განვითარებას.

აუცილებლად აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის განუმეორებელი სილამაზის ლანდშაფტი თავისი ტყეებით, ტბებით, მდინარეებით, განსაკუთრებული უნიკალური ეკოსისტემით და სხვ, რის გამოც, მას საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებენ და ტურიზმის განვითარებისათვის ძალზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის. [40], [36]

2.3. მეკარტოფილეობის როლი და ადგილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. განვითარების ზონალურ-დიფერენცირებული ეკონომიკური პარამეტრები და დარგთაშორისი პროპორციები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყნის ტერიტორიაზე გაადგილებისა და სპეციალიზაციის გონივრული დასაბუთება ბევრად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის უამრავ თავისებურებაზე და სპეციფიკაზე ცალკეულ რეგიონებსა და რაიონებში. მათი ანალიზი და შესწავლა აუცილებელი პირობაა საკვლევი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

საქართველო სამთო მიწათმოქმედების ზონას განეკუთვნება, რადგან იგი მნიშვნელოვანწილად მთაგორიანი ქვეყანაა. მთელი ტერიტორიის 55,6 პროცენტი მთებზე, 33,4 პროცენტი მთისწინებზე, ხოლო 13 პროცენტი დაბლობზე მოდის. ტერიტორიის რთული და მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი ვლინდება, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით, რაც განაპირობებს მისი ტერიტორიის ცალკეული რეგიონებისა და რაიონების თავისებურ ხასიათს და ქმნის ურთიერთისაგან განსხვავებულ მხარეებს, რომელიც, თავის მხრივ, მიკრორაიონებისაგან შედგება.

სამთო მიწათმოქმედების ხასიათით არის განპირობებული ის, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენს ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორები. ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 0,15ჰა სახნავი და 0,65ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. დამუშავებაში მყოფ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მთელ ფართობში სახნავზე მხოლოდ 25,8 პროცენტი მოდის.

საქართველო, თითქმის ყველა ტიპის ნიადაგითა და კლიმატით გამოირჩევა. მისი ტერიტორია ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება: ზღვის დონიდან 0-500 მ-მდე სიმაღლეზე მდებარეობს 26,7% და 500-1000 მ-მდე - 21,7%, 1000-1200 მ-მდე სიმაღლეზე - 19,1%, ხოლო ტერიტორიის 1,5% მდებარეობს 3000 მეტრზე მაღლა.

ქვეყნის ტერიტორიის ასეთი ვერტიკალურ-ზონალური განლაგება განაპირობებს მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების დიდ მრავალფეროვნებას. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და დასაბუთებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული რეგიონების (მხარეების) და რაიონების თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინებას.

აკადემიკოსების: პ. უდენტის., ვ. ბურკაძისა და ო. ქეშელაშვილის მიერ საერთო ხელმძღვანელობით მეცნიერთა ჯგუფების მიერ გასული საუკუნის სამოციან წლებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოიყო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა 11 ქვეზონით, ხოლო შემდგომში - ოთხმოცდაათიან წლებში, მისი კორექტირების შედეგად, ეს რაოდენობა განისაზღვრა 13 ზონით და 6 ქვეზონით, რადგან საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა დამკვიდრებისა და მისი მოთხოვნების გავლენით, უკანასკნელ წლებში არსებითი ცვლილებები მოხდა ქვეყნის აგრარულ სექტორში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება და სპეციალიზაციის ეს სქემა (ავტორები, აკადემიკოსები - ო. ქეშელაშვილი და ვ. ბურკაძე) ამჟამად ოფიციალურად არის აღიარებული და გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების, აგრეთვე ამ პრობლემით დაინტერესებული პირების მიერ კვლევის პროცესში.

ეს ზონები და ქვეზონები შემდეგია: [40] [42]

- I - შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონა;
მათ შორის, 1^ა -სამრეწველო მევენახეობის ქვეზონა (ახმეტა, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რაიონები);
1^ბ - მევენახეობისა და მეთამბაქოეობის ქვეზონა (ლაგოდეხი);
- II - გარე კახეთის მევენახეობისა და მემარცვლეობა-მეცხოველეობის ზონა (სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონები);
- III - ქალაქების - თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა (მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს და ბოლნისის რაიონები);
- IV - აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა (დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის და ჯავის რაიონები);
- V - შიდა ქართლის მეხილეობის ზონა საგარეუბნო სოფლის მეურნეობით (კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ცხინვალის, ყორნისის რაიონები);
- VI - სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონა (წალკის, დმანისის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის რაიონები);
- VII - იმერეთის მევენახეობის ზონა მეცხოველეობით - (თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგოულის, ბაღდათის და ვანის რაიონები);
- VIII - რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობისა და მევენახეობის ზონა (ცაგერის, ამბროლაურის რაიონები);

IX - დასავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა (ონის, ლენტეხის, მესტიის რაიონები);

X - კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზონა (ოზურგეთის, ღანჩხუთის, ჩოხატაურის, ხობის, სენაკის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტიველის და ხონის რაიონები);

XI - ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა (აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის რაიონები);

XII - აფხაზეთის სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ზონა

მათ შორის:

XII^ა - სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა მეთამბაქოეობით (გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის რაიონები);

XII^ბ - მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონა (ოჩამჩირის, გალის რაიონები);

XIII - აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის ზონა

მათ შორის:

XIII^ა - სუბტროპიკული და საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა (ქობულეთის ხელვაჩაურის რაიონები);

XIII^ბ - სამთო მეცხოველეობისა და მეთამბაქოეობის ქვეზონა (ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები);

ამ ზონების გამოყოფას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული რაიონების დაჯგუფება შემდეგი ნიშნების მსგავსების მიხედვით:

ა) საწარმოო მიმართულება, რომელიც განისაზღვრება სოფლის

მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურით;

ბ) სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების გაადგილების განსაზღვრული ბუნებრივი და სამეურნეო პირობები;

გ) სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების ამოცანები.

მაგრამ, იმის გამო, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში წარმოიშვა მილიონზე მეტი კერძო მეურნე სუბიექტი - ოჯახური მეურნეობები, ფერმერული მეურნეობები და კიდევ სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. სტატისტიკური დეპარტამენტი ველარ აუვიდა მათი საქმიანობის აღწერას უთვალავი რაოდენობის დოკუმენტის სახით და იძულებული გახდა შეემცირებინა სპეციალიზაციის ზონები 13-დან 10-მდე, შეემცირდა ექვსივე ზონა და მიწათმფლობელთა კატეგორიები დაეყვანა სამამდე. ათივე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ეკონომიკური რეგიონის ჩამონათვალი მოცემული გვაქვს წინა 1-2 თავში.

მეურნეობათა სუბიექტების რიცხვი დაყვანილი იქნა სამამდე: ყველა კატეგორიის მეურნეობა, ოჯახური მეურნეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლის მიხედვითაც აღირიცხება დარგში ყველა სტატისტიკური და ეკონომიკური მაჩვენებელი სამეურნეო საქმიანობითა და წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლებით ათივე ზონაში, რომელსაც დღეს რეგიონი, ანუ მხარე ეწოდება მათში შემავალი რაიონების ჭრილში.

ყოველი მსურველი და მათ შორის, მკვლევარებიც, ვსარგებლობთ ამ ოფიციალური მაჩვენებლებით და მონაცემებით.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის მდგომარეობის შესაფასებელი მაჩვენებლები წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში 2.31.

როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მემარცვლეობა, სიმინდის სახით, ყველაზე მაღალი დონით წარმოდგენილია სამეგრელო-ზემო სვანეთში (28,2%) და იმერეთში (19,9%); ხორბლის წარმოება განლაგებულია კახეთში (14,7% მარცვლელის მთელ მოცულობაში), შიდა ქართლში (11,3%), ქვემო ქართლში (8,6%) და სამცხე-ჯავახეთში (4,7%); კარტოფილი (უპირატესად, საადრეო) ყველაზე მეტი მოცულობით იწარმოება ქვემო ქართლში (41,7%) და სამცხე-ჯავახეთში (საგვიანო კარტოფილი, 28,2%). ეს პროდუქტი, იმ მოცულობით, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნას 16,1% იწარმოება აჭარაში და მცირე მოცულობით - ყველა სხვა რეგიონშიც; ბოსტნეულის წარმოება ხდება ასევე ყველა რეგიონში, მაგრამ ყველაზე მეტი მოცულობით - ქვემო ქართლში (25,4%), კახეთში - 24,5% და შიდა ქართლში - 22%; მხესუმზირა იწარმოება მხოლოდ კახეთში - 99,5%, თამბაქო - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 52,4% და კახეთში - 34,0%.

მეცხოველეობა, მეტნაკლები წილით, უკვე წარმოდგენილია ყველა რეგიონში, მაგრამ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით - იმერეთში - ხორცი - 20,8%, რძე - 2%, შემდეგ კახეთში - ხორცი - 17,6%, რძე - 9,7%, სამეგრელო-ზემო სვანეთში - ხორცი - 14,8%, რძე - 16,6; ქვემო ქართლში - ხორცი - 13,4%, რძე - 12,9% და სამცხე-ჯავახეთში - ხორცი - 8,6%, რძე - 9,6%.

მეფრინველეობა ძირითადად კერძო სექტორშია წარმოდგენილი. მისი პროდუქციის აღრიცხვა 2004 წლამდე არ ყოფილა. სამრეწველო მეფრინველეობის აღდგენა ახლა იწყება და მაინც გამოირჩევა: სამეგრელო-ზემოსვანეთში ამ წლისათვის იწარმოებოდა კვერცხის 20,1%, იმერეთში - 19,7%, კახეთში - 15,0% და ქვემო ქართლში - 12,2%.

მიუხედავად იმისა, რომ მეხილეობა აგრარული რეფორმის შემდეგ ძალზე დაეცა მსხვილი სამრეწველო ტიპის მეხილეობის სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ლიკვიდაციისა და არასრულყოფილი რეორგანიზაციის გამო, მაინც იგი ყველაზე მეტი ხვედრითი წონით წარმოდგენილია კვლავ შიდა ქართლში -

ცხრილი 2.3.1

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში საქართველოს რეგიონების მიხედვით ათასი ტონა) (2004 წლისათვის)

| რეგიონი | მარცვლეულ | % | კარტოფი | % | ბოსტნეული | % | მზესუმზირ | % | თამბაქო | % | ხორცი | % | რძე | % | კვერცხი | % | ხილი | % | ყურძენი | % | ციტრუსი | % | ჩაი | % |
|---------------------------|-----------|-------|---------|-----|-----------|------|-----------|-----|---------|------|-------|------|-------|------|---------|------|-------|------|---------|------|---------|------|------|------|
| საქართველო სულ | 420,5 | 100 | 419,5 | 100 | 354,2 | 100 | 41,3 | 100 | 3,53 | 100 | 107,9 | 100 | 618,9 | 100 | 361,4 | 100 | 250,0 | 100 | 210,0 | % | 40,0 | % | 24,0 | % |
| მ.შ. აჭარის ა/რ | 12,0 | 2,8 | 16,1 | 5,3 | 4,1 | 1,6 | - | - | 1,85 | 52,4 | 4,8 | 4,4 | 60,2 | 9,7 | 23,2 | 6,4 | 19,2 | 7,7 | 2,1 | 1,0 | 32,5 | 82,5 | 2,9 | 12,0 |
| სამეგრელო ზემო-სვანეთი | 118,9 | 28,82 | 462 | 164 | 19,0 | 5,3 | - | - | - | - | 16,0 | 14,8 | 102,6 | 16,6 | 72,8 | 20,1 | 40,5 | 15,5 | 6,9 | 3,2 | 3,2 | 6,8 | 11,4 | 47,0 |
| გურია | 30,0 | 7,1 | 3,8 | 1,2 | 9,1 | 2,5 | - | - | - | - | 6,6 | 6,1 | 30,6 | 4,9 | 17,7 | 4,9 | 22,8 | 9,1 | 4,4 | 2,1 | 4,3 | 10,7 | 7,0 | 30,0 |
| იმერეთი | 83,6 | 19,9 | 8,0 | 2,6 | 43,0 | 12,1 | - | - | - | - | 22,5 | 20,8 | 123,9 | 20,0 | 71,2 | 19,7 | 54,8 | 21,9 | 52,5 | 25,0 | - | - | 2,7 | 11,0 |
| რაჭა-ლეჩხუმი და | 6,6 | 1,5 | 6,8 | 2,2 | 1,8 | 0,9 | - | - | - | - | 2,9 | 9,3 | 22,6 | 3,6 | 7,9 | 2,2 | 3,2 | 1,3 | 5,3 | 2,5 | - | - | - | - |

22,7% და იმერეთში - 21,9%; მევენახეობა, მიუხედავად ამ დარგში წარმოების მკვეთრი დაცემისა, კვლავ მეტი ხვედრითი წონით (55%) წარმოდგენილია კახეთში და იმერეთში (25%). მეციტრუსეობა ყველაზე დიდი ხვედრითი წონით (82%) წარმოდგენილია აჭარაში, შედარებით მცირე ხვედრითი წონით - გურიაში (10,7%) და სამეგრელოში (6,8%); მეჩაიეობის დონეც, აგრარულ რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით, კატასტროფულადაა შემცირებული და იმისაგან, რაც იწარმოება, ამჟამად (2004 წ.), 47% მოდის სამეგრელოსა (30%) და გურიაზე.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის მდგომარეობის შესახებ, უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს სპეციალიზაციის კოეფიციენტი ($K_{სპეც}$), რომელიც გაანგარიშებულია 1-2 თავში წარმოდგენილი საერთოდ მიღებული ფორმულით.

ამ კოეფიციენტის სიდიდეზე თითოეულ რეგიონში მეტყველებს ცხრილის 2.3.2. მონაცემები. კოეფიციენტი 0-მდე ასახავს სპეციალიზაციის სუსტ ხარისხს; 0,2-0,4 - საშუალოს; 0,4-0,6 - მაღალს; 0,6-ზე ზევით - ძალზე მაღალს (გადრმავებულს).

ცხრილი 2.3.2.

სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის დონეები რეგიონების მიხედვით 2004 წლისათვის

| რეგიონების დასახელება | | | | | | | | | | | |
|-------------------------------------|-------------------------------|-------------------------------------|-------------|----------------|--------|--------------|---------------------|---------|-------------------------------------|-------------------------------|-------------------------------------|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | სამეგრელო- ფშიშის გურია | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო იმერეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-თიანეთი | კახეთი | ქვემო ქართლი | სამცხე- ჯავახეთი | იმერეთი | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | სამეგრელო- ფშიშის გურია | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო იმერეთი |

| | | | | | | | | | | |
|-------------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|-----|
| K _{სპეც} | 0,20 | 0,26 | 0,21 | 0,30 | 0,22 | 0,20 | 0,20 | 0,19 | 0,19 | 0,3 |
|-------------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|-----|

როგორც ვხედავთ, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონე 2004 წლისათვის, მთლიანად და რეგიონების მიხედვითაც, აგრარულ რეფორმამდე არსებულ დონესთან შედარებით, ძალზე დაბალია. ამის მიზეზი, ის რომ საანგარიშო პერიოდში მთავარი ყურადღება მიექცა მარცვლეულის, კარტოფილის და მეცხოველეობის პროდუქტების, ანუ პირველადი საჭიროების პროდუქტების წარმოებას, ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაღალი სასაქონლო, მაპროფილებელი პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ხილი, ყურძენი, თამბაქო) წარმოება კი კატასტროფულად შემცირდა მათი რეალიზაციის ბაზრების დაკარგვისა და გადამამუშავებელი ბაზის სრული მოშლის გამო.

საწარმოო პროფილი სასაქონლო პროდუქციის მთელ მოცულობაში ხვედრითი წონის რანჟირებული რიგის ნომრის მიხედვით (მაგლიდან დაბლისაკენ), რეგიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

- აჭარა - მეცხოველეობა (35,1%), მეთამბაქოება (28,7%),
მეციტრუსეობა (12,5%), მეჩაიეობა (11,2%);
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - მეცხოველეობა (62,4%),
მემარცვლეობა (15,6%);
- გურია - მეჩაიეობა (38,9%), მეცხოველეობა (34,8%);
- იმერეთი - მეცხოველეობა (58,2%), მევენახეობა - (14,2%);
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - მეცხოველეობა (71,1%);
- შიდა ქართლი - მეცხოველეობა (45,7%), მეხილეობა (18,3%);
- მცხეთა-თიანეთი - მეცხოველეობა (65,9%), მევენახეობა (10,3%),
მეხილეობა (8,8);
- კახეთი - მევენახეობა (36,9%), მეცხოველეობა (20,4%);

ქვემო ქართლი - მეცხოველეობა (63,2%), მეკარტოფილეობა (65%);
 სამცხე-ჯავახეთი - მეცხოველეობა (63,2%), მეკარტოფილეობა (65%).
 როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, დღეს (2004 წ) 10 რეგიონიდან 8-ის მთელ სასაქონლო პროდუქციაში ჭარბობს მეცხოველეობის პროდუქციის წილი. მნიშვნელოვნად ამაღლებულია კარტოფილისა და მარცვლეულის ხვედრითი წონა, ე.ი. პროდუქტებისა, რომლებსაც გააჩნიათ გარანტირებული შიდა ბაზარი რეალიზაციისათვის, რადგან წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობის უპირველეს სასიცოცხლო პროდუქტებს. ეს დასტურდება აგრეთვე რეგიონების მიხედვით მეცხოველეობის დარგებში პირუტყვის სულადობის მონაცემებითაც. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2004 წლისათვის, 1990 წელთან შედარებით, სამეგრელო-ზემო სვანეთში 174,1 ათასი სულიდან გაიზარდა 192,2 ათას სულამდე, გურიაში - 57,3 ათასიდან 62,5 ათას სულამდე, შიდა ქართლში - 69,5 ათასიდან 84,6 ათას სულამდე, იმერეთში - 217,5 ათასიდან 267,7 ათასამდე, მცხეთა-თიანეთში - 55-დან 60 ათას სულამდე.

ცხრილი 2.3.3

პირუტყვის სულადობა საქართველოს რეგიონების მიხედვით (ყველა კატეგორიის მეურნეობაში წლის ბოლოსათვის) ათასი სული

| | 1990 | | | | 1995 | | | | 2004 | | | |
|----------|-------------------|-------------|------|---------------|----------------|-------------|------|---------------|--------------------|-------------|------|---------------|
| | მსხვილფეხა რქ. სა | მ.შ. ფურები | ღორი | ცხვარი და თხა | მსხვილ რქოსანი | მ.შ. ფურები | ღორი | ცხვარი და თხა | მსხვილფეხა რქოსანი | მ.შ. ფურები | ღორი | ცხვარი და თხა |
| საქართვე | 1298 | 551, | 880, | 1618 | 973, | 531, | 352, | 724, | 1177, | 646, | 443, | 627, |

| | | | | | | | | | | | | |
|---|-------|----------|-----------|-----------|-----------|-----------|------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| ლო სულ | ,3 | 7 | 2 | ,1 | 6 | 3 | 6 | 8 | 4 | 3 | 4 | 6 |
| მ.შ. აჭარის ა/რ | 111,1 | 43,8 | 5,3 | 10,1 | 112, 2 | 56, 2 | 2,0 | 20,7 | 123, 2 | 54,1 | 0,2 | 16,2 |
| სამეგრელო ზემო- სვანეთი | 174,1 | 78, 2 | 172, 3 | 13,5 | 136, 0 | 71,2 | 84,3 | 11,0 | 192, 2 | 101, 9 | 129, 4 | 17,0 |
| გურია | 57,3 | 24, 4 | 40,7 | 3,0 | 41,9 | 22,3 | 20,3 | 3,6 | 62,5 | 31,4 | 43,0 | 10,1 |
| იმერეთი | 217,5 | 88,3 | 137, 0 | 20,1 | 211, 8 | 103, 9 | 88,0 | 23,0 | 267, 7 | 126, 3 | 93,5 | 31,9 |
| რაჭა- ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 39,8 | 18,2 | 26,9 | 369 | 41,7 | 20, 4 | 12,7 | 3,4 | 41,3 | 21,8 | 17,0 | 4,7 |
| შიდა ქართლი | 69,5 | 32, 2 | 49,5 | 45,9 | 69,8 | 41,0 | 25,0 | 21,3 | 84,6 | 50,5 | 25,5 | 23,2 |
| მცხეთა- თიანეთი | 55,0 | 24, 9 | 42,3 | 459, 8 | 42,4 | 26, 4 | 12,8 | 64,1 | 60,0 | 43,2 | 24,0 | 57,4 |
| კახეთი | 125,5 | 51,8 | 189, 7 | 494, 7 | 91,5 | 58,0 | 70,4 | 253, 0 | 117,8 | 67,0 | 81,3 | 218, 8 |
| ქვემო ქართლი | 148,7 | 61,9 | 85,9 | 281, 4 | 116, 3 | 67, 8 | 27,0 | 170, 1 | 129, 5 | 81,1 | 21,3 | 129, 7 |
| სამცხე- ჯავახეთი | 162,9 | 64, 9 | 19,9 | 264, 7 | 107, 5 | 61,6 | 7,8 | 153, 2 | 98,6 | 59,0 | 7,2 | 116, 6 |

შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების
მიხედვით

როცა ვამუშავებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის საკითხებს წარმოების მომგებიანობის თვალსაზრისით, უნდა გვახსოვდეს და გავითვალისწინოთ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი კანონი: „პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ტოლი უნდა იყოს მის წარმოებაზე გახარჯული რესურსების ღირებულებისა“. თუ ეს პირობა დაცულია - საქმე გვაქვს მარტივ კვლავწარმოებასთან, ანუ არც წაგება გვაქვს და არც მოგება. გაფართოებული კვლავწარმოების პირობის შექმნისათვის კი, პირველი - აუცილებლად უნდა სჭარბობდეს მეორეს.

2.4. მეკარტოფილეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კანონზომიერებები და ეფექტიანობა

მოსახლეობის მოთხოვნილება კარტოფილზე ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად იგი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საკვებ პროდუქტად იქცა. დღევანდელ რეალობაში (გაჭირვებაში) ამ კულტურით დაკავებული ფართობი, 1985 წელთან შედარებით, შესამჩნევად გაიზარდა. გაიზარდა ამ პროდუქტის წარმოების დონეც, რაზედაც მეტყველებს 2.4.1, 2.4.2 და 2.4.3. ცხრილების მონაცემები.

საანგარიშო, 2004 წლისათვის ამ კულტურით დაკავებული ფართობი, საბაზისო 1985 წელთან შედარებით, 76,7 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა 87 ათას ჰექტარამდე. ამასთან, მეკარტოფილეობამ, იმავე პერიოდში, თითქმის მთლიანად გადაინაცვლა ოჯახურ მეურნეობებში. თუ კარტოფილის ფართობებს 1985 წელს მათში ეკავათ მხოლოდ 28,5 ათასი ჰექტარი, საანგარიშო 2004 წლისათვის მისმა ფართობმა წარმოების ამ სექტორში 84,8 ათასი შეადგინა, ანუ თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო

წარმოების დონე - 37,2 ათასი ტონიდან 97,5 ათას ტონამდე, ანუ 2,3-ჯერ, თუმცა, მოსავლიანობის დონე იმავე პერიოდში 13,5 ტონიდან ერთ ჰექტარზე, შემცირდა 11,3 ტონამდე.

მეკრატოფილეობის მთავარ რეგიონში - სამცხე-ჯავახეთში კარტოფილით დაკავებულმა ფართობებმა 2004 წლისათვის შეადგინა 13753 ჰექტარი, ანუ გაიზარდა მხოლოდ 479 ჰექტრით, მოსავლის მოცულობა 206658 ტონიდან შემცირდა 167705 ტონამდე, ანუ 35953 ტონით, რაც ძირითადად გამოიწვია მოსავლიანობის 16,3 ტონიდან 12,9 ტონამდე შემცირებამ. ეს კი განაპირობა სარწყავი სისტემის მოშლამ, მინერალური სასუქების უქონლობამ, ოჯახური მეურნეობის ფართობების დაწვრილებამ. ოჯახურ მეურნეობებს არ გააჩნიათ ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები წარმოების მექანიზაციისათვის. ჰერბიციდები, პესტიციდები და მცენარის ავადმყოფობისა და მავნებელთან ბრძოლის სხვა საშუალებები ისეთი ძვირია, რომ მათი შესყიდვისათვის ოჯახს არავითარი სახსრები არ გააჩნია.

2004 წლისათვის კარტოფილის ფართობებს ეკავათ 38356 ჰექტარი ფართობი, საანალიზო რეგიონში, ანუ სამცხე-ჯავახეთში - 13153 ჰექტარი, ანუ ქვეყანაში რიცხული კარტოფილის მთელი ფართობების 34,1 პროცენტი. ამავე წელს, ქვეყანაში წარმოებულ იქნა 419527 ტონა კარტოფილი, მათგან საანალიზო რეგიონში - 167705 ტონა, ანუ 40 პროცენტი.

აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ რეგიონში მეკარტოფილეობა, როგორც დაკავებული ფართობებით, ისე მოსავლის დონით, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ამ პროდუქტის ორმოც პროცენტამდე იკავებს და განაპირობებს მისი სპეციალობის ხასიათს, თუმცა, სასაქონლო პროდუქციით თუ ვიმსჯელებთ, პირველ ადგილს

იკავებს მეცხოველეობის დარგი. მისი პროდუქციის სასაქონლო ღირებულება, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, მნიშვნელოვნად სჭარბობს რეგიონში მეკარტოფილეობის პროდუქციის სასაქონლო ღირებულებას, რამაც განაპირობა ზონის საწარმოო სპეციალიზაციის ჩამოყალიბებული სახელწოდებაც - „სამცხე-ჯავახეთის მეცხოველეობა-მეკარტოფილეობის ზონა“.

აღნიშნული დასკვნის მართებულობა ნათლად დასტურდება 2.4.1 და 2.4.2. ცხრილების მონაცემებით, რომლითაც ჩანს, რომ დარგის შემდგომი განვითარებისათვის აქილევსის ქუსლს წარმოადგენს მოსავლიანობის დაბალი დონე.

ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ კარტოფილის წარმოების თანამედროვე დონე მაინც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს ამ პროდუქტზე. ამისათვის კი, უპირველესი ამოცანაა, ფართობის ერთეულზე მისი მოსავლიანობის დონის ამაღლება. ამ პრობლემის გადაწყვეტის პოტენციალური შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში ნამვილად არსებობს.

კარტოფილის მოსავლიანობის დონე, აგრარულ რეფორმამდე ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერს აღწევდა და მაშინაც არ ითვლებოდა დამაკმაყოფილებლად.

ცხრილი 2.4.1.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით (ათასი ჰექტარი) და მათი სტრუქტურა (პროცენტობით)

| | | წლები | | | | |
|---|-----------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|
| | | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 |
| | ყველა კატეგორიის მეურნეობა | | | | | |
| 1 | ნათესი ფართობები სულ ათასი ჰა | 730,1 | 701,9 | 453,1 | 610,8 | 534,0 |
| 2 | მათ შორის: მარცვლოვანი და | | | | | |

| | | | | | | |
|-----------------------------------|---|---------------|-------------------|---------------|---------------|---------------|
| | პარკოსანი კულტურები ათასი ჰა | 272,7 | 269,8 | 259,9 | 386,4 | 355,8 |
| 3 | ტექნიკური კულტურები ათასი ჰა | 39,1 | 33,1 | 41,0 | 69,8 | 39,5 |
| 4 | კარტოფილი და ბოსტნეული ათასი ჰა | 76,7 | 70,0 | 54,3 | 93,1 | 87,0 |
| 5 | საკვები კულტურები ათასი ჰა | 341,6 | 329,0 | 97,9 | 61,5 | 51,7 |
| ოჯახური მეურნეობები | | | | | | |
| | | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 |
| 1 | ნათესი ფათრობები სულ ათასი ჰა % | 89,0 12,2 | 92,5 13,2 | 220,4 48,6 | 558,3 90,4 | 504,8 94,5 |
| 2 | მათ შორის: მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები ათასი ჰა % | 53,1 19,5 | 55,8 20,7 | 143,2 55,1 | 59,4 91,4 | 333,2 93,6 |
| 3 | ტექნიკური კულტურები ათასი ჰა % | 2,5 6,4 | 2,2 6,6 | 6,0 14,6 | 62,5 89,5 | 37,1 93,9 |
| 4 | კარტოფილი და ბოსტნეული ათასი ჰა % | 28,5 37,2 | 29,6 42,3 | 48,5 89,3 | 91,8 98,6 | 84,8 97,5 |
| 5 | საკვები კულტურები ათასი ჰა % | 4,9 1,4 | 4,9 1,5 | 22,7 23,2 | 44,6 72,5 | 49,7 96,1 |
| სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები | | | | | | |
| | | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 |
| 1 | ნათესი ფათრობები სულ ათასი ჰა % | 641,1 87,8 | 609, 4 86,8 | 232,7 51,4 | 52,5 9,6 | 29,2 5,5 |
| 2 | მათ შორის: მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები ათასი ჰა % | 219,6 80,5 | 214,0 79,3 | 116,7 44,9 | 8,6 7,3 | 6,4 2,4 |
| 3 | ტექნიკური კულტურები ათასი ჰა | 36,6 93,6 | 30,9 93,4 | 35,0 85,4 | 7,3 10,5 | 2,4 8,0 |
| 4 | კარტოფილი და ბოსტნეული ათასი ჰა | 48,2 62,8 | 40,4 57,7 | 5,8 10,7 | 1,3 1,4 | 2,2 2,5 |
| 5 | საკვები კულტურები ათასი ჰა % | 336,7 98,6 | 324,1 98,5 | 75,2 76,8 | 16,9 27,5 | 17,7 3,9 |

შედგენილია სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004“ მასალების გამოყენებით

ცხრილი 2.4.2.

კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა საშუალოდ ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ტონა ერთი ჰექტრიდან)

| | წლები | | | | | 2004%-ში %-ში 1985 წელთან |
|------------------------------------|-------|------|------|------|------|---------------------------|
| | 1985 | 1990 | 1995 | 2000 | 2004 | 1985 - თან |
| სულ | 12,5 | 10,6 | 15,2 | 8,9 | 11,3 | 90,4 |
| ოჯახური მეურნეობები | 13,5 | 11,1 | 15,7 | 8,9 | 11,3 | 83,7 |
| სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში | 11,8 | 10,1 | 0,8 | 8,4 | 13,5 | 114,4 |

შედგენილია სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004“ მასალების გამოყენებით. თბილისი. 2005.

ცხრილი 2.4.3.

ნათესი ფართობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ჰექტრი)

| | 2003 | 2004 | 2004წ.-%-ში |
|---------------------|-------|-------|-------------|
| სულ რეგიონში | 56854 | 59335 | 100,0 |
| მათ შორის რაიონები: | | | |

| | | | |
|-------------|-------|-------|------|
| ადიგენის | 4306 | 4667 | 7,8 |
| ასპინძის | 2002 | 1850 | 3,1 |
| ახალქალაქის | 29128 | 31460 | 53,0 |
| ახალციხის | 6911 | 6633 | 11,2 |
| ბორჯომის | 1726 | 1897 | 3,2 |
| ნინოწმინდის | 12781 | 12828 | 21,6 |

შედგენილია სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004“ მასალების გამოყენებით. თბილისი. 2005.

ქვეყნის მდიდარი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რომელიც აღნიშნული იყო წინა, 2.1 თავში, გრილი ზაფხული მთის და მთისწინა რეგიონებში, ნაყოფიერი ნიადაგები (განსაკუთრებით, ამ კულტურის მაქსიმალური მოცულობით წარმოებისათვის), ვეგეტაციის პერიოდში ერთჯერადი მორწყვითაც კი, შესაძლებლობას გვაძლევს, როგორც პრაქტიკოსი აგრონომები და მეცნიერ-მკვლევარები გვარწმუნებენ, კარტოფილის მოსავლიანობის დონე ავამაღლოთ 200-250 ცენტრერამდე ერთ ჰექტარზე.

იმ ოჯახურ მეურნეობებში, სადაც მკაცრად იცავენ მისი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიას (რომელიც მოცემული გვაქვს თავი 2.1-ის 2.1.3 და 2.1.4 ცხრილებში), აღწევს ამ კულტურის მაღალ მოსავლიანობას.

ასე მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში ოჯახურ მეურნეობებში ერთი ჰექტარიდან იღებენ 180 ცენტნერ კარტოფილს, წალკის რაიონის სოფელ ავრანლოში და ჯინიშში - 200 ცენტნერს (საშუალოდ კი, რეგიონში 180 ცენტნერს). კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებელს მიაღწია ახალქალაქის სოფელ ბურნაშეთის კერძო

ოჯახურმა მეურნეობებმა, სადაც თითოეული ჰექტარიდან უკანასკნელ წლებში ღებულობენ 300 ცენტნერ კარტოფილს და ამას აღწევენ მისი აგროტექნიკის ზუსტი დაცვით, თუმცა, ოპერაციებს, რომელიც მითითებულია ტექნოლოგიურ რუქებში, ასრულებენ არა ტექნიკური საშუალებებით, არამედ მხოლოდდამხოლოდ ხელით შრომით.

კარტოფილის მოსავლიანობის ასეთი მაღალი დონის მიღწევა ოჯახურ მეურნეობებს, იმ დროს, როცა ამ კულტურით დაკავებული ფართობები მეკარტოფილეობის რეგიონებში მიზერულად მცირეა (0,1-0,5 ჰექტრამდე), იმ დროს, როცა გასაგები მიზეზების გამო, რომც უნდოდეთ, ვეღარ იყენებენ (იმიტომ, რომ ვეღარ იძენენ) მინერალურ სასუქებს, რომლის მთელი სისტემა დღეისათვის მოლიანად მოშლილი და განადგურებულია, ნამდვილად არ შეუძლიათ.

კარტოფილის მოსავლიანობის ასეთი მაღალი დონე, რომლის მაგალითებიც ზემოთ მოვიყვანეთ, არა მარტო ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის, დმანისის, მარნეულის, ახალციხისა და სხვა რაიონების კერძო, ოჯახურ მეურნეობაშია მიღწეული, მხოლოდდამხოლოდ ორგანული სასუქების გამოყენებით (რაც განაპირობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გაზრდამ) და მაღალხარისხიანი ელიტური თესლით, რომელიც დიდი რუდუნებით და ამ კულტურისადმი დიდი სიყვარულით შეინარჩუნა დღემდე რეგიონში მცხოვრებმა გლეხობამ და იხსენეს იგი საანალიზო პერიოდში (1990-2002 წწ) ქვეყანაში ატეხილი ქარცეცხლისაგან, სოციალური სისტემის შეცვლის და დაშლის შედეგად გამეფებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობისაგან, აგრარულ სექტორში გატარებული რეფორმების ნეგატიური შედეგებისაგან და სხვა.

ამითაა განპირობებული სწორედ ის ფაქტი, რომ ამჟამად სოფლის

მეურნეობაში იწარმოება ეკოლოგიურად, გენეტიკურად და ბიოლოგიურად სუფთა კარტოფილი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. სინამდვილეს მთლად არაა მოკლებული ხალხში გავრცელებული რწმენა, რომ თურქეთიდან შემოსული, ეკოლოგიურად დაბინძურებული და მავნე სასუქებით, ჰერბიციდებითა და პესტიციდებით გაჯერებული კარტოფილით სავსე კონტეინერებს ცლიან ჩვენს ქვეყანაში, რომელიც შემოიზიდება ქვეყანაში დაბალი, დემპინგური ფასებით, მოსახლეობა კი, სიღარიბის გამო, მაინც ყიდულობს მას. უკან ბრუნდებიან სამცხე-ჯავახეთის გავლით ამ რეგიონში წარმოებული კარტოფილით დატვირთული კონტეინერებით.

ცხადია, საგვიანო კარტოფილის წარმოების გადიდების ყველაზე კარგი პირობებია ისეთ მთის რაიონებში, როგორცაა ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახალციხე და სხვა. კარტოფილის დიდი და მაღალხარისხიანი მოსავლის მიღების პირობები არის აგრეთვე ისეთ რაიონებში, როგორცაა: თიანეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთიან რაიონებში (ქედა, შუახევი, ხულო).

უხმოსავლიანი საადრეო კარტოფილის წარმოება შესაძლებელია (და აწარმოებენ კიდევ) ქვეყნის დაბლობ ზონებში და რაიონებში. ამის დამადასტურებელია ბოლნისის, მცხეთის რაიონები, სადაც დღეისათვის საადრეო კარტოფილის მოსავლიანობა შედარებით დაბალია, თუმცა ადრეც (1990 წლამდე) ამ რაიონებში კარტოფილის მოსავლიანობა 120-150 ცენტრერამდე აღწევდა. იმის გამო, რომ საადრეო კარტოფილის გასაღება ძირითადად რუსეთის ბაზარზე ხდებოდა, ამჟამად კი ეს ბაზარი დაკარგულია, მისი ფართობებიც და წარმოებაც შემცირებულია.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ავღნიშნეთ, თვალნათლივ ჩანს ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი ცხრილების მონაცემებიდან და

მაჩვენებლებიდან.

საქართველოს მეკარტოფილეობის რაიონებში საგვიანო კარტოფილის მთავარ ჯიშად ითვლება მაჟესტიკი, რომელიც გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, კარგი გემოვნებითი თვისებებით, ხარისხით და ავადმყოფობისადმი კარგი გამძლეობით. კარგი გემოვნებით ხასიათდება აგრეთვე თრიალეთური მაჟესტიკი. დაბლობ რაიონებში უპირატესობა ეძლევა ისეთ საადრეო კარტოფილის ჯიშებს, როგორცაა პრისკულის საადრეო, ასურეთული, ბელორუსული საადრეო, ვარდისფერი საადრეო და სხვა. ეს ჯიშები ყველაზე ინტენსიურად ვითარდება ზაფხულის პირველ ნახევარში, ხასიათდება კარგი გემოვნებით.

მეკარტოფილეობის ეფექტიანობა. როცა მეურნეობაში აწარმოებენ რამდენიმე სახის პროდუქციას სასურველია ყოველი მათგანისათვის ცალ-ცალკე გამოვთვალთ მათი მარჟინალური მოგება. შემდეგ მათ მარჟინალურ მოგებათა ჯამს გამოვაკლებთ მუდმივ დანახარჯებს და მივიღებთ წმინდა მოგებას. ეს მეთოდი გვაძლევს საშუალებას, განვსაზღვროთ - რომელი პროდუქციის წარმოებაა ყველაზე მეტად მომგებიანი, სადაა უკეთესი დამატებითი ინვესტიციების ჩადება, რომელიც შემდგომ ყველაზე მეტ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. რაც მეტია მარჟინალური მოგება, მით მეტი საშუალება გვექნება დაგვაროთ მუდმივი დანახარჯები და გავზარდოთ მოგება. მარჟინალური მოგების გაანგარიშებისას, გამომუშავება, ხარჯი და მოთხოვნა წარმოების ფაქტორებს უნდა დაუკავშიროთ განსაზღვრულ პერიოდთან და მიწის ფართობთან ერთად, როგორც წესი, მარჟინალური მოგების ერთ ჰექტარზე ერთი წლით.

მარჟინალური მოგების გაანგარიშების უფრო ნათლად წარმოჩინებისათვის, წარმოვადგენთ კარტოფილის მარჟინალური მოგების

განსაზღვრის მეთოდოლოგიას. გაანგარიშებისას, გამოვიყენეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, კერძოდ, სოფელ კლდის მცირე ფერმერული მეურნეობის მონაცემები.

კარტოფილის წარმოებაზე ცვლად დანახარჯებს მივაკუთვნეთ: სათესლე მასალა, სასუქები, მცენარეთა დაცვის, მექანიზაციისა და სხვა დანახარჯები, რომელიც გაიხარჯა წლის განმავლობაში.

თუ მეურნეობაში ვიყენებთ ნაყიდ სათესლე მასალას, მისი ღირებულება არსებული საბაზრო ფასის ტოლფასია, ხოლო როცა საკუთარი წარმოების თესლს ვიყენებთ, მისი ღირებულებაა გასაყიდ ფასს დამატებული 20% დანახარჯებისა, რომელიც მოდის მის შენახვაზე, დანაკარგსა და მომზადებაზე.

სასუქზე მოთხოვნის ორ სახეობას განვასხვავებთ: მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო და ეკონომიკურად მიზანშეწონილ რაოდენობას. სასუქის საჭირო რაოდენობა მემცენარეობაში (სასუქის რეკომენდირებული რაოდენობა), ანუ სასუქის შეტანის საჭირო რაოდენობის განსაზღვრა დროის გარკვეულ მომენტში, გულისხმობს - როგორ შეითვისებს მცენარე მას და რა რაოდენობით საჭიროებს საკვებ ნივთიერებებს. სასუქის მიზანშეწონილი რაოდენობა გულისხმობს იმ რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც საჭიროა ნიადაგში შესატანად ისე, რომ არ დაირღვეს ნიადაგის საკვები ნივთიერებების ბალანსი.

ცხრილი 2.4.4.

ნათესი ფართობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ჰექტრი)

| | 2003 წელი | | | 2004 წელი | | |
|--|-----------|----------|--------------|-----------|----------|---------------|
| | ფართობი | მოსავალი | მოსავლიანობა | ფართობი | მოსავალი | მოსავალიანობა |
| | | | | | | |

| | ჰა | ტონა | ტ/ჰა | ჰა | ჰა | ტონა |
|-------------------|-------|--------|-------|-------|--------|------|
| სულ რეგიონში | 12674 | 206658 | 16,3 | 13153 | 167705 | 12,9 |
| მათ შორის რაიონში | | | | | | |
| ადიგენი | 1340 | 24115 | 18,2 | 1515 | 18180 | 12,0 |
| ასპინძა | 470 | 6450 | 13,7 | 584 | 7592 | 13,0 |
| ახალქალაქი | 6723 | 127604 | 19,0 | 6049 | 90735 | 15,0 |
| ახალციხე | 1677 | 1919 | 11,4 | 1734 | 17480 | 10,3 |
| ბორჯომი | 575 | 7360 | 12,8 | 875 | 7392 | 10,5 |
| ნინოწმინდა | 1889 | 22010 | 11,76 | 2090 | 25726 | 108 |

შედგენილია სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004“ მასალების გამოყენებით.

მცენარეთა დამცავი ხარჯები მიიღება 1 ჰა-ზე დაცვის საშუალებების ხარჯის გამრავლებით 1 კგ ან 1 ლიტრ ამ ნივთიერების ფასზე. უშუალოდ შესხურება-შეფრქვევის ხარჯები გათვალისწინებულია მანქანათა ცვლად დანახარჯებში ან დაქირავებული ტექნიკის ხარჯებში.

მექანიზებული სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს, როგორც საკუთარი, ისე დაქირავებული ტექნიკით. ამის მიხედვით, დანახარჯები მექანიზაციაზე სხვადასხვაგვარია. დაქირავებული ტექნიკის ექსპლოატაციის დანახარჯები მოდის დაქირავებულ მანქანებზე ან იმ პირებზე, რომლებიც მართავენ ამ ტექნიკას. საკუთარი ტექნიკის ექსპლოატაციისას კი, ადგილი აქვს საკუთარ მანქანათა ცვლად დანახარჯებს. [31] [32].

ქვემოთ წარმოდგენილი ცვლადი დანახარჯების ცხრილში (იხ. ცხრილი 2.4.5.) შეტანილია, როგორც საკუთარი, ისე ნაყიდი კარტოფილის თესლი, საკუთარი ორგანული და შექმნილი მინერალური სასუქები,

შეძენილი მცენარეთა დაცვის საშუალებები. უშუალოდ შესხურება-
შეფრქვევის ხარჯები გათვალისწინებულია ცალკე, შეწამვლის ხარჯებში.
მექანიზებული სამუშაოები ტარდება დაქირავებული ტექნიკით.

სხვა დანახარჯებში შედის: დაზღვევა სექციისაგან, კარტოფილის
გამრობის ხარჯები (მოსავლის 25%-სა) შენახვის ხარჯები, რეალიზაციის
ხარჯები და სხვა.

წარმოებული პროდუქციის მიმდინარე ღირებულებას განსაზღვრავს
ერთი წლის მანძილზე წარმოებული პროდუქციის ნამრავლი პროდუქციის
ერთეულის საბაზრო ფასზე.

როდესაც წარმოების პროგნოზირებას ვახდენთ, როგორც წესი,
სამომავლო სავარაუდო მოსავალს განვსაზღვრავთ გასულ წლებში
მოწეული მოსავლების საშუალო მნიშვნელობის მიხედვით.

კარტოფილის მოსავლიანობა რეგიონში თუ შეადგენს 150
ცენტნერს ჰექტარზე, მისი ღირებულების განსაზღვრისათვის საჭიროა,
პირველ რიგში, კარტოფილის მოსავლის დახარისხება, ხოლო შემდეგ -
დახარისხებული კარტოფილის შეფასება შესაბამისი საბაზრო ფასებით.

მიხნეულია, რომ სათესლე კარტოფილი მისი მთლიანი მასის 25-
30%-ს შეადგენს, სასურსათო კარტოფილი - 55-60%, ხოლო მთლიანი
მასის დაახლოებით 10% - საფურაჟეა. დახარისხების ასეთი წესისა და
სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2000 წლის კარტოფილის საბაზრო
ფასების გათვალისწინებით, გავიანგარიშებთ კარტოფილის ღირებულებას

$$15000 \text{ კგ კარტოფილის } 30\% = 4500 \text{ (კგ)} \times 0,4 \text{ (ლ)} = 1800 \text{ ლარს}$$

$$15000 \text{ კგ კარტოფილის } 60\% = 9000 \text{ (კგ)} \times 0,60 \text{ (ლ)} = 5400 \text{ ლარს}$$

$$15000 \text{ კგ კარტოფილის } 10\% = 1500 \text{ (კგ)} \times 0,10 \text{ (ლ)} = 150 \text{ ლარს}$$

წარმოებული პროდუქციის მიმდინარე ღირებულება ტოლი იქნება:

$$1800 + 5400 + 150 = 7350 \text{ ლარი}$$

მარჟინალური მოგება=წარმოებული პროდუქციის ღირებულებას გამოკლებული ცვლადი დანახარჯები, ანუ 7450-3240=4110

ამრიგად, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა. კარტოფილის საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოებისას, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის (გარდა სხვა ადრე ცნობილი მაჩვენებლებისა) მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მარჟინალური მოგება. კარტოფილის წარმოებაზე გაწეული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია გავზარდოთ საანალიზო კულტურის მოსავლიანობა, მის წარმოებაზე გაწეული ცვლადი დანახარჯების შემცირების, საწარმოო სიმძლავრეების გაუმჯობესების და ეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.

ცხრილი 2.4.5.

კარტოფილის წარმოებაზე გაწეული ცვლადი დანახარჯების სტრუქტურა მეკარტოფილეობის მცირე ფერმაში [31]

| | დასახელება | კგ/ჰა | 1 კგ-ის ფასი ლარებში | მთლიანი ღირებულება ლარებში |
|-----|---|-------|----------------------|----------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| I | სათესლე მასალა | | | |
| | ა) საკუთარი წარმოების | 1800 | 0,40 | 720 |
| | ბ) ნაყიდი | 700 | 0,55 | 385 |
| II | სასუქის შეტანა (სუფთა საკ. ნივთ) | | | |
| | (ა) N | 71,61 | 0,6 | 42,97 |
| | ბ) R ₂ S | 24 | 0,65 | 15,60 |
| | გ) K ₂) | | | 85,57 |
| | სულ | | | |
| III | მცენარეთა დაცვა კარტოფილის შეწამვლა (თესვის წინა დამუშავება | | | |

| | | | | |
|----|--|-----|----|-------|
| | ფუნგი(კიდით) | | | |
| | ა) დამუშავების ღირებულება | | | 50 |
| | ბ) გატანის ღირებულება | | | 50 |
| | გ) შეწამვლა „ანტრაკოლით“ 3-ჯერ | 2 | 30 | 150 |
| | დ) შეწამვლა „კოლორადოს“ | 0,6 | 40 | 24 |
| | ე) შეწამვლის ხარჯები (წამლის ღირებულების გარეშე) | | | 150 |
| | სულ | | | 454 |
| IV | მექანიზაცია | | | |
| | ა) მზრალად ხვნა | | | 63,25 |
| | 1. ტრაქტორისტის ხელფასი (მძღოლი) | | | 40 |

ცხრილი 2.4.5-ის გაგრძელება.

| | | | | |
|--|---|-----|------|---------|
| | 2. დიზელის საწვავი | 30 | 0,70 | 21 |
| | 3. ზეთი | 161 | 1,5 | 2,25 |
| | ბ) კულტივაცია | | | 27 |
| | 1. ტრაქტორისტის ხელფასი (მძღოლი) | | | 20 |
| | 2. საწვავი | 10 | 0,70 | 7 |
| | გ) თესვა მექანიზებული წესით | | | 86,50 |
| | 1. მძღოლის ხელფასი | | | 50,00 |
| | 2. დიზელის საწვავი | 50 | 0,7 | 35,00 |
| | 3. ზეთი | 1 | 1,5 | 1,50 |
| | დ) სასუქების შეტანა და ჩაკეთება, კულტივაცია | | | 100,00 |
| | ე) შემოცველა | | | 142, 00 |
| | 1. ხელფასი | | | 100,00 |
| | 2. საწვავი | 60 | 0,70 | 42,00 |
| | 3. მორწყვა | | | 260 |
| | 1. დიზელის საწვავი | 300 | 0,70 | 42,00 |
| | ხელფასი | | | 50 |

| | | | | |
|---|---------------------------|----|-----|---------|
| | ზ) ამოღება-დაბინავება | | | 48 |
| | 1. ხელფასი | | | 20 |
| | 2. დიზელის საწვავი | 40 | 0,7 | 28 |
| | სულ | | | 726,75 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | | | 200 |
| V | სულ ცვლადი დანახარჯები | | | 2571,32 |

წყარო: ახალციხის რაიონის სოფელ კლდის მცირე ფერმერული მეურნეობის მონაცემები

2.5. მეკარტოფილეობის პროდუქციით უზრუნველყოფის დონე სასურსათო უსაფრთხოების საერთო სისტემაში

პროდუქცია, სოფლის მეურნეობაში, იქმნება წარმოების ყველა ფაქტორის (მიწის, შრომის, კაპიტალის, მეწარმეობის უნარის) გამოყენებით. ერთნი არსებით გავლენას ახდენენ სამომხმარებლო ღირებულების ფორმირებაზე, ხოლო მეორენი - პროდუქტის ღირებულების შექმნაზე. წარმოების პროცესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს უნდა ჰქონდეს ყველა ჩამოთვლილი რესურსი. სამომხმარებლო საქონლისა და სურსათის ბაზრის გარდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია მუშაობდეს მიწის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და მომსახურების, შრომითი რესურსებისა და კაპიტალის ბაზრები.

სასურსათო ბაზარს, სხვა საბაზრო სისტემებისაგან განსხვავებით, აქვს გარკვეული თავისებურებები:

- მოქმედების მუდმივობა, ანუ საკვები პროდუქტების გამუდმებული მოხმარება მომხმარებლის მიერ, რაც გამოწვეულია სამუშაო ძალის კვლავწარმოების უწყვეტობით;

- წარმოებისა და მოხმარების სეზონურობა, რომელიც გამომდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოლოგიური და კვების მრეწველობის ბიოტექნიკური ხასიათიდან.

კვების პროდუქტების მწარმოებელ მეურნეთა პოზიცია ჩამოთვლილი რესურსების მომჭირნეობით გამოყენება, მაგრამ იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო პროგრამით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოების, მის რეალიზაციასა და მოგების მიღებას.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია წარმოადგენს ჩამოთვლილი წარმოების ფაქტორების (რესურსების) გამოყენების საშუალო მაჩვენებელს, რომელიც უკანასკნელ წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 2.5.1.)

ცხრილი 2.5.1.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და მათ შორის, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ფაქტობრივად მოქმედ ფასებში, მლნ ლარი)

| | წლები | | | | | | |
|--|-------|------|------|------|------|------|------|
| | 1990 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი სულ | 1495 | 3694 | 3793 | 4519 | 4863 | 5513 | 6186 |
| აგრარული პროდუქცია სულ | 5199 | 1851 | 2062 | 2299 | 2266 | 2650 | 2024 |
| მათ შორის: მემცენარეობის მეცხოველეობის | 3571 | 1081 | 1027 | 1378 | 1506 | 927 | |
| მათ შორის: ოჯახური მეურნეობების სულ | 2495 | 1407 | 1650 | 1863 | 216 | 2116 | 1903 |
| აქედან: მემცენარეობის | 1714 | 816 | 805 | 1150 | 1163 | 1386 | 870 |
| მეცხოველეობის | 781 | 591 | 845 | 713 | 953 | 1105 | 1033 |

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის
მასალების გამოყენებით.

როგორც ვხედავთ, ათი წლის განმავლობაში (1990-2000) ბაზრის სუბიექტებში და ინფრასტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შედეგები ასახულია ამ ცხრილის მაჩვენებლებში. წარმოების მოცულობის შემცირება ხდებოდა სახელმწიფო სექტორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლის კომპენსაცია ხდებოდა კერძო სექტორში, კერძოდ, გლეხურ, ოჯახურ მეურნეობებში. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 2000 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 2/3-ით. მათ შორის, სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი დაეცა 52%-დან 1,8%-მდე, ხოლო კერძო სექტორის წილი 48%-დან გაიზარდა 98,2%-მდე. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელთა გავლენა მაინც მცირეა, რადგან მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1990 წელთან შედარებით მაინც 39,5%-ით არის შემცირებული.

შეგვიძლია ლოგიკური დასკვნის გაკეთება, რომ სრული კომპენსაცია ჯერჯერობით არ მომხდარა, რაც ქვეყანაში განხორციელებული აგრარული რეფორმის ნაკლოვანებებზე მიგვითითებს.

მეურნეობების კატეგორიების მიხედვით წარმოების სექტორის ცვლილებებმა, მიგვიყვანა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების არსებით შემცირებამდე (იხ. ცხრილი 2.5.2.).

ცხრილი 2.5.2.

ძირითადი სახის პროდუქციის წარმოების სტრუქტურა მეურნეობათა ყველა კატეგორიის საწარმოებში, ტონებში

| პროდუქცია | 1990 წ. | 2001 წ. | ცვლილებები 1990 წელთან შედარებით % |
|------------------|---------------|---------------|------------------------------------|
| მარცვალი | 665300 | 713572 | +7,2 |
| კარტოფილი | 293800 | 422217 | +43,7 |
| ბოსტნეული | 443200 | 395966 | +10,7 |
| ხორცი | 170300 | 102400 | -39,9 |
| რძე | 659400 | 710000 | +7,7 |
| კვერცხი მლნ ცალი | 692000 | 395400 | -19,4-ჯერ |
| თამბაქო | 8100 | 2001 | -4-ჯერ |
| ხილი | 1274800 | 200000 | -6,3-ჯერ |
| ყურძენი | 629500 | 150000 | -4,2-ჯერ |
| ციტრუსი | 259800 | 60000 | -4,3-ჯერ |
| ჩაი | 522400 | 23000 | -22,7-ჯერ |

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების გამოყენებით (+ - ზრდა, - შემცირება).

როგორც ჩანს, განსაკუთრებით დიდი მოცულობით შემცირდა ისეთი საექსპორტო პროდუქტები, რომელსაც აწარმოებდა მსხვილი სახელმწიფო მეურნეობები და კოლმეურნეობები: თამბაქოს წარმოება შემცირებულია 4-ჯერ, ხილისა - 6,3-ჯერ, ყურძნის - 4,2-ჯერ, ციტრუსების - 4,3-ჯერ და ჩაის - 22,7-ჯერ; შემცირების ტენდენცია აღინიშნება კვერცხის წარმოებაშიც, რომლის მოცულობა შემცირებულია 19,4-ჯერ, რაც გამოწვეულია იმით, რომ მეფრინველეობა რეფორმამდე წარმოდგენილი იყო მსხვილი ინდუსტრიული ტიპის ფაბრიკებით გარედან შემოზიდული საკვების ბაზაზე (ძირითადად, რუსეთიდან). ამ ბაზის დაკარგვის გამო, მათ შეწყვიტეს მუშაობა, ხოლო შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და დანადგარები - განკულაკებული იქნა. ამჟამად

დაგვიანებით ხდება მათი პრივატიზაცია, რეამინაცია და კომერციული ტიპის ფაბრიკებად გარდაქმნა;

მეორე მხრივ, ეს მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მერე გამოკვეთა მარცვლეულის, კარტოფილის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით, გლეხების დაინტერესება. ამიტომ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა კარტოფილის (43,7%-ით), ხორცის (39,9%-ით), მარცვლეულის (7,2%-ით), რძის (7,7%-ით) ზრდის ტენდენცია, რადგან მათი რეალიზაციისათვის შიდა ბაზარი მაინც აქვთ გარანტირებული და გარკვეულ წილ შემოსავალსაც დებულობენ, ესე იგი, მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილის და მარცვლეულის წარმოების გაზრდას მოტივაცია გააჩნია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების დარჩენილი საწარმოები, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, ვეღარ შეისყიდიან ოჯახური მეურნეობის მიერ წარმოებულ პროდუქციას. ამიტომ გაწყვეტილია მათ შორის ადრე არსებული კავშირები, რამაც განაპირობა კერძო სექტორში ნატურალური, კარჩაკეტილი ტიპის მეურნეობის ჩამოყალიბება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სურსათის წარმოების ანალიზს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების დონეს ასახავს. ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ქვეყანაში ძალზე მკვეთრად გამოისახა წინააღმდეგობა სურსათის უკმარისობისა და მისი წარმოების შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის.

სასურსათო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა შემდეგი ძირითადი პირობების შექმნა:

1. სამეურნეო საქმიანობის მაქსიმალური თავისუფლება სოფლის

მეურნეობის წარმოების ყველა სუბიექტისათვის. დაშვებულ იქნა ყველა სახის (კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო) საკუთრების თანასწორუფლებიანობა, მოინახოს მათი გამოყენების ყველაზე ხელსაყრელი სფერო;

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაირსახეობის (ასორტიმენტის) გადიდება და მათი ხარისხის ამაღლება, დანახარჯების შემცირება და ფასების სტაბილიზაცია;

3. თავისუფალი ფასწარმოქმნა საბაზრო მექანიზმს სოფლის მეურნეობაში ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტებზე ფასების უმეტესი ნაწილის დადგენა მოხდება უშუალოდ ბაზარზე თავისუფლად - მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებით. ფასებზე კონტროლი დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ შეზღუდულ სფეროში, კერძოდ, ადამიანისათვის პირველად, სასიცოცხლო პროდუქტებზე;

4. სახელმწიფომ უარი უნდა თქვას არა მარტო კერძო, ოჯახური მეურნეობების და ფერმების, არამედ სხვა საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების - შეზღუდული პასუხისმგებლობის, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების, მეიჯარეების და სხვა სამეურნეო საქმიანობაში ჩარევაზე. [51], [55].

სასურსათო ბაზრის კონკურენტულ გამოვლენას წარმოადგენს კვების პროდუქტების წლიური მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. მონაცემები ამის შესახებ წარმოდგენილია ცხრილში 2.5.3.

ცხრილის მონაცემების მიხედვით, ამ პროდუქტების მოცულობები გაცილებით დაბალია ფიზიოლოგიური მოთხოვნილები დადგენილ

ნორმებთან შედარებით.

გამოკლევამ გვიჩვენა, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე ყველაზე მეტად დაცემულია გურიაში, იმერეთსა და კახეთში. შედარებით მთის რეგიონებში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლის რეგიონში ამ მაჩვენებლის დაცემის ყველაზე დაბალი დონეა. ამიტომაც, რომ სასურსათო უზრუნველყოფის მაჩვენებლებმა ამ რეგიონში კიდევაც გადააჭარბა 1990 წლის დონეს.

ასე რომ, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საექსპორტო პროდუქციის (ჩაი, ციტრუსი, ყურძენი, ხილი) მწარმოებელ რეგიონებში სურსათით უზრუნველყოფის დონე დღეისათვის უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენებში. ამას განაპირობებს ის, რომ

ცხრილი 2.5.3.

ზოგიერთი მთავარი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე (კილოგრამებში)

| პროდუქციის დასახელება | წლები | | | | | | 2004 %-ში 1990 წელთან |
|-----------------------------|-------|------|------|------|------|------|-----------------------------|
| | 1990 | 1995 | 1998 | 1999 | 2000 | 2004 | |
| მარცვლეული | 122 | 109 | 128 | 169 | 94 | 162 | 132,8 |
| მ.შ. ხორბალი | 47 | 16 | 11 | 19 | 20 | 69 | 146,8 |
| სიმინდი | 49 | 81 | 90 | 106 | 66 | 65 | 132,6 |
| კარტოფილი | 54 | 74 | 75 | 96 | 68 | 96 | 177,7 |
| ბოსტნეული და ბაღჩეული | 88 | 12 | 89 | 114 | 98 | 109 | 123,8 |
| ხილი, ყურძენი, ციტრუსები | 287 | 195 | 128 | 123 | 109 | 93 | 32,4 |

| | | | | | | | |
|----------------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-------|
| ჩაი | 92 | 8 | 10 | 13 | 5 | 5 | 5,4 |
| ხორცი | 31 | 24 | 22 | 22 | 14 | 23 | 74,2 |
| რძე | 121 | 100 | 137 | 143 | 138 | 161 | 133,0 |
| კვერცხი (ცალი) | 141 | 57 | 82 | 85 | 80 | 90 | 63,8 |

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების გამოყენებით.

მათში, როგორც ამ ნაშრომის წინა თავებში წარმოდგენილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მკვეთრად (მრავალჯერ) დაეცა ძირითადი, მაპროფილებელი დარგების პროდუქციის წარმოება, სამაგიერო, მაკოპენსირებელი დარგების სრული ჩანაცვლება ჯერჯერობით არ მომხდარა. ფაქტია, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ სრულად არ არის დაკმაყოფილებული სურსათით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ორ კატეგორიად იყოფა: პირველადი ანუ ძირითადი და მეორადი, ანუ საჭირო, მაგრამ არა აუცილებელი. ძირითადში შედის მარცვლეული, კარტოფილი და მეცხოველეობის პროდუქტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანის ფიზიკური არსებობა.

იმ მარცვლეულ კულტურებში, რომელიც საქართველოში იწარმოება, მთავარი ადგილი უჭირავს ხორბალსა და სიმინდს. მარცვლეულის შემდეგ, მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტს შეადგენს კარტოფილი და მეცხოველეობის პროდუქტები (საქონლის, ღორის, ფრინველის ხორცი, რძე).

როგორც ამ ნაშრომში წარმოდგენილი ცხრილების მონაცემებიდან ირკვევა, დღეისათვის, როცა შეექმნით თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა და გადაუდით საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც ითვალისწინებს სურსათით ძირითადად, საკუთარი წარმოებით უზრუნველყოფას,

აღმოჩნდა, რომ ამ მოთხოვნის შესრულება შეგვიძლია მხოლოდ სწორედ ჩვენი საანალიზო დარგის - მეკარტოფილეობის და მესიმინდეობის პროდუქციით, რომლის მოცულობაც 2004 წლისათვის (1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით) 1990 წელთან შედარებით, გაზრდილია შესაბამისად 77,7 და 132,8 პროცენტით და უახლოვდება ფიზიოლოგიურ ნორმას. წარმოებული მარცვლის დონით კი მასზე მოთხოვნილება შეგვიძლია დააკმაყოფილოთ მხოლოდ 60-70 პროცენტით.

ამრიგად, მოსახლეობისათვის აუცილებელი პროდუქტების წარმოება ერთ-ერთი გადაუდებელი პრობლემაა სურსათით უსაფრთხოების მოთხოვნილებიდან და მისი გადაწყვეტა მოითხოვს მატერიალური და ფინანსური რესურსების მაქსიმალურად და მიზანმიმართულ გამოყენებას.

საქართველოს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფიზიოლოგიური ნორმების გათვალისწინებით მოთხოვნების დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების რესურსებით, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, სრულად (მთლიანად) შეუძლებელია. ჩვენც ვუერთდებით ამ აზრს.

ხორბლის, ხორცის, მზესუმზირის და სხვა პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი 1990 წლამდეც იმპორტით შემოიზიდებოდა საქართველოში, ამჟამად კი - თითქმის მთლიანად. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაცვის მიზნით, მათი იმპორტის მოცულობამ 30%-ს არ უნდა გადააჭარბოს. [19]

მრავალი მეცნიერის გამოკვლევების შედეგებით დასტურდება, რომ ძირითადი სახის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილება სრულად მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როცა 1 სულზე მარცვლეულის (სასიცოცხლოდ უპირველესი პროდუქტის) წარმოება მიაღწევს 1 ტონას,

ჩვენთან კი, დღეისათვის იწარმოება მხოლოდ 0,5-0,6 ტონა.

ნორმატივებით (მინიმალური სასურსათო კალათის მხედველობაში მიღებით) 1 სულ მოსახლეზე საჭიროა ჩვენს ვალუტაზე გადაყვანით იწარმოებდეს 650-750 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა ერთმა მუშაკმა ნორმით უნდა აწარმოოს 950 ლარის ღირებულების მთლიანი პროდუქცია, ჩვენთან კი, ეს მაჩვენებელი საშუალოდ 290 ლარს უახლოვდება, ანუ მის 25,3%-ს შეადგენს.

სასურსათო ბაზრის ისეთი პირობების შესასრულებლად, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, აგრარულ სექტორში აუცილებელია შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, როგორცაა სასურსათო და სარესურსო ბირჟები და აუქციონები, მხოლოდ ჩასახვის პროცესშია - მიწის ბაზარი (მისი ყიდვა-გაყიდვის კანონი გვიან იქნა მიღებული), შრომითი რესურსების, წარმოების საშუალებების და მომსახურების ბაზრები და სხვა.

და მაინც, როგორც მე-14 და მე-15 ცხრილებიდან ჩანს, დღევანდელი ჩვენი სასურსათო ბაზარი გაცილებით მეტად აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებებს ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საბაზისო (1990 წ.), აგრარულ რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით, თუმცა, მასში ჯერჯერობით მნიშვნელოვანი წილი (30%-ზე გაცილებით მეტი) მოდის იმპორტულ პროდუქტებზე.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის დონე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტების ფასებს შორის თანაფარდობის მოწესრიგება.

ეფექტიანი სასურსათო ბაზრის დამკვიდრებას აფერხებს აგრეთვე

ოჯახური მეურნეობებისა და ფერმერების დაკრედიტების მოქმედი პრაქტიკაც მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საკვებ პროდუქტებზე ფასები კი უნდა არეგულირებდეს ბაზარს, მაგრამ, როგორც დღევანდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, ყოველთვის არა. ამიტომაც, რომ მათი რეგულირება, ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, სახელმწიფოს მიერ ხდება. ასე მაგალითად, აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, გერმანიაში სახელმწიფოს მიერ დარეგულირებული ფასების ხვედრითი წონა 25 და 40 პროცენტს შეადგენს, ჩინეთში კი - 50 პროცენტზე მეტსაც.

ეს საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ჩააყენოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასები ქვეყნის ეკონომიკური პირობების ცვალებადობასთან დამოკიდებულებაში, შეარბილოს მათი ზემოქმედება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, შეამციროს სასურსათო უსაფრთხოების დონე. საბაზრო ურთიერთობათა გავლენით, სტიქიურად ფორმირებული ფასები კი ხშირად საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. ამ პროდუქტებზე საბაზრო ფასების რეგულირების სიცოცხლისუნარიანი მექანიზმის დამუშავება დღის წესრიგში დგას.

მთავარი წანამძღვარი სასურსათო უსაფრთხოების გამო, საკუთარი მწარმოებლებისადმი დახმარებაზე ხელის აღება, უარის თქმა და კვების პროდუქტების იმპორტის გადამეტებული ზრდის დაშვებაა. ზუსტად ასეთი სურათია დღეს ჩვენს ქვეყანაში. პრობლემის გადაწყვეტა მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა პრიორიტეტი მიეცემა სასურსათო პროდუქტების სამამულო წარმოებას.

1990 წლიდან, წლითიწლობით მცირდებოდა სურსათის ეროვნული წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, უარესდებოდა მათი სტრუქტურა. უკანასკნელ პერიოდში (1997-2002 წწ) სიტუაციის

რამდენადმე გამოსწორებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის მიუხედავად, ამჟამად საქართველო მაინც სრულად ვერ აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობას კვების პროდუქტებით.

1997 წელს აგრარული ბაზრების საშუალო ფასებით ქვეყნის მოსახლეობის მიერ მოხმარებული სასურსათო პროდუქტების ფასმა 3,23 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2,36 მილიარდი ლარით, ანუ 42%-ით ნაკლებია ფიზიოლოგიურად გათვალისწინებულ ნორმასთან შედარებით. 1 სულ მოსახლეზე, ნაცვლად 1036 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტებისა, წლის განმავლობაში, საშუალოდ, მოხმარებული იქნა 597 ლარის ღირებულებისა, ანუ თვეში 50 ლარი, ნაცვლად 86 ლარისა. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 58%-ით იკმაყოფილებს მოთხოვნილებას საკვებზე ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულთან შედარებით. [22] მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სურსათის დეფიციტი ახალა უკვე აღარ აღინიშნება, ვინაიდან სურსათის დეფიციტის შევსება ხორციელდება იმპორტირებული საკვები პროდუქტების ხარჯზე, რომლის ხვედრითი წილი ძირითადი საკვები პროდუქტების მოთხოვნილებასა და მოხმარებაში, ფულად გამოსახულებაში, შესაბამისად, 61% და 30%-ია, სამამულო წარმოების პროდუქტით დაკმაყოფილება ტოლია 39%-ის.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრმა დაცემამ, მიგვიყვანა იქამდე, რომ ამჟამად ქვეყნის სასურსათო ბაზრის 50%-ს იმპორტული კვების პროდუქტები წარმოადგენს, მაშინ, როდესაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ მაჩვენებლის ზღვრულად დასაშვებ ნორმად მიჩნეულია 25-30%. სასურსათო ბაზრის ასეთი ძლიერი დამოკიდებულება იმპორტისაგან ეკონომიკური პარადოქსია ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც ფლობს კვების პროდუქტების წარმოებისთვის

ძალზე ხელსაყრელ ბუნებრივ-საწარმოო რესურსებს.

მოსახლეობის მიერ სასურსათო პროდუქციის შექმნაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილია პურ-პროდუქტების ნაწარმის შექმნაზე გაწეული ხარჯები (34,4%) (რაც მიგვანიშნებს, რომ მისი ღარიბი ნაწილი ძირითადად მხოლოდ პურით იკვებება), ხორცისა და ხორც-პროდუქტების შექმნაზე - 12,1%, ბოსტნეულზე - 12,1%, ცხიმებზე - 8,7%, შაქარზე - 8,3%, რძეზე და რძის პროდუქტებზე - 6,5%. კვებაზე გაწეული ხარჯები მთლიანად გაწეული ხარჯების 53,6%-ს შეადგენს, იმ დროს, როდესაც პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში სურსათზე იხარჯება ოჯახის შემოსავლის არაუმეტეს 20%-ისა (გერმანიაში და ინგლისში - 12%, აშშ-ში - 10%). ჩვენთან ამ მაჩვენებლის ასეთი მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისს ასახავს.

მოსახლეობისათვის საკუთარი წარმოების პროდუქტებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები თუ მაღე არ გაიზარდა, საქართველო შეიძლება უახლოეს პერიოდში მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც. ამიტომ, სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა საქართველოსთვის პირველი რიგის ამოცანად უნდა მოიაზრებოდეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დღეისათვის სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე 70%-ით იფარება სოფლის მეურნეობის ხარჯზე, იმ დროს, როცა მრეწველობაზე მხოლოდ 27,5% მოდის.

თავი III. მეკარტოფილეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებეთა სისტემა

3.1. სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის გამოყენება კარტოფილის წარმოებისა და რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში

აგრარულ რეფორმამდე ჩვენთან გაბატონებული „გეგმიანი“ ეკონომიკისაგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს საზოგადოებრივი წარმოების ისეთ ორგანიზაციას, რომლის დროსაც, ფერმერები, როგორც მეწარმეები, მოსახლეობის მსყიდველობითი მოთხოვნილების შესაბამისად დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხს, რა, როგორ, რამდენი, როდის, სად და ვისთან აწარმოონ პროდუქცია და გაყიდონ. ისინი თვითონ განსაზღვრავენ აგრეთვე - რა სახის რესურსები (მიწა, ნედლეული, მასალები, ტექნიკა, მოწყობილობები, სარგავი და სათესლე მასალა, შხამქიმიკატები, საწვობები, სატრანსპორტო საშუალებები, კაპიტალი და ა.შ.) არის საჭირო ამისათვის, ეწვიან წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ზრუნავენ მაქსიმალური შემოსავლისა და მოგების მიღებაზე, რათა ამოიგონ გაწეული ხარჯები, გადაიხადონ გადასახადები, ტექნიკურად და ეკონომიკურად განავითარონ თავიანთი წარმოება მომავლისათვის. ერთი სიტყვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფერმერი მეწარმეს წარმოადგენს.

აგრობიზნესმენს უნდა შეეუქმნათ ისეთი ხარისხიანი პროდუქციის წარმოების პირობები, რომ მან შეძლოს მისი გაყიდვა, ისეთი, როგორსაც მოითხოვენ მყიდველები და თანხმდებიან მათ შესყიდვაზე; პროდუქცია უნდა იყოს პერსონიფიცირებული საკუთრება. იგი შეიძლება იყოს პირადი, სააქციონერო, კოოპერატიული ან სხვა. მაგრამ უნდა ჰყავდეს კონკრეტული მეპატრონე, რომელიც კანონიერად ფლობს მას და აქვს მისი განკარგვის უფლება, ეწევა საკუთრების თავისი წილის დაკარგვის

რისკს; ბაზრის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს საწარმოო და კომერციული საქმიანობის შედარებითი თავისუფლება, რათა პატიოსანი კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს.

საბაზრო ურთიერთობათა განსავითარებლად საჭიროა მოქმედებდეს ბიზნესის დარეგულირების სხვადასხვა მექანიზმი, სრულყოფილ იქნეს კანონმდებლობა კერძო საკუთრებაზე და მის დაცვაზე, სუფთა კონკურენციაზე, უნდა ხდებოდეს საქონლის (პროდუქციის) დაცვისათვის სერტიფიკატებისა და პატენტების გაცემა, სრულყოფილ იქნას საგადასახადო, საკრედიტო და შეღავათების სისტემა და სხვა.

მეწარმეს ხელეწიფება ბაზარზე თავისი ადგილის (ნიშის) მონახვა. ნებისმიერი ბიზნესის წარმოება დამოკიდებულია მეწარმეობის სფეროს წარმატებით შერჩევაზე, საბაზრო სტრატეგიის სწორ განსაზღვრაზე და მისი რეალიზაციის ეფექტიანი ტაქტიკის დადგენაზე. საქმის ეფექტიანი გაძღოლის საფუძველს წარმოადგენს ცხოვრებაში კარგად გატარებული იდეა. ამაში, პირველ რიგში, იგულისხმება პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფა რათა მივიღოთ კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომლითაც გავალთ ქვეყნის შიდა და საგარეო ბაზარზე. ნორმალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული საწარმო უნდა მიისწრაფოდეს აწარმოოს ექსპორტისათვის მთელი პროდუქციის არანაკლებ 20%-ისა მაინც. მხოლოდ ასე შეიძლება დარწმუნდეს თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაში, რომელიც ასახავს მისი ხარისხის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებისადმი, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს საპატენტო დაცვის მაჩვენებლებით.

აგრობიზნესის სფეროს შერჩევას, ბაზარზე წარმატების გარანტირებისათვის, საჭიროა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. სასოფლო-სამეურნეო საწარმო უნდა ეცადოს მოიპოვოს ბაზარზე მონოპოლია რომელიმე სახის პროდუქციაზე, რათა დომინირებდეს იქ ამ პროდუქციის ხარისხით, რომელსაც ანალოგი ამ ბაზარზე არ ექნება;

2. სასურველია, რომ ბიზნესის განვითარება იყოს შეფარდებით დამოუკიდებელი ეკონომიკური ციკლის ფაზებისაგან. სხვა სიტყვებით - უნდა უზრუნველყოფდეს ბრუნვის დაჩქარებას არა მარტო წარმოების აღმავლობის, არამედ მისი დაცემის პერიოდებშიც;

3. ფერმა საჭიროებს მოგების მაღალი ნომებისა და მყიდველების ბაზარზე გამოჩენის ტემპების ზრდას. ამასთან, თვალყური უნდა ადევნოს, რომ ამაღლდეს მისი პროდუქციის ერთი და იმავე მყიდველთა დაკვეთების წილი. ეს ფერმის იმიჯის ზრდის მაჩვენებელია;

4. ბიზნესმენი უნდა ეცადოს გამუდმებით შექმნას (მოიძიოს) მისი პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრები, არ ჩაებლაუჭოს ორივე ხელით მაინცდამაინც ერთ ბაზარს - უნდა ჰქონდეს სათადარიგოც. ახალი ბაზრის შექმნა შეიძლება წარმოების დივერსიფიკაციით, პროდუქციის ახალი სახეების წარმოებით ან ძველის სრულყოფით. [62]

ფერმერს უნდა ახსოვდეს, რომ როცა გამონახავს საკუთარ ადგილს (ნიშას) ბაზარზე, აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც სხვა, რომელიც შეეცდება გაეკვეხოს მასში და გაუწიოს კონკურენცია. აი, ამიტომ უნდა ჰქონდეს მას სათადარიგო ადგილი, რომელზეც შეიძლება ორიენტირება.

საქმიანობის სფეროს განსაზღვრის შემდეგ, ფერმერის წინაშე დგება შემდეგი სახის ამოცანები: შეიმუშაოს ფერმერის ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და კომერციული პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს მას მხედველობაში მიიღოს ბაზრის კონიუნქტურა, განსაზღვროს ამ პოლიტიკის რეალიზაციის კონკრეტული გზები, რათა

გავლენა მოახდინოს ბაზარზე მისთვის საჭირო მიმართულებით, ანუ დაამუშაოს ტექნიკურ-ეკონომიკური სტრატეგია და საბაზრო ტაქტიკა, ე.ი. ბიზნეს-გეგმა, რაც ხელს შეუწყობს საბოლოოდ მონახოს თავისი ადგილი ბაზარზე.

სტრატეგია მეწარმის ძალისხმევის მთავარი მიმართულებაა, საერთო პოლიტიკა, ტაქტიკა კი - კონკრეტული მოქმედებების ფორმები და წესებია ამ სტრატეგიის რეალიზაციისათვის.

სამეწარმეო საქმიანობის არსი აგროსამრეწველო კომპლექსში მდგომარეობს იმაში, რომ ვაწარმოთ თვითონ, ან შევისყიდოთ მწარმოებლისგან პროდუქცია, რომელიც სჭირდება მომხმარებელს, გავყიდოთ იგი, მივიღოთ გარკვეული მოგება პროდუქციის ერთეულის ბრუნვიდან და ისევ ჩავრთოთ ამ მოგების ნაწილი წარმოებაში და დავიწყოთ წარმოების ან კომერციის ახალი ციკლი.

ტრადიციული ერთი სახის პროდუქციით ვაჭრობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის. ახლის წარმოება და გაყიდვა კი, თავის მხრივ, უფრო მეტ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ უფრო მომგებიანია.

ასე რომ, როცა ტრადიციული პროდუქცია გაგვაქვს ბაზარზე, გამუდმებით უნდა ვიზრუნოთ მისი სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებისათვის, მისი ყუათიანობის, გემოვნების, შეფუთვის, მარკირების (იარლიყის), სერვისის ხარჯზე და სხვა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საკმაოდ დიდხანს შევინარჩუნოთ საკუთარი საბაზრო ნიშა. იმ შემთხვევაში კი, როცა ყოველივე ეს ამოწურულია და მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ახალ ანალოგიურ პროდუქციას (საქონელს), საჭიროა ვიფიქროთ ფასის შემცირებაზე, რათა დროზე გავუკეთოთ

დაგროვილ მარაგს რეალიზაცია და არ დაგუშვათ ზარალი. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ვისარგებლოთ ცნობილი წესით: კაპიტალი იზრდება არა მარტო მოგების ზრდის ხარჯზე, არამედ მისი ბრუნვის დაჩქარებითაც.

მეწარმეობის სტრატეგიულ საკითხებს ეკუთვნის არა მარტო ახალი პროდუქციის ათვისება, არამედ პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება.

ყველა შემთხვევაში, ნომენკლატურის გაფართოებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საშუალებას აძლევს ბიზნესმენს მიიღოს კონკრეტული უპირატესობა, რომლის მეშვეობით იგი შეძლებს აწარმოოს ესა თუ ის პროდუქცია უკეთესად, იაფად და სწრაფად, ვიდრე კონკურენტები.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი დამოკიდებულია მათ სასიცოცხლო ციკლზე (ბაზარზე მისი ყოფნის დროს), თუ მეწარმის პროდუქციის გადამხდელუნარიანობის ციკლი არ არის ამოწურული და ჯერ კიდევ არის მასზე მოთხოვნილება, მან თავი უნდა შეიკავოს გადამეტებული დივერსიფიკაციისაგან და შეინარჩუნოს ტრადიციული წარმოება იმ მოცულობით, რომელიც ფარავს მოთხოვნილებას.

როცა მეწარმეობაში ვაბანდებთ კაპიტალს, საჭიროა განვსაზღვროთ ამოგების ვადა და დისკონტირების მხედველობაში მიღებით (დღევანდელი და ხვალინდელი ფულის ერთეულის სხვადასხვა ფასების მხედველობაში მიღებით). ყურადღებაა გასამახვილებელი იმაზე, რომ საქმეში დღეს ჩადებულმა ფულადმა საშუალებებმა ხვალ უნდა მოგვცეს შემოსავალი, რომელიც აუცილებლად ტოლი უნდა იყოს მას პლუს შემოსავალი, რომელიც მან უნდა მოიტანოს.

ფასის სხვადასხვაობის გასათვალისწინებლად მათი დაბანდებისა

და უკუგების პერიოდის დაწყებისას, საჭიროა მომავალი (მოსალოდნელი) შემოსავალი გავამრავლოთ დისკონტირების კოეფიციენტზე, რომელიც გვიჩვენებს დღევანდელი ფულადი ერთეულის წილს მის მომავალ ღირებულებაში. [66].

როცა ვანგარიშობთ პროდუქციის წარმოების მომგებიანობას, უნდა გვახსოვდეს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ეკონომიკური კანონი - „პროექტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ტოლი უნდა იყოს მის წარმოებაზე გახარჯული რესურსების ღირებულების“. თუ ეს პირობა დაცულია, საქმე გვაქვს მარტივ კვლავწარმოებასთან (არც წაგება გვაქვს, არც მოგება), გაფართოებული კვლავწარმოების პირობის შექმნისათვის კი, პირველი აუცილებლად უნდა სჭარბობდეს მეორეს.

საქართველოს აგრარულ ეკონომიკაში მარკეტინგის პრაქტიკული დაუფლების პროცესი ჯერჯერობით საწყის სტადიაში იმყოფება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგი გამოირჩევა სირთულით და რისკის მაღალი ხარისხით. მისი სპეციფიკა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. ძირითადი რესურსის მიწის ფართობით შეზღუდვა ხელს უშლის დამატებით მატერიალური და ფინანსური რესურსების სწრაფ გადმონაცვლებას ამ დარგში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის დამახასიათებელია საბაზრო ფასების ციკლურობა;
2. წარმოების ეკონომიკაში ეფექტიანობაზე ამ დარგში უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებრივ-კლიმატური და ბიოლოგიური ფაქტორები;
3. დარგის პროდუქციის ცალკეული სახეები ხასიათდება დაბალი ელასტიკურობით;
4. სურსათის მწარმოებლის პოზიცია ბაზარზე განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულების მის საბაზრო ფასთან შეფარდებით;

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაღალი დანაკარგების გამო, მომხმარებლებამდე მიდის წარმოებული პროდუქციის უმნიშვნელო ნაწილი. ამასთან, მისი ძირითადი ნაწილი გადის განაწილების რამდენიმე არხით - გადამამუშავებელ საწარმოთა, საცალო და საბითუმო მოვაჭრეთა ხელში. აქედან გამომდინარე, სურსათის მწარმოებლის წილი პროდუქციის საბოლოო საცალო საბაზრო ფასში უმნიშვნელოა;

6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სწრაფუჭებადი თავისებურება, რაც მოითხოვს საწყობების, საცავეების, სამაცივრო დანადგარების, პირველადი გადამამუშავების მნიშვნელოვანი ხვედრითი წონით გადიდებას;

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილი მიდის სამრეწველო გადამამუშავებაზე. ამიტომ მუშაკთა დიდი რაოდენობა არის დასაქმებული არა მარტო უშუალოდ წარმოებაში, არამედ მთელ სამარკეტინგო ჯაჭვშიც პროდუქციის მოძრაობისას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

სასურსათო მარკეტინგის სისტემა შედგება: სასურსათო პროდუქტების ალტერნატიული ნაკადებისაგან (არხებისაგან), ფირმა შუამავლების სხვადასხვა ფორმებისაგან, მრავალრიცხოვან სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მარკეტინგის სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ და თავისი კონკრეტული წვლილი შეაქვთ ცალკეული ფერმერისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობაში.

სასურსათო მარკეტინგი სოფლის მეურნეობაში მოიცავს საქმიანობის ორ მთავარ ტიპს: ერთი მათგანი ეხება ფიზიკურ მანიპულირებას (მოსავლის აღება, დატვირთვა, ტრანსპორტირება, გადმოტვირთვა), შენახვის, გადამამუშავების, ნედლეულისა და მზა

პროდუქციის გადაცემას მათი მწარმოებლებიდან მომხმარებლამდე მოძრაობის დროს. საქმიანობის მეორე ტიპი მიეკუთვნება გაცვლის და საბაზრო სისტემაში ფასწარმოქმნის პროცესებს. მარკეტინგის ეს ეკონომიკური ასპექტი უფრო მეტად შეიგრძნობა, ვიდრე პროდუქციის ფიზიკური განაწილება მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები არა მარტო მაღალფუჭებადია, არამედ ხარისხისა და ფასების ძალზე მაღალი ვარირებით ხასიათდება. წარმოება დარგში სეზონურია და გეოგრაფიული თვალსაზრისითაც გაფანტულია, განსაკუთრებით სამთო მიწათმოქმედების პირობებში, მომხმარებლიდან საკმაოდ დაშორებით.

სურსათის მარკეტინგის პროცესი იაფი არაა. საზღვარგარეთ, განვითარებულ ქვეყნებში ფულადი დანახარჯების საერთო მასიდან, რომელსაც ხარჯავს მომხმარებელი, 75% მოდის სამარკეტინგო საქმიანობაზე ფერმის გარეთ და მხოლოდ 25% რჩება ფერმერულ მეურნეობაზე. იმ ფირმების მუშაკების ხელფასი, რომლებიც ეწევიან სასურსათო მარკეტინგს, უკვე სჭარბობს ფერმერების მიერ გაყიდული პროდუქციის ღირებულებას. [66] ამჟამად, მარკეტინგზე გაწეული ხარჯები ისევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასურსათო პროდუქციის საცალო ფასებზე, როგორც მათზე ფერმერების ფასები.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენთანაც კი, 1995-2000 წლებში საკვები პროდუქტების ფასების ზრდის 74% მოდიოდა სასურსათო მარკეტინგზე (აქ იგულისხმება კომერციული სავაჭრო შუამავლების საქმიანობა, ხოლო გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობათა ხვედრითი წილი ფასების გადიდებაში მხოლოდ 23%-ს შეადგენს. სურსათით მოვაჭრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ასეთი სიტუაცია ამართლებს მეტი ყურადღების მიქცევას თვით

პროდუქციის მარკეტინგის საფუძვლების ათვისებისადმი თვით პროდუქციის მწარმოებლების მიერ.

ფერმერების შემოსავალი შეიძლება გავზარდოთ არა მარტო პროდუქციის წარმოების გაზრდით არამედ მისი ხელსაყრელი გასაღებითაც.

ცვალებადი პირობებისადმი სწრაფი ადაპტირების შეუძლებლობა ქმნის სოფლის მეურნეობაში რისკის მაღალ ელემენტს.

წარმოების პერსპექტივის ასეთი შეფარდებითი განუჭვრეტელობა და უმართაობა ფერმერულ მარკეტინგს უამრავ თავსატეხ პრობლემას უქმნის, რომელიც, პრინციპში, ძირითადად, მაინც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის გადასაწყვეტია.

ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხები, ფერმერები, უკვე თვითონ ასრულებენ თავიანთი სასურსათო მარკეტინგის ტრადიციულ ფუნქციებს (მათ ვხედავთ არა მარტო ბაზრებზე, არამედ დიდი ქალაქების ინტენსიური მოძრაობის ქუჩებში, უბნებში, მეტროს გარშემო ადგილებში და სხვა). ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ჩვენს სინამდვილეში. პროდუქციის გასაღების კოოპერატივების შექმნით, მათ შეუძლიათ გააფართოვონ თავისი მარკეტინგული საქმიანობა. ასე რომ, ურთიერთობა ფერმერსა და იმ შუამავლებს შორის, რომლებიც დასპეციალებული არიან სასურსათო მარკეტინგზე, ერთდროულად წარმოადგენს კონკურენციასაც და ურთიერთშეესებასაც.

მარკეტინგის ცოდნა მწარმოებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორცაა:

- რა და რა სახის პროდუქცია აწარმოოს, რა რაოდენობით და როგორ მოამზადოს იგი გასაყიდად;
- როდის და სად გაყიდოს პროდუქცია და იყიდოს რესურსები;

- მარკეტინგის რა ნაწილი შეასრულოს თვითონ ინდივიდუალურად და რა ნაწილი მიანდოს შუამავლებს;
- რა შეიძლება გავაკეთოთ ბაზრის გაფართოებისთვის [35].

მიზნების, სტრატეგიებისა და ტაქტიკის მთელი კომპლექსი, რომელიც ეხმარება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს წარმოებაში და მარკეტინგში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ე.წ. სამარკეტინგო გეგმის მიხედვით, რომელიც უნდა გახდეს ფერმის „ბიზნესგეგმის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ცხადია, სასურსათო მარკეტინგის სისტემაში არსებობს გარკვეული ეკონომიკური წინააღმდეგობები. მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან უზრუნველყოფილი იყვნენ უმაღლესი ხარისხის საკვებით, რაც შეიძლება დაბალი ფასებით. გლეხური (ოჯახური) მეურნეობები ისწრაფიან მიიღონ, რაც შეიძლება მეტი მოგება თავისი პროდუქციის გაყიდვით. შუამავლებიც ცდილობენ მიაღწიონ მაქსიმალურად შესაძლებელ მოგებას. ამასთან დაკავშირებით, მარკეტინგის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, ხშირად ასეთი კონფლიქტური, ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნის შეთანხმება და შეჯერება. [66], [69]

დავა და კამათი იმის თაობაზე, თუ რომელი ჯგუფია მათგან მნიშვნელოვანი, აზრს მოკლებულია. ორივე ჯგუფი - ნედლეულის მწარმოებლები და სამარკეტინგო სამსახურებიც - აუცილებელია მოხმარების საბოლოო პროდუქციის შექმნისათვის.

განვითარებული ქვეყნების მონაცემები გვიჩვენებს, რომ, თუ ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულებას მივიჩნევთ 100-ად, მაშინ მისი ღირებულება საკვებ პროდუქტად გადასაქცევად და მომხმარებლამდე მისატანად იზრდება 422%-ით, ანუ 4,2-ჯერ მაინც.

სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ სამარკეტინგო საქმიანობა მთლიანად მიგდებულია კერძო სექტორში და ვისაც როგორ უნდა, ისე დააწესებს ფასდანიშნებს პროდუქციაზე. სასურსათო მარკეტინგის მექანიზმის ფუნქციონირება ყველა ქვეყანაში რეგლამენტირებულია სახელმწიფო კანონმდებლობით, წესებით, ნორმებით და აკრძალვებით, რომელიც დამუშავებულია მრავალწლიანი გამოცდილებით. ჩვენც გვჭირდება, რაც შეიძლება სწრაფად ამ პროცესებზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის დაწესება.

ფერმერული მეურნეობის შემოსავლის გაზრდა, ცხადია, შესაძლებელია საწარმოო დანახარჯების შეცმირებით, მაგრამ დღეს წინა პლანზე წამოიწია პროდუქციის ხელსაყრელი გასაღების პრობლემა. სასურსათო მარკეტინგის საბოლოო ამოცანაა პროდუქციის მიტანა კონკრეტულ მომხმარებელამდე (ამ უკანასკნელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება) საჭირო ადგილას და საჭირო დროს.

ჩვენთან სასოფლო-სამეურნეო მეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის 80%-ზე მეტი მიდის ბაზარზე პირვანდელი სახით, დანარჩენი - გადამამუშავებული სახით. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში საპირისპირო სიტუაციაა, თუმცა, უკანასკნელ წლებში, ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ახალი (ცოცხალი) პროდუქტის მიღების ხვედრითმა წონამ იქაც დაიწყო მატება.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა მიიღო სრული დამოუკიდებლობა, მოიპოვა თავისი წარმოებული პროდუქციის თავისუფალი განკარგვის უფლება და მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა მოიხსნეს პასუხისმგებლობა მათ მომარაგებაზე. ისინი თავს ბედის ანაბარად მიტოვებულად გრძნობენ. საჭირო გახდა სავაჭრო, ანუ კომერციული შუამავლების სტრუქტურის შექმნა. უამისოდ პროდუქციის

გასაღება გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს გაუჭირდებათ.

ბაზარი სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობას განსაკუთრებულ და მეტად არსებით როლს ანიჭებს. ვაჭრები-კომერსანტები აკმაყოფილებენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას - პროდუქციის მიტანაზე მომხმარებლამდე, რაც მომსახურების სფეროს განეკუთვნება.

სავაჭრო ორგანიზაციებით საბაზრო ეკონომიკაში წარმოებს ფასების გათანაბრება დროსა და სივრცეში. თუ მოცემულ რეგიონში იწარმოება ძირითადად ერთი სახის პროდუქცია, ვთქვათ, კარტოფილი დიდი რაოდენობით და ბუნებრივია, ფასები მასზე შედარებით დაბალია, შუამავლები, რომელსაც მიიზიდავს ასეთი დაბალი ფასები, ყიდულობენ მათგან ამ პროდუქციას ბითუმად, მასშტაბურით, რათა რეალიზაცია გაუკეთონ შედარებით მაღალ ფასებში უკვე სხვა რეგიონში, სადაც ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება მეტია. ამრიგად, ხდება ფასების გამოთანაბრება დროსა და სივრცეში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანაში იღუპება 30-50% წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა არა იმიტომ, რომ მომხმარებელს არ სჭირდება იგი, არამედ იმიტომ, რომ გლეხებს არ შეუძლიათ თავის დროზე გადაიტანონ იგი ბაზრამდე, შეინახონ და გადაამუშაონ. ამიტომაც, რომ საკონსერვო მრეწველობაში საწყისი ნედლეულის გამოყენების კოეფიციენტი ძალზე დაბალია - მისი დიდი რაოდენობა მიდის ანარჩენებში, დანაკარგებში.

ამიტომაც საჭირო საბაზრო ეკონომიკის მექანიზმში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, შენახვის, გადაამუშავებისა და რეალიზაციისათვის არსებობდეს სხვადასხვა სახის ინსტიტუტების სიმრავლე.

3.2. კარტოფილის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხის დასაბუთება მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით

მეკრატოფილეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გაზრდის მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზირებისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვა მოითხოვს იმ ფაქტორების ყოველმხრივ შესწავლას, რომელიც განსაზღვრავს ამ დარგის განვითარების დინამიკას. ასეთი ანალიზის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ამჟამად, როცა ოჯახური (გლეხური) მეურნეობები, ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სხვა საწარმოები გადავიდნენ მეურნეობის მართვის სრულიად ახალ ეკონომიკურ მეთოდებზე – სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე, დამოუკიდებლობის სრულ თავისუფლებაზე.

იმ ფაქტორების შესასწავლად, რომელიც განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მათ შორის, განსაკუთრებით, კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დონესა და მის დინამიკას, სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს მრავალფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ურთიერთკავშირი საშედეგო ნიშანსა და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის, რომელიც ჩართულია ანალიზში მათემატიკურად, შეიძლება გამოვსახოთ

$$y = f(x) \text{ ფუნქციით}$$

ყველაზე ხშირად კი რეგრესიის შემდეგი წრფივი განტოლებით:

$$Y = b_0 + \sum_{i=1}^n b_i x_i$$

სადაც Y არის საშედეგო ნიშნის თეორიული მნიშვნელოქვბა,

რომელიც გაიანგარიშება რეგრესიის განტოლებით;

b_0 - არის რეგრესიის განტოლების თავისუფალი წევრი;

b_i - რეგრესიის კერძო კოეფიციენტები;

X_i - გამოსაკვლევი ფაქტორები.

მრავალფაქტორიან კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზში მთავარ მახასიათებლებს წარმოადგენს რეგრესიის კერძო კოეფიციენტები (b_i), რომელიც აბსოლიტურ გამოსახულებაში გვიჩვენებს, როგორ შეიცვლება საშუალო მაჩვენებელი X_i ფაქტორის ერთი ერთეულით ცვლილების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ დანარჩენი ფაქტორები, რომელიც ჩართულია მოდელში, დარჩება უცვლელი, მათ საშუალო დონეზე.

მაგრამ რეგრესიის კერძო კოეფიციენტები b_i , ყოველთვის არ იძლევა საშუალებას – სრულად და ადეკვატურად დავახასიათოთ ფაქტორების გავლენა სამოდულო მაჩვენებელზე. კერძოდ, მრავალფაქტორიანი რეგრესიული მოდელის აგების შედეგად, შეიძლება მივიღოთ რეგრესიის ისეთი კერძო კოეფიციენტები, რომლის მნიშვნელობებიც არ შეესაბამება რეალურ ეკონომიკურ შინაარსს.

აღნიშნული წინამძღვრების მხედველობაში მიღების შემდეგ, განვიხილოთ მოდელის აგება და მისი ამოხსნა კონკრეტულ მაგალითზე, რომელიც ეხება იმ ფაქტორების ანალიზს, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ისეთ მნიშვნელოვან საშუალო მაჩვენებლებს, როგორცაა მოსავლიანობა და შრომის ნაყოფიერება. კვლევის ობიექტად შერჩეული გვაქვს საკვლევი რეგიონის – მესხეთ-ჯავახეთის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლის სპეციალიზაციასაც განსაზღვრავს მეკარტოფილეობა.

კარტოფილის წარმოება რეგიონში ადრეც და ამჟამადაც ხორციელდება მეურნეობათა ორ საწარმოო ტიპში: სპეციალიზებულში,

რომელშიც მეკარტოფილეობა მთავარი, ძირითადი დარგია, ხოლო დანარჩენი დარგები მას ემსახურება და ჩვეულებრივში – სადაც მეკარტოფილეობა არაა ძირითად დარგი და კარტოფილის წარმოება ხდება შიდასამეურნეო სპეციალიზაციის საფუძველზე ცალკეულ ბრიგადებში.

იმის გამო, რომ დღეისათვის ჩამოყალიბებულ ოჯახურ (გლეხურ) მეურნეობებში და სხვა ტიპის მეურნეობებშიც აღარ ხდება საწარმოო ანგარიშის შედგენა და სტატისტიკის დეპარტამენტში ყოველწლიური წარდგენა, ასეთი ანალიზისათვის საწყისი ინფორმაცია შეუძლებელი იყო. ამიტომ მოდელში შესატანი ფაქტორების შერჩევა მეკარტოფილეობაში მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხის ანალიზის მიზნით, ვაწარმოეთ ზონაში ფუნქციონირებადი მეკარტოფილეობის მიმართულების კოლექტიური მეურნეობების 1985-1992 წლების წლიური ანგარიშების იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი იყო იმდროინდელი პერიოდის სტატისტიკური აღრიცხვის რესპუბლიკურ კრებულებში, რომელიც ეხებოდა სოფლის მეურნეობის წარმოებას, ხოლო თვით ანალიზის მეთოდის ვისესხეთ გ. ჩეკოტოსკისა და ვ. გოლოვკოს შურნალ „აპკ. ეკონომიკა ი უპრავლენიე №2, 1991 წელს გამოქვეყნებული ნაშრომიდან „მნოგოფაქტორნი ანალიზ პოკაზატელეი სელსკოხოზიასტვენნოგო პროიზვოდსტვა“.

საანალიზო პროდუქტად აღებული იქნა მაჯესტიკის ჯიშის კარტოფილი, რადგან ამ კულტურის დაკავებული ფართობების მთელ სტრუქტურაში ამ ჯიშზე მოდიოდა (და ამჟამადაც მოდის) 70-75 პროცენტი.

მეკარტოფილეობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი განისაზღვრა

მემცენარეობაში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო წლიური რიცხვის გამრავლებით, კაც-საათების საერთო ჯამში მეკარტოფილეობაზე გახარჯულ კაც-საათის წილზე. მონაცემები, ძირითადად, საწარმოო ფონდებზე, რომელიც გამოიყენებოდა მეკარტოფილეობაში, დგინდებოდა მემცენარეობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების გამრავლებით დანახარჯების მათ წილზე ამორტიზაციაში (პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებაში). ცნობები სხვა მაჩვენებლების სიდიდეზე, რომელიც ახასიათებს საკვლევ ფაქტორებს, მიღებულ იქნა მეურნეობათა წლიური ანგარიშების შესაბამისი ფორმებიდან, რომელიც მოქმედებდა 1992 წლამდე.

გამოკვლევისათვის, მოდელში შესატანად აღებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები:

Y_1 - კარტოფილის მოსავლიანობა, ცენტნერი ჰექტარზე;

Y_2 - დარგში დასაქმებული ერთი მუშაკის მიერ წარმოებული კარტოფილი ცენტნერში, ანუ შრომის ნაყოფიერება;

X_1 - კარტოფილის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების წილი მეურნეობის მთლიანი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მთელ ამონაგებში, პროცენტებში;

X_2 - მინერალური და ორგანული სასუქების ხარჯვა 100 ჰექტარ კარტოფილის ნათესზე გაანგარიშებით, კოეფიციენტები გადაყვანილი ლარებში;

X_3 - ენერგორესურსებით უზრუნველყოფა, რომელიც მოდიოდა კარტოფილის ნათესების 100 ჰექტარზე ცხენ-ძალებში;

X_4 - ჯიშისანი კარტოფილის ნათესი ფართობების ხვედრითი წონა ამ კულტურით დაკავებულ მთელ ფართობში, პროცენტებში;

X_5 - ფონდუზრუნველყოფა – მეკარტოფილეობაში გამოყენებული

ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება კარტოფილის ნათესების 100 ჰექტარზე გაანგარიშებით (ათას ლარებში გადაყვანით);

X₆ - ფონდშეიარაღება - ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება კარტოფილის წარმოებაზე დასაქმებულ ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე გაანგარიშებით (ლარებში გადაყვანილი);

X₇ - მეკარტოფილეობაში დარიცხული ხელფასი, ერთ კაც-საათზე გაანგარიშებით (ლარებში გადაყვანილი);

X₈ - შრომის დანახარჯი 100 ჰექტარ კარტოფილის ნათესზე გაანგარიშებით, კაც-საათებში.

X₉ - კარტოფილის წარმოებაზე დასაქმებული ერთი მუშაკის დატვირთვა, ნათესი ფართი ჰექტარებში;

მოდელში შეტანილი იქნა ჩამოთვლილ მაჩვენებლთა მნიშვნელობები ცამეტი წლის პერიოდში (1980-1992წწ). იგი ამოხსნილ იქნა IBMPCXI-ის კომპიუტერის და სტატისტიკური ანალიზის გამოყენებითი პროგრამების პაკეტის გამოყენებით. ბიჯური ალგორითმი ითვალისწინებდა ნიშნადობის 0,05 დონეს.

მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების მოდელებში რეგრესიის bi-ს კერძო კოეფიციენტები მოტანილია 3.2.1. ცხრილში.

ცხრილი 3.2.1.

მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების მრავალფაქტორიანი მოდელების სტატისტიკური მახასიათებლები

| მოსავლიანობის მოდელი | | | შრომის ნაყოფიერების მოდელი | | |
|-------------------------------|---|-----------------------------|---|---|-----------------------------|
| რეგრესიის კერძო კოეფიციენტები | რეგრესიის სრული კოეფიციენტები bi ₂ | ელასტიკურობის კოეფიციენტები | რეგრესიის კერძო კოეფიციენტები bi ₁ | რეგრესიის სრული კოეფიციენტები bi ₂ | ელასტიკურობის კოეფიციენტები |

| | b_{i_1} | | b_{i_3} | | | b_{i_3} |
|----------|-----------|-------|-----------|--------|--------|-----------|
| Y_1 | - | - | - | 2,06 | 2,06 | 0,52 |
| X_1 | 2,10 | 2,10 | 0,13 | 7,46 | 11,78 | 0,18 |
| X_2 | 1,09 | 1,09 | 0,07 | 3,53 | 5,75 | 0,09 |
| X_{34} | 0,01 | 0,02 | 0,00 | - | 0,01 | 0,00 |
| X_4 | -1,04 | -0,81 | 0,80 | 0,84 | -0,82 | -0,21 |
| X_{56} | - | 16,80 | 0,35 | -79,77 | -45,12 | -0,24 |
| X_6 | - | -1,54 | 0,35 | 6,31 | 3,18 | 0,18 |
| X_7 | 64,74 | 67,74 | 0,74 | -83,77 | 49,39 | 0,14 |
| X_8 | 1,57 | 1,57 | 0,01 | 0,15 | 3,23 | 0,01 |
| X_9 | - | - | - | -1,84 | -1,84 | -0,12 |

მოსავლიანობის მოდელში კერძო კოეფიციენტი X_1 -თან გვიჩვენებს, რომ საკვლევ მეურნეობათა ენობლიობაში წარმრების სპეციალიზაციის დონის 1 პროცენტით გაზრდით მოსავლიანობა იზრდება საშუალოდ 2,1 ცენტნერით ჰექტარზე, სხვა მაჩვენებლების საშუალო დონის პირობებში. ანალოგიურად წარმოებს რეგრესიის დანარჩენი კერძო კოეფიციენტების ინტერპრეტაცია.

გამოთვლილი მოდელების კერძო კოეფიციენტების ანალიზმა გვიჩვენა მათი ზოგიერთი თვისება.

უკუკავშირის არსებობა მოსავლიანობისა და კარტოფილის ნათესების საერპთო ფართობებში მაჯესტიკის ჯიშის (X_{34}) ხვედრით წილს შორის, გვიჩვენებს ამ ფაქტორის არსებით გავლენას მოსავლიანობაზე მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფას ანუ მეკარტოფილეობაში დასაქმებული მუშაკის ფონდშიარადების დონის (X_6) კავშირის არა არსებობა, ანუ უკუკავშირი მიგვანიშნებს ამ ფაქტორის უმნიშვნელო, არა არსებით გავლენაზე.

მართლაც, დღეს ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფის დონე კარტოფილის მწარმოებელ მეურნეობებში

თითქმის ნულამდეა დაყვანილი და მოსავლიანობის ამაღლების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ელიტური ჯიშის კარტოფილის დანერგვა და მისი მოყვანის ტექნოლოგიის გაუმჯობესება.

დამტკიცებულია შრომის ნაყოფიერების მოდელშიც უკუკავშირი ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფასა და (X_5) და 1 კაც/საათი შრომის ანაზღაურებას (X_7) შორისაც.

რეგრესიის კერძო კოეფიციენტების (b_i) მნიშვნელობებს შორის, აღნიშნული შეუსაბამოები მათ ეკონომიკურ შინაარსთან, აიხსნება იმით, რომ საშედგო მაჩვენებლების (y) და ფაქტორებს (b_i) შორის და დამოკიდებულებების გაზომვისას რეგრესიულ მოდელში ჩართული ყველა დანარჩენი ფაქტორი ფიქსირდება მათ საშუალო დონეზე (თითქმის არ იცვლება). მაგრამ ასეთი ვარაუდი პირობითს წარმოადგენს და სრულდება მხოლოდ არადამოკიდებულ ან სუსტად დამოკიდებულ ფაქტორების შემთხვევაში. რეალურ პირობებში შესასწავლი ფაქტორის ცვლილება კი არ ხდება სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, არამედ იწვევს საპასუხო რეაქციას ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთა მთელ სისტემაში. ასე მაგალითად, კარტოფილის საერთო ფართობში ჯიშიანი კარტოფილის (მაჯესტიკის) წილის ერთი პროცენტით გაზრდა იწვევს შრომის ნაყოფიერების 0,84 ცენტნერით გაზრდას. ასეთი დასკვნა სწორი იქნებოდა, თუ ამასთან ერთად, არ შეიცვლებოდა მოსავლიანობა. ჩვენ კი ვხედავთ, რომ (X_4)-ის ერთი პროცენტით გაზრდით, მოსავლიანობა საშუალოდ 1,04 ცენტნერით მცირდება. მეორე მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დასკვნაც არასწორია, ვინაიდან (X_4)-ის ცვლილება გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე არაპირდაპირიც – შრომის დანახარჯების ცვლილებით.


ასე რომ, ცალკე აღებული მრავალფაქტორიანი რეგრესიული

მოდელი არ იძლევა თითოეული საკვლევი ფაქტორის საშუალო მაჩვენებელზე რეალურ და სრული გავლენის მახასიათებლებს. იგი ახასიათებს მხოლოდ თითოეული ანუ ცალკე აღებული ფაქტორის უშუალო გავლენას. არაპირდაპირ გავლენას, რომელიც ვლინდება ფაქტორების ურთიერთგავლენით, იგი არ ითვალისწინებს. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების მოდელთა სისტემის ნაცვლად რეკურსულ მოდელთა აგებით. რეკურსული მოდელის აგება იწყება შესასწავლ მაჩვენებლებს შორის კავშირების სტრუქტურის ანალიზით, რისთვისაც გამოიყენება გრაფების თეორიის აპარატი. კავშირის საწყისი გრაფის საფუძველზე წარმოებს რეკურსული მოდელის განტოლებათა სისტემის აგება, რისთვისაც ვიყენებთ რა გრაფების ალგორითმს, გამოვყოფთ მინიმალურ გრაფს, რომელშიც შენარჩუნებულია მხოლოდ ის უშუალო კავშირები, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს სხვა ფაქტორებით. ამასთან, თითოეული i -ური ცვლადის განტოლებაში ჩაირთვება მხოლოდ ის ფაქტორები, რომელიც მისი წინამორბედია მინიმალურ გრაფში. ამის შემდეგ, ე.წ. უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით განისაზღვრება თითოეული განტოლების პარამეტრები მათი არსებობის შემოწმებით და სტატისტიკურად უმნიშვნელო კავშირების გამოთესვით.

ასეთი სახით ფორმირებული რეკურსული მოდელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რეგრესიის სრული კოეფიციენტები, ანუ გავიანგარიშოთ თითოეული ფაქტორის გავლენის ჯუშლობრივი ეფექტი.

ფაქტორების სრულ გავლენის შეფასების (რეგრესიის სრული კოეფიციენტებით) ვღებულობთ რეგრესიის კოეფიციენტების ნამრავლების დაჯამებით ყველა იმ გზაზე, რომელიც საანალიზო ფაქტორულ ნიშანს აერთიანებენ საშუალოდ.

მეკარტოფილეობაში მოსავლიანობის დონისა და შრომის ნაყოფიერების შესასწავლად საანალიზო მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირები წარმოდგენილი გვაქვს კავშირების გრაფის სახით, რომელიც მოტანილია შემდეგ სქემაზე. [72]



სქემა 1. მეკარტოფილეობის ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორებს შორის კავშირების გრაფის ფრაგმენტი

კავშირის გრაფის ფრაგმენტში შემავრობებელ წვეროებზე მითითებულია რეგრესიის კერძო კოეფიციენტები (იხ. ცხრილი 3.1), ახლა ნათლად ჩანს, რომ **X₄** და **X₇** ფაქტორები შრომის ნაყოფიერებაზე და

მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს არა მარტო უშუალოდ $X_4 \rightarrow y_2$ -თი, არამედ არაპირდაპირაც, სხვა ფაქტორებითაც $X_4 \rightarrow y_1 \rightarrow y_2$, და $X_4 \rightarrow y_8 \rightarrow y_1 \rightarrow y_2$ -თი. ასეთივეა მდგომარეობა სხვა მაჩვენებლებზეც. როგორც ვხედავთ, რეგრესიის სრული კოეფიციენტი X_4 -თან ტოლია

$$0,84 + (-1,04)x_{2,06} + 0,15x_{1,57}x_{2,06} = -82 -სა.$$

იმ დროს, როცა, როგორც ცხრილიდან ჩანდა, ცალკე აღებული რეგრესიის კერძო კოეფიციენტით სრულიად საწინააღმდეგო სურათი გვეჩვენა – შრომის ნაყოფიერების ზრდა 0,84 ცენტნერის ტოლი იყო.

ასეთი წესით გაანგარიშებულ ორივე მოდელის რეგრესიის სრული კოეფიციენტები წარმოდგენილი გვაქვს იმავე ცხრილში.

ფონდშეარადების (X_6) და ფონდუზრუნველყოფის (X_5) ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოსავლიანობის დონეზე, თუმცა, უშუალოდ არ შედიან მოსავლიანობის მრავლობით მოდელში. ამაზე მოწმობენ ცხრილში მოტანილი კარტოფილის ელასტიკურობის კოეფიციენტებიც. X_5 -ის და X_6 -ის ერთი პროცენტით გადიდებას ერთნაირ შედეგამდე მივყავართ - მოსავლიანობის გაზრდამდე 0,3%-ით (მათ ფაქტორთა გავლენის შეფასების რიგში მესამე ადგილი უკავიათ).

Y_2 -ის მოდელში არსებითად შემცირდა დამოკიდებულება ფონდუზრუნველყოფასა და შრომის ნაყოფიერებას შორის. რეგრესიის სრულმა კოეფიციენტმა X_7 ფაქტორთან შეცვალა ნიშანი საწინააღმდეგო მხარეს, ანუ შრომის ანაზღაურების გადიდებით, შრომის ნაყოფიერებაც შესაბამისად იზრდება.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე (ჩვენს შემთხვევაში, კარტოფილის წარმოებაზე) მოქმედი ფაქტორების გავლენის დადგენა (შეფასება), მრავალფაქტორიანი რეგრესიულ-კოლერაციული მოდელების გამოყენება შეიძლება მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო ფაქტორებს შორის ერთმანეთთან კორელაციური კავშირებია. თუ მათ შორის არსებობს არსებითი ურთიერთკავშირები, მაშინ ჩვეულებრივი მრავალფაქტორიანი რეგრესიული განტოლების მოდელის მაგიერ, ფაქტორების საშედეგო მაჩვენებელზე გავლენის შესაფასებლად, უნდა ავაგოთ რეკურსული მოდელი, რომელიც გახსნის მოცემული მაჩვენებლის ფორმირების მიზნობრივ-შედეგობრივ მექანიზმს.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა. კარტოფილის მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლებისათვის, უპირველესი პირობა მისი ნათესების ფართობში ჯიშის კარტოფილის ნათესების გაზრდა; მინერალური და ორგანული სასუქების უფრო მეტად გამოყენება და სასაქონლო პროდუქციის მოცულობის გაზრდა. ცხრილიდან დარჩენილი რ ფაქტორის გავლენა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, როცა კარტოფილის წარმოება ხდება წვრილ, ოჯახურ მეურნეობებში, მცირე კონტურიან ფართობებზე, ძირითადად ხელით, ძირითადი საწარმოო ფონდების, ენერგორესურსების, ხელფასისა და სხვა ფაქტორების გავლენის ხარისხი იმდენად მცირეა, რომ მათი მხედველობაში მიღება მეკარტოფილეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის და მისი პერსპექტივის პროგნოზირებისათვის გამოყენება არაფერს მოგვცემს, ვიდრე არ მოხდება ოჯახური მეურნეობების გაერთიანება კოოპერატივების სახით, ან არ გახდებიან კარტოფილის წარმოების მსხვილი საწარმოების კოოპერაციების მოწილეებად, სადაც იქნება შესაძლებლობა დარგის ინდუსტრიულ საწყისებზე გადაყვანა, წარმოების მექანიზაცია, სრული ფონდუზრუნველყოფა და შრომის ფონდშეიარაღება, წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის გარანტირება და სხვა.

3.3. მეკარტოფილეობის ოპტიმალური შეთანაწყობა სხვა დარგებთან და კულტურებთან

დღეისათვის, გლეხური (ოჯახური) მეურნეობების წილად, უკვე მოდის ქვეყანაში წარმოებული სურსათის 80-100 პროცენტი. მართალია, თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური არსით ისინი თითქოს ვერ ეწეებიან ჩვენს გონებაში ჩამოყალიბებული ფერმერული მეურნეობის სტერეოტიპის ჩარჩოებში, მაგრამ თუ გამოვალთ იმ პრინციპიდან, რომ მიწა უკვე მათ კერძო საკუთრებაშია, შეიძინეს თავისუფალი მეწარმის სტატუსი, აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ფუნქციონირებენ სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლით, რომლითაც შეუძლიათ უზრუნველყონ თავისი ოჯახის მოთხოვნილებები და ნამატი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციით კი გაფართოებული კვლავწარმოება, საფუძველი გვაქვს, ჩვენი ოჯახური მეურნეობაც გავაიგივოთ მცირე ფერმერული მეურნეობის ცნებასთან. ასე რომ, გლეხი, ოჯახი, მეწარმე, იგივე ფერმერია და ჩვენც ისინი ერთი და იგივე ფუნქციის მატარებლად მიგვაჩნია.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად ორ კატეგორიად იყოფა. პირველადი, ანუ ძირითადი და მეორადი, ანუ საჭირო, მაგრამ არა აუცილებელი. პირველში შედის მარცვლეული, კარტოფილი და მეცხოველეობის პროდუქტები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ადამიანის ფიზიკური არსებობა. მოსახლეობისათვის პირველადი პროდუქტების წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა და მისი გადაწყვეტა მოითხოვს მატერიალური და ფულადი რესურსების მაქსიმალურად და მიზანსწრაფულად გამოყენებას.

მათი წარმოების ორი გზა არსებობს: დასამუშავებელი მიწების

ფართობის გაზრდით (მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდაც ხომ საკვები სავარგულების ზრდით არის შესაძლებელი). მიწის რესურსებით, მართალია, შეზღუდული ვართ, მაგრამ მათი ნაყოფიერების გაზრდით და გონივრული გამოყენებით, შესაძლებელია მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის დონის ამაღლება, რაც საანალიზო რეგიონში ამ პროდუქტების წარმოების გაზრდისა და ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას მოგვცემს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, კერძო სექტორის წარმოშობამ, ოჯახური და ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებამ, რეგიონის ამ მეურნეობის წარმოების სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები შეიტანა მათ დარგობრივ სტრუქტურაში, ეს კი მოითხოვს მათში დარგებისა და კულტურების ისეთ თანაფარდობას, შეთანაწყობას, ისეთი ახალი სტრუქტურის დამუშავება-დასაბუთებას და დანერგვას (რა თქმა უნდა, ადგილობრივი კონკრეტული ბუნებრივ-კლიმატური პირობების და ფაქტორების მხედველობაში მიღებით), რომელიც საშუალებას მოგვცემს უპირველესად რომელ დარგს, კულტურას მიცვეთ უპირატესობა განვითარებისათვის საბაზრო ეკონომიკის ახალ პირობებში.

ნაშრომის წინა თავებში წარმოდგენილი მონაცემებით დასტურდება, რომ რეგიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო მიმართულებას, რომელიც გაანგარიშებულია სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაში დარგის ან კულტურის ხვედრითი წონის მიხედვით, განსაზღვრავს მეცხოველეობის და მეკარტოფილეობის პროდუქციითა წარმოების ხვედრითი წონა მთელ ქვეყანაში.

ახლა ამოცანა შემდგენაირად დაისვა: ვინაიდან კარტოფილით უნდა დავაკმაყოფილოთ არა მარტო რეგიონის მცხოვრებლების, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობისა, უპირატესობა უნდა მივცეთ სწორედ ამ

პროდუქტის წარმოების გადიდებას, მის ხელშემწყობ დარგებთან და კულტურებთან ოპტიმალური თანაფარდობით და შეთანაწყობით.

ჩვენს შემთხვევაში, კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენდა საანალიზო რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო სტრუქტურის ისეთი ოპტიმალური მოდელის დამუშავება და გადაწყვეტა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეზღუდული რესურსებისა და ბაზრის კონიუნქტურით განპირობებული პროდუქციის ცვალებადი სარეალიზაციო ფასების პირობებში, გაწარმოთ იმ ნომენკლატურისა და მოცულობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ისეთი თანაფარდობით, შეთანაწყობით, რომლის რეალიზაციაც უზრუნველყოფს მაქსიმალური მოგების მიღებას. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ავიღეთ ოპტიმალურობის კრიტერიუმად.

დასახული ამოცანის მოდელის აღწერა შეიძლება მათემატიკური ფორმულებით. მათ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს უწოდებენ და ამოიხსნება უკვე მიკროკომპიუტერებითაც. ეს საშუალებას გვაძლევს მრავალჯერ ვცვალოთ სიტუაციები და საწარმოო სტრუქტურის ალტერნატიული ვარიანტებიდან, ძვირადღირებული ეკონომიკური ხასიათის ექსპერიმენტების დაყენების გარეშე, შევარჩიოთ ყველაზე ეფექტიანი.

მაშასადამე, უნდა მოინახოს მიზნის ფუნქციის (მოგების) ექსტრემალური, ანუ ოპტიმალური მნიშვნელობის მაქსიმუმი შემდეგი ფუნქციით:

$$C \max = \sum_{j=1}^n C_j X_j \quad [49]$$

სადაც $C \max$ – აღნიშნავს მოგების მაქსიმუმს; j - კულტურის ფაქტორი ან პირუტყვის სულადობა, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს 1-

დან n -მდე, G_j -მოგება, X_j - დარგის, კულტურის პროდუქციის გაანგარიშებული სიდიდე.

შემდეგი პირობების დაცვით:

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სრული გამოყენების პირობა

$$\sum_{j=1}^n a_{ij}X_j \leq B_i$$

2. შრომითი რესურსებით შეზღუდვის პირობის დაცვა

$$\sum_{j=1}^n a_{ij}X_j \leq T_i$$

3. ფულად-მატერიალური რესურსებით შეზღუდვის პირობის დაცვა

$$\sum_{j=1}^n q_{ij}X_j - Q \leq 0$$

4. პირუტყვისათვის საკვების წარმოებისა და გამოყენების ბალანსის დაცვის პირობა

$$-\sum_{j=1}^n d_{ij}X_j + \sum_{j=1}^n v_{ij}X_j \leq 0$$

5. პროდუქციის წარმოების მინიმალურად დასაშვები მოცულობის დაცვის პირობა

$$\sum_{j=1}^n w_{ij}X_j \geq P_i$$

აღნიშვნები:

X_j - დარგის, კულტურის, პროდუქციის საძიებელი სიდიდე;

C_j - მთლიანი პროდუქციის ღირებულება, რომლის მიღება შეიძლება ფართობის ერთეულიდან და 1 სული პირუტყვიდან;

a_{ij} - i -ური რესურსის დანახარჯის ნორმა j -ური კულტურის ფართობის ან სულის ერთეულზე;

B_i - i -ური სავარგულის დასაშვები ფართობი;

Ti- შრომითი რესურსების საერთო მარაგი;

qij- ფულად-მატერიალური დანახარჯების ნორმატივი ერთეულზე;

Q - სულ საჭირო მატერიალური ხარჯები;

dij –i-ური საკვები ნივთიერების შემცველობა j-ური სახის საკვებში;

Vij i-ური საკვები ნივთიერების მოთხოვნილება j-ური სახის მეცხოველეობის დარგის მიერ;

Wij- მოსაველიანობის ან პროდუქტიულობის დონე;

Pi- პროდუქციის წარმოების მოცულობის დასაშვები მინიმუმი.

ასეთი მოდელი ასახავს საკვლევი ობიექტის (რეგიონის) სოფლის მეურნეობაში ცალკეულ ფაქტორებს შორის ფუნქციონალურ კავშირებსა და ურთიერთობებს. იგი გამოსახება, როგორც უტოლობათა და განტოლებათა სისტემების მაჩვენებლებით, რომლებსაც დისკრეტული (ცალკეული, წყვეტილი) მნიშვნელობები აქვთ, ასევე სხვადასხვა შეზღუდვებისაგან, რომლებიც იმათი ტოლფასნი არიან, რომლებიც ასახავენ ამ პროცესებსა და კავშირურთიერთობებს, რომლებიც რეგიონის სოფლის მეურნეობას რეალურად ახასიათებს. ესე იგი, ობიექტის მათემატიკური მოდელი ჩვეულებრივ ემყარება რეალურ სტატისტიკურ ემპირიულ მონაცემებს, როცა გვინდა დავადგინოთ, რა სახის სტრუქტურასთან გვაქვს საქმე. მაგრამ როცა გვინდა გავაკეთოთ სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ოპტიმალური შეთანაწყობის პროგნოზი (ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ეს გვსურს), მაშინ მოდელის საწყისი მონაცემების სახით ვიყენებთ წინასწარ დასაბუთებულ ნორმატიულ მონაცემებს და მაჩვენებლებს საცნობარო, სანორმატივო კრებულებიდან.

მრავალუცნობიანი ექსტრემალური ამოცანების ამოხსნა დაწყებული იქნა, ერთი შეხედვით, ძალზე მარტივი მეთოდით, რომელმაც წრფივი

პროგრამების სახელწოდება მიიღო, ვინაიდან ასეთი ამოცანების მათემატიკურ მოდელში მიზანი და პირობებიც მოცემულია პირველი ხარისხის ტოლობით და უტოლობით. ასეთი ამოცანების მოდელთა ამოხსნის მეთოდი დაამუშავა ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ დანციგამ და მას „სიმპლექს მეთოდი“ უწოდა.

ამ მეთოდით ამოხსნილი ამოცანის შედეგები პრეტენზიას კი არ აცხადებს სრულ ჭეშმარიტებაზე და რეალურ პრაქტიკაში მათ აუცილებელ დანერგვაზე, არამედ მას საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში, წმინდა რეკომენდაციული ხასიათი აქვთ.

ცხადია, ამ მოდელის გამოყენება ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციით თავისუფალი ვაჭრობის ბაზარს, პროდუქციის მწარმოებელი კი კერძო მესაკუთრე უნდა იყოს. ასე რომ, კერძო საკუთრების დაშვება მაინც აუცილებლობას წარმოადგენს.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების გამოყენებით ამოცანათა გადაწყვეტა წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანის დასმა;
2. ამოცანაში ცვლადების (გამოსაცნობი, გასაანგარიშებელი, განსმაზღვრავი სიდიდეების) და წარმოების შეზღუდული ფაქტორების განსაზღვრა;
3. მოდელის მათემატიკური აღწერა;
4. მოდელის ალგორითმის დამუშავება;
5. ალგორითმის საფუძველზე მისი კომპიუტერზე ამოხსნის პროცესის პროგრამის დამუშავება რომელიმე ალგორითმულობაზე;
6. ინფორმაციის შეგროვება და ტექნიკურ-ეკონომიკური კოეფიციენტების განსაზღვრა;

7. ამოცანის რიცხოვრივი კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგება გაშლილი მატრიცის სახით;

8. ამოცანის ამოხსნა პერსონალურ მიკროკომპიუტერზე;

9. ამოხსნის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

ყველა პრაქტიკული ამოცანის ამოხსნა როდის შეიძლება კომპიუტერის გამოყენებით. ამოცანის მიზანიც, გამოსაცნობი სიდიდეებიც და წარმოებაზე მოქმედი ფაქტორებიც უნდა შეირჩეს ისე, რომ შეიძლებოდეს მათი რაოდენობრიობად გამოსახვა და გაზომვაც.

ამოცანა ჩვენ უკვე დავსვით და ოპტიმალურობის კრიტერიუმიც შერჩეული გვაქვს. გადავდივართ მეორე ეტაპზე - უნდა განვსაზღვროთ გამოსაცნობი გამოსაცნობი ცვლადი სიდიდეები და წარმოების შემზღუდავი ფაქტორები. ჩვენს შემთხვევაში, ცვლადების სახით უნდა ავიღოთ განსასაზღვრავი (დასადგენი) ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართობები, აგრეთვე მეცხოველეობის დარგებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეობები.

რეგიონში წარმოებულ კულტურათა დასაშვები სახეობები განისაზღვრა ადგილობრივი, კონკრეტული ბუნებრივ-კლიმატური და საწარმოო პირობების გათვალისწინებით, ხოლო მათი სტრუქტურა, რეგიონში დარაიონებული თესლბრუნვათა სქემიდან გამომდინარე. მოდელში შესატანი მეცხოველეობის დარგების შერჩევას, ვეყრდნობით საკუთარი წარმოების საკვების წარმოების შესაძლებელ მარაგებს.

ცვლადების ჩამონათვალის (კულტურათა სახეობების და მეცხოველეობის დარგების) დადგენის შემდეგ, განვსაზღვრეთ წარმოების შემზღუდავი ფაქტორები. ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელში შეზღუდვები ასახავს წარმოების პირობების ორ ძირითად ჯგუფს, მათ

შორის, საწარმოო რესურსებით (მიწა, შრომითი და მატერიალური რესურსებით) შეზღუდვის პირობები და პროდუქციის გარანტირებული მოცულობით წარმოების აუცილებელი უზრუნველყოფა.

ვინაიდან მხედველობაში გვაქვს რეგიონის ოჯახური მეურნეობები, რომელშიც შრომითი რესურსი შეზღუდულია და წინასწარ არის ფიქსირებული, ამიტომ მოდელში, პირველ რიგში, ამ რესურსებით შეზღუდვის პირობა შეგვაქვს. სხვა დანარჩენი ფაქტორები უნდა განვსაზღვროთ მასთან ოპტიმალურ შეთანაწყობაში და, კერძოდ, დასამუშავებელი მიწის ფართობი, მეცხოველეობის დარგები და სხვა, განვსაზღვროთ ზონაში შრომითი რესურსების მარაგის გათვალისწინებით. თუ დავეუშვებთ დაქირავებული მუშახელის გამოყენებას, მაშინ შრომითი რესურსი აღარ იქნება წარმოების შემზღუდავი ფაქტორი.

თუ წინასწარ გათვალისწინებული გვაქვს საკუთარი საშუალებებით წარმოების მექანიზაცია, მაშინ მიწის ფართობის გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ხელსაყრელობა. უნდა შევჩერდეთ მიწის იმ მინიმალურ ფართობზე და ნათესების ისეთ სტრუქტურაზე, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკის წლის განმავლობაში გამოთანაბრებულ დატვირთვას, რომელზე მცირეც, უაზროს ხდის ასეთი ტექნიკის ექსპლოატაციას დიდი ხარჯების გამო. ამიტომ ოჯახურ მეურნეობაში, სადაც მუშა-ხელის რიცხვი 1-2 კაცს არ აღემატება, ეს შეიძლება იყოს ერთი მოტობლოკი ან 0,2-ტ კლასის მინიტრაქტორი, თავისი ჩამოსაკიდი მუშა-მანქანის შლეიფით, ხოლო იქ, სადაც 2-3 და მეტი შრომისუნარიანი კაცი მაინც არის - ერთი 0,6-ტ კლასის მინი ტ-25 ტიპის ტრაქტორი ან იმავე კლასის თვითმავალი შასი, შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შლეიფით. სასურველია

ასეთი ტრაქტორი ან შასი იყოს სამთო მოდიფიკაციის, რათა შესაძლებელი იყოს მათი ფერდობებზე გამოყენება.

თუ წინასწარ ვხედავთ აღნიშნული ტექნიკური საშუალებების შექმნისა და ექსპლოატაციის არაეფექტურობას, მაშინ უნდა დაგეგმავოფილდეთ ტექნიკური მომსახურების სერვისით - ყველა მექანიზებულ სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებით შევასრულებინებთ შესაბამის სამსახურებს, რომელთა ფორმირებაც საანალიზო რეგიონის რაიონებშიც იწყებს მუშაობას.

მოდელირების შემდეგი ეტაპია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის მათემატიკური ფორმალიზაცია, რომლის ნიმუშიც ზემოთ ავწერეთ. როგორც ვხედავთ, იგი საკმაოდ რთული წარმოსადგენია. მისი ყველაზე გამარტივებული სახით აგებაც კი, ჩვენი ოჯახური ფერმერებისათვის, ალბათ ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია და პრინციპში, მისთვის სულაც არაა სავალდებულო სპეციალურად დაამუშაოს იგი, რადგან მათემატიკური მოდელის სტანდარტული აღწერა, ისე, როგორც მისი ამოხსნის ალგორითმი და კომპიუტერზე გაშვების მანქანური პროგრამა დღეისათვის უკვე დამუშავებულია და სერვისის სახით ჩატვირთულია მანქანაში პაკეტების სახით. სრულიად საკმარისია, თუ ამოცანის გადაწყვეტა ხდება მთელი რეგიონისათვის ან რაიონისათვის, თუ ამას აკეთებს სპეციალისტ-ეკონომისტი, ხოლო კონკრეტული ფერმისათვის კი, თვით ფერმერი. მატრიცის ნიმუში აქ გვაქვს მოტანილი (იხ. ცხრილი 3.3.1). მის ციფრობრივ მაჩვენებლებს კომპიუტერში შეიტანს მანქანის ოპერატორი, ან ისევ თვით ფერმერი.

სოფლის მეურნეობის საწარმოო სტრუქტურის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის
მატრიცული ფორმის ზოგადი ნიმუში [49]

| № | ცვლადის ნომერი და დასახელება | ზომის ერთეული | საძიებელი კულტურა, დარგი | | | | | | | | შეზღუდვის სახე | რესურსის მარაგი, საწარმოებელი პროდუქციის მოცულობა |
|---|----------------------------------|---------------|--------------------------|-----------------|-----------------|-------|-----------------|-------|-----------------|-----------------|----------------|--|
| | | | მარცვლკულ | ბოსტნეული | კარტოფილი | · · · | ხორცი | · · · | მესაქონლეო | მეღორეობა | | |
| | შეზღუდული ფაქტორის დასახელება | | X ₁ | X ₂ | X ₃ | · · · | x _j | · · · | X _z | X _n | | |
| 1 | სახნავი | ჰა | a ₁₁ | a ₁₂ | a ₁₃ | · · · | a _{ji} | · · · | a _{iz} | a _{in} | ≤ | b ₁ |
| 2 | შრომის რესურსი | კ/ს | a ₂₁ | a ₂₂ | a ₂₃ | · · · | a _j | · · · | a _{2z} | a _{2n} | ≤ | b ₂ |
| 3 | სასუქები | ც | a ₃₁ | a ₃₂ | a ₃₃ | · · · | a _{3j} | · · · | a _{3z} | a _{2n} | ≤ | b ₃ |

| | | | | | | | | | | | | |
|----|---|------|----------|----------|----------|---|-----------|---|----------|----------|---------------|-------|
| | | | | | | . | | . | | | | |
| ∴ | ∴ | : | : | ∴ | : | ∴ | : | ∴ | ∴ | ∴ | . | : |
| 15 | კარტოფილი | ც | a_{i1} | a_{i2} | a_{i3} | ∴ | a_{ifj} | ∴ | a_{iz} | a_{in} | \geq | b_1 |
| 10 | ხორცი | ც | . | ∴ | . | ∴ | | ∴ | : | ∴ | : | ∴ |
| 20 | ფულად-მატერიალური ხარჯები | ლარი | a_{m1} | a_{m2} | a_{m3} | ∴ | a_{mj} | ∴ | a_{mz} | a_{mn} | \geq | b_m |
| | მიზნის ფუნქცია (რეალიზებული პროდუქციის ღირებულება) | ლარი | C_1 | C_2 | C_3 | ∴ | C_j | ∴ | C_z | C_z | \rightarrow | max |

ასე რომ, გამოვტოვებთ ამოცანის ამოხსნის მე-3, მე-4 და მე-5 ეტაპებს და ვიწყებთ მე-6 ეტაპიდან - ინფორმაციის შეგროვება და კოეფიციენტების სახით ამ ცხრილების შევსება.

ცვლადი სიდიდეები აღნიშნული გვაქვს $X_1, X_2 \dots X_n$ -ით. ისინი განსასახლვრავ-გასაანგარიშებელ მაჩვენებლებზე მიგვითითებენ. მათში იგულისხმება საწარმოო ფულად-მატერიალური, შრომითი და ტექნიკური რესურსების, სასუქებისა და სხვა პირდაპირი დანახარჯები ფართობის ერთეულზე ან ერთ სულ პირუტყვზე გაანგარიშებით; აგრეთვე მოსავლიანობისა და პროდუქტულობის მოსალოდნელი დონე, პირუტყვი საკვების გამოსავლიანობისა და მოთხოვნილების ნორმები, რომლებიც მატრიცაში აღნიშნულია a_{ij} -თი. მასში პირველი ინდექსი გვიჩვენებს, თუ რომელ შეზღუდვას (მატრიცის რომელ სტრიქონს), ხოლო მეორე - რომელ ცვლადს (სვეტს) მიეკუთვნება იგი. კოეფიციენტები ცვლადებთან მიზნის ფუნქციის სტრიქონში გვიჩვენებენ შემოსავლებს და აღინიშნება C_j -ით.

ხელთარსებული რესურსების მარაგებისა და საწარმოებელი პროდუქტების მოცულობების აღსანიშნავად, ვიყენებთ b_i -ს. შეზღუდვათა საერთო რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს 1-დან m -მდე, ცვლადების - 1-დან n -მდე.

საჭიროა ჩამოთვლილ მაჩვენებელთა კონკრეტული რაოდენობრივი მნიშვნელობების მოძებნა და მატრიცაში შეტანა. თუ ამოცანა იხსნება პერსპექტივისთვის, ნორმატიულ-საცნობარო მასალა, რომელიც გვჭირდება შედეგების მისაღებად, შეიძლება კომპიუტერის სამახსოვროში იყოს შეტანილი.

მოდელის კომპიუტერზე ამოხსნის შედეგად, მივიღებთ ობიექტის (რომელიც შეიძლება იყოს მთლიანად რეგიონი, რაიონი ან კონკრეტული

ოჯახური, ფერმერული და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები) ოპტიმალური სტრუქტურის მოდელს - თუ რა სახის და რა რაოდენობის რესურსები დაგვეჭირდება მათი წარმოებისათვის, რის ტოლი იქნება სავარაუდოდ, საწარმოო დანახარჯები და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი, მოგება.

ვინაიდან მოდელის შესადგენად საჭირო მონაცემების მოპოვება, კონკრეტულ ოჯახურ მეურნეობაზე, ვერ შევძელით იმ მიზეზით, რომ სამეურნეო საქმიანობის საშედეგო მაჩვენებლების აღრიცხვა მათში ნულამდგა დაყვანილი, გადავწვიტეთ იგი აგვეგო სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ძირითადად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობებით, რომელიც გამოქვეყნებულია კრებულში „საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა“. თბილისი 2005 „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004“. სტატისტიკური კრებული. თბილისი. 2005. მხოლოდ რეგიონის დონეზე.

მოდელში შეტანილ იქნა ზონისათვის მხოლოდ არსებითი ნათესი კულტურები, როგორცაა მარცვლეული კარტოფილი, ბოსტნეული, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, ხოლო მეცხოველობიდან მხოლოდ მესაქონლეობისა და მეღორეობის დარგები. მათ შორის ოპტიმალური შეთანაწყოების, თანაფარდობის ვარიანტი პერსონალურ კომპიუტერზე გაანგარიშებით დადგენილ იქნა შედარებით მოკლე პერიოდისათვის, კონკრეტულად, 2010 წლისათვის.

მიღებული შედეგები შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 3.3.2.)

დარგებსა და კულტურებს შორის ოპტიმალური შეთანაწყოებით შეგვიძლია რეგიონის სოფლის მეურნეობის ეფექტიანობა არსებულთან შედარებით გავზარდოთ 2010 წლამდე 69%-ით. ამას ადასტურებს

სასაქონლო (სარეალიზაციო პროდუქციის შესაბამისი გაზრდა). სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა ამ პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები 2004 წლისათვის, რადგან ამ მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის საჭირო ოფიციალური (დოკუმენტური) საბუღალტრო აღრიცხვა ოჯახურ მეურნეობებში ფაქტიურად აღარ წარმოებს. რომ გაგვეანგარიშებინა, თუ რამდენად გაიზარდა მოგება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს ეფექტიანობის მთავარ მაჩვენებელს, რეალიზებული პროდუქციის სასაქონლო ღირებულებას გამოვაკლებთ მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს და მივიღებთ წმინდა შემოსავალს, ანუ მოგებას.

თუმცა, ჩვენს მიერ შესრულებული გაანგარიშებებითაც, შეგვიძლია დავასაბუთოთ, რო კულტურათა დარგთ შეთანაწყობის ოპტიმალური ვარიანტით კარტოფილის ნათესები 13155 ჰა-დან უნდა გაიზარდოს 15321 ჰა-მდე, ანუ 16,4%-ით, ხოლო პირუტყვის სულადობა კი - შემცირდეს 13,4%-ით. ამ ორ დარგს (მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის) სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას შორის სხვაობა იმდენად მცირეა (მეკარტოფილეობაზე მოდის 52%, მეცხოველეობაზე - 48%), რომ შეგვიძლია ვცნოთ რეგიონის სპეციალიზაციისათვის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული სახელწოდება „სამცხე-ჯავახეთის მესაქონლეობა-მეკარტოფილეობის

ცხრილი 3.3.2.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში ძირითად დარგთა და კულტურათა შორის ჩამოყალიბებული და პერსპექტიულ-ოპტიმალური სტრუქტურის შედარებითი მაჩვენებლები

| ჩამოყალიბებული სტრუქტურა | | | | | ოპტიმალური | | | |
|-----------------------------------|------------|------------|--------------|-----------------|------------|------------|--------------|-----------------|
| | 2004 წელი | | | | 2010 წელი | | | |
| კულტურა და დარგი | ფართობი ჰა | წარმოება ტ | რეალიზაცია ტ | შემოსავალი ლარი | ფართობი ჰა | წარმოება ტ | რეალიზაცია ტ | შემოსავალი ლარი |
| მემცენარეობა | | | | | | | | |
| ნათესები სულ | 24734 | | | | 24734 | | | |
| მათ შორის: | | | | | | | | |
| ხორბალი | 6764 | 9585 | 7188 | 359400 | 6234 | 8238 | 6178 | 1235600 |
| კარტოფილი | 13155 | 167705 | 100623 | 4024920 | 15321 | 18835 | 113010 | 4520400 |
| ბოსტნეული | 2077 | 14460 | 10122 | 435246 | 2365 | 1792 | 1254 | 539220 |
| ერთწლიანი ბალახები | 7265 | 10095 | - | | 6344 | 9721 | | - |
| მრავალწლიანი ბალახები | 7265 | 20922 | - | | 6129 | 18998 | | - |
| მეცხოველეობა | | | | | | | | |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, სული | 106078 | - | - | | 92376 | | | |
| მათ შორის: ფური | 67104 | - | - | | 65140 | | - | - |

| | | | | | | | | |
|---------------|-------|-------|------|-------------------|-------|------|------|--------------------|
| ხორცი | - | 8830 | 5298 | 2723172 | | 8154 | 4892 | 2514488 |
| რძე | - | 10351 | 6211 | 546009 | | 8198 | 4919 | 1546009 |
| ღორი (სული) | 1049 | - | | | 1078 | | - | - |
| ცხვარი (სული) | 99840 | - | | | 75840 | | - | - |
| მატყლი | - | 260 | 18 | 218400 7194537 | | 218 | 153 | 183600 12192317 |

ზონა მართებულად“.

კულტურათა ნათესებში ოპტიმალური შეთანაწყობის მოთხოვნიდან გამომდინარე, სულ მცირედ (7,3%) შეიძლება შემცირდეს ხორბლის ნათესები (530 ჰა), სამაგიეროდ, გათვალისწინებულია ბოსტნეულის წარმოების გაზრდა. მისი ფართობი ოპტიმალურ შეთანაწყობის მოთხოვნით უნდა გაიზარდოს 288 ჰექტარით, ანუ 13,8%-ით. ნათესების მთლიანი სტრუქტურა უცვლელია, მაგრამ ოდნავი ცვლილებები აღინიშნება ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესებში. პირველის ფართობი საჭიროებს შემცირებას 1121 ჰექტარით, მეორისა - 1136 ჰექტარით, რათა მათ ხარჯზე გადიდდეს კარტოფილის ნათესების ფართობები.

ცხადია, ჩვენს მიერ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდით დადგენილი ზონის სოფლის მეურნეობაში დარგებსა და კულტურებს შორის ოპტიმალური შეთანაწყობის სტრუქტურა არ აცხადებს პრეტენზიას უტყუარობაზე, რადგან ჩვენს მიერ დადგენილი შეთანაწყობა მხოლოდ რამოდენიმე ძირითად დარგსა და კულტურას შორის არის დამყარებული, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც იმდენად რეალურია, რომ შეიძლება მისი რეკომენდაციის სახით შეთავაზება ზონის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებისათვის.

3.4. კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მენეჯმენტი და სახელმწიფო რეგულირების სისტემა

რეგიონის ფერმერულმა მეურნეობებმა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში კონკურენციასთან საბრძოლველად უნდა მიმართონ ამ

სისტემაში გამოცდილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფორმაზე გადასვლას. მხოლოდ ამ გზით გახდებიან ისინი კონკურენტუნარიანები. ამასთან, გლეხური ოჯახური მეურნეობები, როგორც საწარმოო ერთეულები, შენარჩუნდებიან, თუმცა, მოდიფიცირებული სახით. ამით განსხვავდება ინტეგრაციის პროცესი სოფლის მეურნეობაში მრეწველობისაგან, სადაც მსხვილი საქონელმწარმოებლები მთლიანად ყლაპავენ წერილებს.

მსგავსი ინტეგრაცია წარმოების კონცენტრაციის საბაბით ნაწილობრივ ხორციელდებოდა ჩვენს სოფლის მეურნეობაშიც აგრარული რეფორმის წინა პერიოდში და წარმოდგენილი იყო მსხვილი აგროსამრეწველო საწარმოების (სამეურნეობათშორისო გაერთიანებების, კომბინატების სახით).

დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებსა და ბაზარს შორის წარმოიქმნა სპეციალიზებული ფირმების მთელი ინდუსტრია, რომლებიც თავიანთი დისტრიბუტორების მეშვეობით მოიძიებენ და შეისყიდებიან გლეხების პროდუქციას, ინახავენ სპეციალურ საცავებში და მაცივრებში ბაზარზე მათი მოთხოვნების დონის და ფასების ხელსაყრელი მომენტისათვის, გადაამუშავენ, ახარისხებენ, აფასობენ, გადაზიდავენ სავაჭრო ობიექტებამდე (კერძო მარკეტებამდე) ეს უკანასკნელები კი საცალო ფასებით მიყიდებიან მათ მომხარებლებს. მთელი ამ ჯაჭვისა და მისი რგოლების მუშაობას აკონტროლებენ ფირმა-ინტეგრატორები, რომლებიც უკვე არიან ჩვენთანაც - მეჩაიეობაში, მეხილეობაში, მევენახეობაში და მეკარტოფილეობაშიც კი. ამასთან, ისინი თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას პროდუქტის მწარმოებლებიდან უშუალოდ მომხმარებლებამდე მოძრაობის მთელი პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ამაში მდგომარეობს ვერტიკალური ინტეგრაციის

არსი. მაგრამ, როგორც წინა თავებში ავნიშნეთ, მთელი მოგების ლომის წილიც მათთან რჩება და გლესს იმდენად მცირე რჩება, რომ ამ პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო პირობებსაც ვერ ქმნის და უკიდურეს სიღარიბეში ვარდება.

ფირმა-ინტეგრატორი გრძელვადიანი კონტრაქტებით აკარგვინებს მწარმოებელს კონტროლს საკუთარი წარმოების პროდუქციის პირველად გადამუშავებაზე, შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე და გასაღებაზეც, რჩება რა თითქოს იურიდიულად დამოუკიდებელ მეწარმედ, ფერმერი, ფაქტიურად, გარდაიქმნება ფირმა-ინტეგრატორის ნახევრად დაქირავებულ მუშად.

ინტეგრაციის სხვა სახეა საკუთრების ინტეგრაცია, რომელსაც ზოგი კორპორაციულ ინტეგრაციას უწოდებს. იგი ინტეგრაციის უფრო გაღრმავებული ფორმაა (ვარიანტია), რომლის დროსაც, ფირმა-ინტეგრატორი იღებს თავის საკუთრებაში ფერმერის აქტივების ნაწილსაც (მათ შორის, მიწასაც კი). ამასთან, თავის საკუთრებაში აქვს პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებიც. ასეთი ინტეგრაცია, განსაკუთრებით საწარმოო კონცენტრაციის ფორმით, საშუალებას იძლევა რისკის ნაწილი ფერმერების მხრებიდან გადავიტანოთ ფირმა-ინტეგრატორების მხრებზე. სამაგიეროდ, ინტეგრაციის პროცესში ფერმერის მიერ ტრადიციულად გამოყენებული მართვის ფუნქციები გადადის ინტეგრატორთან. ასე რომ, სოფლის მეურნეობის მწარმოებელი თანდათან კარგავს მცირე მეწარმის ნიშნებს და იქნის დაქირავებული მუშის თვისებებს.

ვერტიკალური ინტეგრაცია გლესებს, ფერმერებს თავს მოახვიეს ზემოდან. მის ნეგატიურ მხარეებთან საბრძოლველად იქმნება გლესური კოოპერატივები. ასეთი კოოპერატივები უხსოვარი დროიდან არსებობს და

წარმატებითაც.

ზოგიერთი ოპერაციის შესრულება მოსახერხებელია მსხვილ საწარმოებში, ხოლო ზოგიერთის - წვრილში. მაგალითად, პროდუქციის რეალიზაცია-გაყიდვის ოპერაციების შესრულება უფრო იოლია მსხვილი მასშტაბებით, ხოლო, ვთქვათ, ქათმის მოვლისა (წიწილების გამოყვანით) - წვრილებში. ნატურალური წარმოების შედარებით იზოლაციის პირობებში არ იყო მოთხოვნილება ისეთ ოპერაციებზე, როგორცაა გასაღება, წარმოების საშუალებათა შექმნა და სხვა. ფულად-სასაქონლო წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გლეხურ მეურნეობებში ასეთ ოპერაციათა წილი სულ უფრო უნდა იზრდებოდეს, რათა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების წილი გაიზარდოს.

გლეხურმა მეურნეობებმა მიზანშეწონილად უნდა ჩათვალონ - გამოყონ წარმოების თავისი სტრუქტურიდან ისეთი ოპერაციები, რომელთა შესრულებაც უფრო ეფექტიანია სხვა მეურნეობებთან გაერთიანებით, მასშტაბურად. ასე იქმნება გლეხური კოოპერატივები. ამასთან, თვით გლეხური ოჯახური მეურნეობა რჩება პირვანდელი სახით - ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელ ერთეულად ამ ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. კოოპერატივის მიზანია არა მარტო მოგების მიღება კაპიტალზე, არამედ მასში გაერთიანებული გლეხური მეურნეობების ყოველმხრივი მომსახურება. ფაქტიურად, იგი წარმოადგენს გლეხური მეურნეობის უფრო მასშტაბურ სახეს.

ამრიგად, გლეხურ კოოპერატივებს უპრიანია მაინც ვუწოდოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რადგან დღეს მასში თანამედროვე კომერციული ფერმერული მეურნეობებიც ერთიანდებიან. იგი წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომელშიც ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანებული არიან სასოფლო-სამეურნეო

პროდუქციის და ნედლეულის მწარმოებლები საერთო-სამეურნეო მიზნების მისაღწევად. [68]


რადგან საანალიზო ზონაში მეკარტოფილეობის დარგის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის, ვურჩევთ გლეხური (ოჯახური) მეურნეობების გაერთიანებას ასეთ კოოპერატივებში, ამიტომ ასეთი კოოპერატივების საუკუნოვანი გამოცდილების ანალიზის შედეგად დამუშავებული პრინციპები გვსურს შევთავაზოთ:

1. წევრობის ნებაყოფლობა ერთობლივი თანამშრომლობისათვის, რომელიც ემყარება სუბიექტის ეკონომიკურ ინტერესს და მიზანშეწონილობას;
2. წევრების კონტროლი კოოპერატივის საქმიანობაზე უნდა ხორციელდებოდეს პრინციპით - „ერთი წევრი - ერთი ხმა“ არჩეული ხელმძღვანელი ორგანოთი;
3. ფუნქციონირება საკუთარი რისკით და შიშით, საკუთარი ხარჯებით, მატერიალური პასუხისმგებლობით;
4. მუშაობა მოგების გამოღვენების გარეშე. მთავარი მიზანი უნდა იყოს გარკვეული სარგებლიანობის მიღწევა მისი წევრებისათვის (შემოსავლის გადიდება ან ხარჯების შემცირება, სამეურნეო საქმიანობის პირობების გაუმჯობესება და სხვა);
5. კოოპერატივების წევრების უშუალო მონაწილეობა მის ოპერაციებში;
6. ორგანიზაციული ფორმების, მიმართულების და სამუშაოთა თანმიმდევრობისადმი მეცნიერული მიდგომა;
7. კოოპერატივში გაერთიანებული ოჯახურ მეურნეობათა, ფერმერთა და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა სრული სამეურნეო დამოუკიდებლობის

შენარჩუნება;

8. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მატერიალური დაინტერესება, როგორც მასში შემავალი მეურნეობებისათვის, ისე მთლიანად გაერთიანებისათვის;
9. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. [20]

აქ ჩამოთვლილი პრინციპები განასხვავებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებში ჩამოყალიბებული სხვა ტიპის კოოპერატივებისაგან და სხვა ფორმის კოლექტიური საწარმოებისაგან. მათი გამოყენება შეუძლიათ საანალიზო რეგიონის - მესხეთ-ჯავახეთის გლეხურ მეურნეობებს მეკარტოფილეობის კოოპერატივების ჩამოყალიბებისას კარტოფილის წარმოების შემდგომი გაზრდისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის დასაშვები ფორმები წარმოდგენილია ნახ. 3.4.1. ში.



ფერმერულმა კოოპერატივებმა შეიძლება მოიცვან ყველა ფერმერი და ამით დაიპყრონ კარტოფილით ვაჭრობის მთელი ქვეყნის ბაზარი თითქმის ყველა რეგიონში. შრომაში მოტანილი მონაცემებით 2004 წლისათვის ქვეყანაში იწარმოებოდა 425,2 ათასი ტონა კარტოფილი. მისი 6,7% მოდიოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე, 0,6% - სამეგრელო-ზემო სვანეთზე; 1,2% - გურიაზე, 1,7%- იმერეთზე, 1,1% - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთზე, 3,3% - შიდა ქართლზე, 3,2% - მცხეთა-თიანეთზე, 4,7% - კახეთზე, 28,6%- ქვემო ქართლზე და ჩვენ საანალიზო მესხეთ-ჯავახეთზე - 48,6%.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვემო ქართლის რეგიონის გამოკლებით, დანარჩენ რეგიონებში კარტოფილი იწარმოება ისე მცირე მოცულობით, რომ იგი საკმარისიც კი არ იქნება თვითდაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამიტომ აუცილებელია მისი წარმოება აყვანილ იქნას 100%-მდე, რათა სრულად დავაკმაყოფილოთ მასზე მოთხოვნილება, როგორც რეგიონების, ისე მსხვილი სამრეწველო ცენტრებისა და ქვეყნის დედაქალაქის - თბილისის და ქუთაისის მოსახლეობისა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს თითქოს დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო ებრძვის მონოპოლიზმს. მაგარამ საქმე იმაშია, რომ კოოპერატივები წარმოადგენენ წვრილი ოჯახური მეწარმეობის (ბიზნესის) გაგრძელებას, და პრინციპში, არ შეუძლიათ დაიკავონ მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე.

ზემოთ აღნიშნული მაინც არ იძლევა საშუალებას, ვამტკიცოთ წარმოების კოოპერაციული ფორმის უპირატესობა მთლიანობაში. კოოპერატივი ხშირად განიცდის ინვესტიციების ნაკლებობას, წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის ნაკლებად მოძრავ ფორმას,

ნელა ხდება მისი ადაპტირება ბაზრის ცვლილებებისადმი. მაგრამ სწორედ ეს ფორმა არ მისცემს საშუალებას ბაზრისაგან იზოლირებულ წვრილ ფერმერებს ჩაერთონ საერთო ეკონომიკურ სისტემაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენენ პროდუქციის გასაღების კოოპერაციები, რომელნიც უზრუნველყოფენ ფერმერთა პროდუქციის კოლექტიურ გასაღებას. ამით მათ საშუალება ეძლევათ კონკურენცია გაუწიონ ბაზარზე მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და გაყიდონ პროდუქცია არა მარტო ნედლეულის სახით, არამედ უპირატესად, მზა პროდუქტის სახით, უფრო მაღალ ფასებში, რომელიც უფრო მეტ შემოსავალს იძლევა. კოოპერატივი იღებს პროდუქტის პირველად გადამუშავების ფუნქციასაც.

კოოპერატივების შემდეგ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მომსახურების კოოპერატივები.

ფერმერული კოოპერაცია წარმოადგენს ვერტიკალური ინტეგრაციის უფრო გავრცელებულ ფორმას, ვიდრე აგროსამრეწველო ინტეგრაცია. ისეთ ე.წ. კოოპერაციულ ქვეყნებში, როგორცაა შვედეთი, ნიდერლანდები, დანია და სხვა რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის მთელ მოცულობაში მათ უკავიათ ბაზრის 100 პროცენტმდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი – 30 პროცენტი.

ჩვენში, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები გახდენ გლეხური (ოჯახი) მეურნეობები, ასეთი კოოპერატივების ორგანიზაცია და ფართო მასშტაბით განვითარება აუცილებლად მიგვაჩნია. მეკარტოფილეობის დარგის შემდგომი განვითარებისათვის ეს პირობა აუცილებელია.

ცხადია, უშუალოდ სოფლის მეურნეობაში შიდა კოოპერაციასთან

ერთად უნდა ვითარდებოდეს აგრარული დარგების ვერტიკალური კავშირებიც მრეწველობასთან. ეს პროცესი ურთიერთგანპირობებულია და ავსებენ ერთმანეთს.

ვერტიკალური ინტეგრაცია და კოოპერირება ხელს შეუწყობს პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნების ნედლეულით თანაბარ დატვირთვას წლის განმავლობაში, ფინანსური და შრომითი რესურსების მანეჯირებით გამოყენებას. მათში სრულად და უკეთესად გამოიყენება წარმოების საშუალებები, უზრუნველყოფილია მყარი საფინანსო მდგომარეობა, მცირდება სატრანსპორტო ხარჯები და სხვა.

სოფლის მეურნეობის მრეწველობასთან ინტეგრირების ძირითად ფორმებს თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენენ აგროსამრეწველო საწარმოები და აგროსამრეწველო გაერთიანებები. ამ უკანასკნელებში გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კოოპერაციის საწყისებზე. მათი საერთო რიცხვი ქვეყანაში 2004 წლისათვის 449-მდე აღწევდა, მათ შორის, პრივატიზებული იყო 306, ანუ 68,1%.

დღევანდელ პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის რინ სხვა დარგებზედაც, რომლებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან (მიასყიდიან) ტექნიკას, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, საწვავ-საცხებ მასალებს, შხამქიმიკატებს, მინერალურ სასუქებს, სამშენებლო მასალებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან საბოლოო პროდუქტის (სურსათის) სახის მიღებაში დიდ როლს ასრულებენ მრეწველობის ისეთი დარგები, როგორცაა კვების (გადამამუშავებელი), მსუბუქი, საფეიქრო და სხვა.

ჩამოთვლილი დარგების გარკვეულწილად გამოცალკავებით,

სოფლის მეურნეობასთან კავშირის მიმართებაში მრხდა ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის ე.წ. ასკ-ის ჩამოყალიბება, რომელმაც დღეისათვის აგრარული სექტორის სახელწოდება მიიღო. მასში მონაწილენი ერმანეთთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან და ორიერთობული არიან ერთი საბოლოო მიზნის – ქვეყნის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის მიღწევისაკენ. ასეთ პირობით ერთობლიობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზღვარგარეთ და უკვე ჩვენთანაც აგრობიზნესი ეწოდება. [41]

აგრობიზნესში ამა თუ იმ დარგის ჩართვის მკვეთრად გამოსახული საზღვარი არ არსებობს, რადგან ისინი ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებთანაც არანაკლებად არიან დაკავშირებული.

აგრობიზნესის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის ფორმირება ქვეყანაში უკვე დაიწყო, როცა შეიქმნა სამასი სამეცნიერო-თეორიული და სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრები. მასში დღეისათვის 70-ზე მეტი დარგი მონაწილეობს, რომელიც ქმნის მის სტრუქტურას.

აგრობიზნესში, გარდა თვით სოფლის მეურნეობის საწარმოებისა, შედიან ის დარგები, რომლებიც ამარაგებენ მეურნეობას საწარმოო საშუალებებით და ის დარგები, რომლებიც დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური მომსახურებით, აგრეთვე ის დარგები და საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის დამზადებას, გადამუშავებას, მომხმარებლამდე ტრანსპორტირებას და გასაღებას. [3]

პირველ ჯგუფში – პროდუქტების და ნედლეულის უშუალო მწარმოებლები აწარმოებენ საბოლოო პროდუქციის თითქმის 48%-ს, მასში ჩართულია მთელი საწარმოო ფონდების 68% და დასაქმებულ მუშაკთა 60%. საწარმოთა მეორე ჯგუფზე მოდის მთლიანად წარმოებული

პროდუქციის 15%, საწარმოო ფონდების 13% და დასაქმებულ მუშაკთა 22%. საწარმოთა მესამე ჯგუფის წილად მოდის წარმოებული საბოლოო პროდუქტის (ახლა რომ ბრენდს ეძახიან) მოცულობის 38%, მთელი საწარმოო ფონდების 19% და დასაქმებულ მუშაკთა 18%.

ქვეყნის მოსახლეობის მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის საკვებით (სურსათით), მათ შორის, კარტოფილით უზრუნველყოფის დონე, ბევრად არის დამოკიდებული აგრობიზნესში ჩართული მესამე ჯგუფის საწარმოების ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში აგრობიზნესში, ისე როგორც, მთელი ეროვნული ეკონომიკის ბიზნესში, თავიდან ჯერ გაიზარდა კრიზისული მოვლენები, შემდგ კი (1995 წლიდან) დაიწყო მისი სტაბილიზაციის პერიოდი, თუმცა, ჯერჯერობით, აგრარულ რეფორმამდელ დონეზეც კი არ ავსულვართ.

2002 წლისათვის საანალიზო დარგების მეორე და მესამე ჯგუფის საწარმოებში 1990 წელთან შედარებით, კატასტროფულად არის შემცირებული ძირითადი საწარმოო ფონდებით აღჭურვის დონე – 15,4-ჯერ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, 9,4-ჯერ კვების მრეწველობის საწარმოებში და 7,4-ჯერ - პურ-პროდუქტების მრეწველობის საწარმოებში.

სოფლის მეურნეობის მომსახურე აგრობიზნესის საწარმოებში შექმნილი ასეთი გარემოება ძირითადად განაპირობა მათი მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაციის დაგვიანებამ, რომლის დროსაც მოხდა მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დატაცება და გაპარტახება. ძირითადი საწარმოო ფონდების ასეთი დაბალი დონის პირობებში კი წარმოების რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება, ცხადია შეუძლებელია. მათი საწარმოები მატერიალური და ფინანსური

უსახსრობის გამო, მეტ წილად არ მუშაობენ (დგანან). განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტების, მათ შორის კარტოფილის გადამამუშავებელ საწარმოებზე. ცნობილია, რომ ამ პროდუქტისაგან შესაძლებელია უამრავი სახის ბრენდის შექმნა, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა ბევრ ქვეყანაში, ჩვენ კი ჩვენთვის ვერ გვიწარმოებია ისინი.

პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს თვითონ ის ოჯახები და ფერმერული მეურნეობები ასაღებენ, რომლებიც განლაგებულნი არიან ძირითადად დიდი ქალაქების ირგვლივ. უდიდესი ჯაფის მეშვეობით მათ კარტოფილი დააქვთ ქუჩებში მოსახლეობის კარდაკარ და ასე ასაღებენ თავიანთ ნაჯაფარს, რათა ამით მაინც ირჩინონ თავი. გასაღების ასეთი ფორმა არაჰიგიენური და პრობლემატურია თუ არას ვიტყვით მათ ჯანმრთელობის საფრთხეზე. აბა წარმოიდგინეთ ახალქალაქიდან, ნინოწმინდიდან, ახალციხიდან ძვირად ღირებული ტრანსპორტით თბილისამდე ჩამოტანილი კარტოფილით სავსე მძიმე ტომრები მომხმარებლამდე კარდაკარ მიტანა და გასაღება (ჩამორიგება).

ცხადია, ამ საქმეში ისინი პროდუქციის მსხვილ მწარმოებლებთან შედარებით კონკურენციას ვერ უძლებენ და ფასის დაწესებაშიც ნაკლებად იღებენ მონაწილეობას, იძულებულნი არიან გაყიდონ იმპორტით შემოზიდული, ეკოლოგიურად უსუფთაო კარტოფილი დემპინგური, დაბალ ფასებზე მცირე ფასებით, ამიტომ მათი ამ პროდუქტის წარმოების მოტივაცია ეცემა, და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მისი წარმოება, ჯერ კიდევ არ გაგვიზრდია იმ დონემდე, რომ დავაკმაყოფილოთ მთელი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ფიზიოლოგიურად გათვალისწინებული ნორმირების ფარგლებში.

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის, განვითარებული საბაზრო

ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დიდი ხანია ჩამოყალიბდნენ სპეციალიზებული ფირმები და კომპანიები, რომლებიც ამ საქმით (სურსათის ბითუმად გასაღების) არიან დაკავებული. ესენია სასქონლო ბირჟები, საბითუმო ბაზრობები და აუქციონები. დღეს ამ ფორმის ბიზნესის წამოწყება ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტის გარეშე მეკარტოფილეობის განვითარება პერსპექტივაში ძნელი წარმოსადგენია.

დასავლეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა, გარდა საბითუმო ბაზრობებისა და აუქციონებისა, ფერმერებისაგან ხდება კერძო საბითუმო შეამავლებითაც, სავაჭრო და გადამამუშავებელი კომერციული ფირმების მიერაც.

სამწუხაროდ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, სურსათით ვაჭრობის ჯაჭვში მოქმედებენ საკმაოდ დიდი რაოდენობის სპეკულანტ-გადამყიდველები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი არსებობაც აუცილებელია, რადგან ისინი თავის თავზე იღებენ რისკს მთელი სისრულით. ამასთან, ისინი სივრცობრივად განავრცობენ მომხმარებლებზე პროდუქციის განაწილებას (მიწოდებას) – ყიდულობენ მათ იმ რეგიონში (ჩვენს შემთხვევაში, სამცხე-ჯავახეთში) იაფად, სადაც კარტოფილის სიჭარბეა და ყიდიან იქ (ვთქვათ, სამტრედიაში ან ფოთში, სადაც მათზე დეფიციტია, შედარებით ძვირად).

წვრილი ოჯახური და ფერმერული მეურნეობების პროდუქციის ნაწილის ადგილზე შესყიდვა რადგან მისი ტრანსპორტირების ხარჯები მძიმე ტვირთია მათთვის, სასურველია წარმოებდეს პირდაპირ გადამამუშავებელი ფირმებისა და საწარმოების მიერ, მათთან გაფორმებული, გარანტირებული კონტრაქტების საფუძველზე, რომელშიც შეთანხმებული იქნება კარტოფილის რაოდენობაც და ფასიც.

პროდუქციის გარკვეული ნაწილის გასასაღებლად, შესაძლებელია მისი კოოპერატივისათვის გადაცემა, რომელიც კოლექტიურ რეალიზაციას განახორციელებს, ვთქვათ, სამხედრო ნაწილებზე, საავადმყოფოებზე, ბავშვთა სახლებზე და სხვა ორგანიზაციებზე.

ეროვნული ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის აგრობიზნესზე მიკუთვნება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში დღეს ძალზე გართულებულია, რადგან ისინი პრივატიზებულია, კერძო საკუთრებაშია გადაცემულია და ნაწილობრივ, თავიანთი ნება-სურვილით, მომგებიანობის თვალთახედვით, აწარმოებენ პროდუქციას სოფლის მეურნეობისათვის.

და მაინც, ვფიქრობთ, რომ დაცული უნდა იქნეს ოპტიმალური შეთანაწყობა (თანაფარდობა) აგრობიზნესში ყველა ჩამოთვლილ საწარმოებს შორის. სხვანაირად პროდუქციის დიდძალ დანაკარგებთან გვექნება საქმე.

აგრობიზნესის საწარმოთა ჯგუფებს შორის ეკონომიკური კავშირების რეალიზაცია უნდა მოვახდინოთ პროდუქციაზე და მომსახურებაზე გაანგარიშებული ოპტიმალური ფასებით. ფასების დისპარიტეტი, მათი შეკვეცა ან მონაწილეთა რომელიმე საწარმოს ჯგუფის მიერ შეგნებულად აწევა, არღვევს მათ შორის ნორმალურ ეკონომიკურ კავშირებს და ხელს არ უწყობს საბოლოო პროდუქციის (ბრენდის) წარმოებისა და რეალიზაციის ზრდას.

მართალია, დღეს ფასები სურსათზე იზრდება, მაგრამ ფასები მრეწველობის იმ პროდუქციაზე, რომელსაც ისინი მიასყიდიან სოფლის მეურნეობას - განსაკუთრებულად, წინმსწრები ტემპებით. როგორც წინა თავებში ავლნიშნეთ, ფასების პარიტეტის დაუცველობა კრიზისულ სიტუაციაში აყენებს, როგორც უშუალოდ სურსათმწარმოებლებს, ისე

მათი პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს.

მთელი აგრობიზნესის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელია სასურსათო და არასასურსათო საქონლის რაოდენობა, რომელიც მიღებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

აგრობიზნესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, საჭიროა მასში შემავალ ყველა დარგს შორის პროპორციული და დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, შრომის პირობების გაუმჯობესება და მუშაკთა მატერიალური დაინტერესების დონის ამაღლება საბოლოო პროდუქციის წარმოების პროცესის მთელ ციკლში. [17]

წარმოებული პროდუქციის სახეთა მიხედვით, აგრობიზნესი საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში იყოფა ცალკეულ პროდუქტიულ ქვეკომპლექსებად. ჩვენს რეალობაში, ჯერ კიდევ აგრარულ რეფორმამდე გამოკვეთა დაიწყო მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის აგროკომპლექსებმა, რომლებიც დღეისათვის ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, ამჟამად აღარ ფუნქციონირებენ.

რატომ არ შეიძლება ამჟამად, როცა დიდი მოთხოვნაა კარტოფილზე და მისი წარმოების მოტივაცია არსებობს, გასაღების გარანტირებული ბაზარიც უზრუნველყოფილია საანალიზო რეგიონში – სამცხე-ჯავახეთში, სადაც საუცხოო ბუნებრივ-კლიმატური პირობებია ამ პროდუქციის წარმოებისათვის, შეიქმნას, ჩამოყალიბდეს მეკარტოფილეობის პროდუქტიული აგრობიზნესის ქვეკომპლექსი-გაერთიანება, რომელშიც შევა რეგიონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მიმართულების მეორე დარგიც – მეცხოველეობაც. პირუტყვის მიერ შექმნილი ორგანული სასუქი ხომ უპირველესი პირობაა

ეკოლოგიურად სუფთა კარტოფილის მაღალი მოსავლიანობის მიღწევის საქმეში.

აგრობიზნესის ასეთ პროდუქტიულ ქვეკომპლექსში, გარდა ყველა სახის საკუთრებისა, სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, უნდა გავაერთიანოთ პროდუქციის და ნედლეულის გადამამუშავებელი და მისი გამსაღებელი საწარმოები და ფირმები, მომსახურე სამრეწველო ტიპის ყველა საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს ქვეკომპლექსში შემავალ ყველა საწარმოს მატერიალურ-ტენიკური რესურსებით (ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, პირუტყვის სადგომების ტექნიკური აღჭურვილობა და მანქანა-დანადაგრები, აგრეთვე მათი ტექნიკური მომსახურება), რათა უზრუნველყოთ საწარმოო პროცესში მექანიზაცია და ავტომატიზაცია და დარგის მთლიანად ინდუსტრიულ ფორმაზე გადაყვანა, როგორც ეს ევროპის განვითარებულ ქვეყნებშია.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირების საკითხს, იმის გამო, რომ სოფლის ეკონომიკა და მისი სასურსათო სექტორი ითვლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად, ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო, ასე თუ ისე, მაინც ერევა სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების ბაზრების დარეგულირებაში. ასეთი პოლიტიკის ფორმირება ხდება იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად წარმოიშობა ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობათა პრობლემა, რომლის მთავარ ელემენტად ითვლება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასების, და მაშასადამე შემოსავლების არამდგრადობა, მათი სოციალური უზრუნველყოფის დაბალი დონე, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, მთავრობის ჩარევა ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის ფასებში, მათ შემოსავლებში და ბაზრების საქმიანობაში,

ყოველთვის იწვევდა დავას საბაზრო ეკონომიკის სისტემაში. დღეისათვის არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება:

1. თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო, საერთოდ, პირდაპირ არ უნდა ახდენდეს გავლენას სასურსათო ბაზრებზე და მათ შემოსავლებზე;
2. ეკონომიკის სასურსათო ბაზრის მკაცრი რეგულირება საჭიროა, რადგან იგი სახელმწიფო საქმიანობის და არა კერძო ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა.

რეალურ პოლიტიკას უკავია შუალედური შეხედულება ამ ორ უკიდურესობას შორის. [1]

სახელმწიფო მარეგულირებელი პოლიტიკა მიმართულია უშუალოდ ფერმერთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისადმი. იგი უცილოდ გავლენას ახდენს სასურსათო მარკეტინგზეც და ძალზე არსებითადაც. ფასების მხარდაჭერა, სავარგულთა სხვადასხვა წილით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოყვანა (მიწების რეზერვირების პოლიტიკა), სახელმწიფო პროგრამები სურსათის მარაგების შექმნის სფეროში გავლენას ახდენს აგრობიზნესის სხვა კომპონენტებზეც. ისინი ირიბად ზემოქმედებენ იმ კომპანიების საქონლის გასაღების დონეზე, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა სრული სიმძლავრით დატვირთვაზე და სამომხმარებლო ფასებზეც.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქციის ფასების და შემოსავლების დაბალი დონე, როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, ბევრად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკრეტულ თავისებურებებზე ფერმერთა პროდუქციის უმეტესი ნაწილის

ელასტიკურობის მაღალ დონესთან დაბალი შემოსავლების დროს. ისინი, უხალისოდ იღებენ რა შემოთავაზებულ დაბალ ფასებს, ცდილობენ გაზარდონ თავიანთი მოგება წარმოების გაფართოებით. ეს იწვევს მიწოდების მრუდის კვების პროდუქტების არამოქნილი მოთხოვნის მრუდთან შეფარებით მარჯვნივ გადაადგილებას და ირღვევა მიწოდება-მოხმარების ბალანსი და ისინი ხვდებიან ისეთ სიტუაციაში, როცა სხვაობა პროდუქციის თვითღირებულებასა და მის სარეალიზაციო ფასებს შორის, ძალიან მცირდება. სოფლის მეწარმეებს არ შეუძლიათ ისე იმოქმედონ თავიანთი პროდუქციის მოთხოვნებზე, როგორც ამას აკეთებენ აგრომარკეტინგის ფირმები - რეკლამით, გასაღების ხელშეწყობის ღონისძიებებით და სხვა.

ამ სამარკეტინგო პრობლემების გარდა, სახელმწიფოს სურსათის ბაზრის ფუნქციონირებაში ჩართვის მოტივირება განპირობებულია სურსათის, როგორც სტრუქტუციული მნიშვნელობით, მოსახლეობის მისაღები ფასებით უზრუნველყოფის მიზნით. ეს საჭიროა აგრეთვე მათი სოციალური მდგომარეობის სტაბილურობისა და სახელმწიფოს პოზიციის გამაგრებისათვის საერთაშორისო საზოგადოებაში. [23]

ამიტომ იგი იძულებულია გარკვეული წილით დათმოს ეკონომიკური ეფექტიანობის დონე, ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებში მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტისათვის.

ფერმერულ მეურნეობებზე პირდაპირი დახმარებები, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაიწყო 1973 წლიდან, როცა იქ პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვიდან გადადიან პროდუქციის ფასდანიშნულების სისტემაზე, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში (მათ შორის, ჩვენს ქვეყანაშიც) ბოლო წლებში იყო. ფერმერებს ნება მიეცათ,

ეწარმოებინათ ანგარიშსწორება საწარმოო საშუალებებზე და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფირმებთან ბაზრის გაწონასწორების ფასების დონეზე. ამ უკანასკნელთათვის, საკომპენსაციო დანამატები დღესაც გაიცემა პირდაპირ სახელმწიფოსაგან. ასეთი უფლების მიღებისათვის, საკმარისია ფირმა თუ კომპანია მონაწილეობდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის რეგულირების პროგრამაში. იოლი წარმოსადგენია, როგორ აამაღლებდა ჩვენი ოჯახური მეურნეობის და ფერმერების მოტივაციის დონეს, თუ მთავრობა გადაწვეტდა ასეთი რეგულირების ფორმას ჩვენთანაც.

ოჯახური და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირებაში დაგროვილი გამოცდილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საზღვარგარეთ სოფლის მეურნეობაში წარმოების და მისი ეფექტიანობის მაღალი დონე, გაპირობებულია არა მარტო ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევებით, არა მარტო წარმოების სპეციალიზაციით და კონცენტრაციით, არამედ სახელმწიფოს პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებით ამ დარგში მიმდინარე პროცესების შედეგებზე.

წარმოების და მისი ეფექტიანობის დონის ამაღლების ერთ-ერთი სანიმუშო მეთოდი გამონახა ევროკავშირმა: საერთო ბაზრის მეშვეობით, საქონელი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია), მომსახურება, კაპიტალი და სამუშაო ძალა, თავსიუფლად ადადედინება ერთი ქვეყნიდან მეორეში კავშირის საზღვრებში. ამით ზრდიან კონკურენციას და წარმოების ეფექტიანობას მასში შემავალ ცალ-ცალკე, კონკრეტულ ქვეყანაში. ამით არის განპირობებული, რომ ბევრი ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც, რიგში დგას ასეთ კავშირში გაერთიანებისთვის.

მანამდე კი, წვრილი გლეხური (ოჯახური) მეურნეობების

ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, საჭიროა სახელმწიფოს მიერ პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარება მათ დასახმარებლად. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროტექციონიზმი ქვეყნის შიდა ბაზარზე, ამტკიცებს კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ შიდა ბაზარზე იმპორტული პროდუქცია უნდა იყიდებოდეს არა დემპინგური დაბალი ფასებით, არამედ საერთაშორისო ბაზრის ფასებით, მაშინ კონკურენცია ამ პროდუქტების პატრონებთან ჯანსაღი იქნება. ამის გაკეთებისათვის, სახელმწიფოს (მთავრობის) ნებაა საკმარისი. მაშინ ჩვენი გლეხიც ეცდება აწარმოოს მეტი და ხარისხიანი პროდუქცია. [39]

და მაინც, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზარიც უნდა ექვემდებარებოდეს თვითრეგულირების პრინციპებს. მთავრობის როლი (ისე, როგორც, ვთქვათ, საფრანგეთში ან იაპონიაში), უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საერთო ეროვნული პრობლემების გადაწყვეტით: ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია, ქვეყნის თავდაცვა, ჯანდაცვა, მეცნიერება, განათლება, სოციალური პრობლემები.

განსაკუთრებული ყურადღებაა გასამახვილებელი, მოსახლეობის სოციალური დონის ამაღლების საკითხისადმი. როგორც მთელ ქვეყანაში, ისე საანალიზო რეგიონ სამცხე-ჯავახეთშიც, მოსახლეობა, მათ შორის, სოფლის მოსახლეობის (გლეხების) სოციალურად დაცვის დონე ისეთი დაბალია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამასთან დაკავშირებით, ბევრი რამის გადმოდება უნდა მოხდეს განვითარებული ქვეყნებისგან. მაგალითად, იაპონიაში სოციალურ საჭიროებაზე მუშაკის ძირითად ხელფასზე დანამატები 40-ზე მეტი სახეობისაა და ძირითადი ხელფასის 40-50 პროცენტს შეადგენს. ესაა შენატანები სხვადასხვა სახის დაზღვევაზე (განსაკუთრებით, ეს ეხება ფერმერს, რომლის მუშაობა

გამუდმებულ რისკთან არის დაკავშირებული), საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურებაზე, უმუშევრობის, უბედური შემთხვევის კომპენსაციის, მარჩენალის დაკარგვის, სამედიცინო მომსახურების და ა.შ. ანალოგიური მდგომარეობაა შვეციაში და ნიდერლანდებში. მოსახლეობა აქ იურიდიულად და სოციალურად მაღალი ხარისხით არის დაცული. სამაგიეროდ, თითოეული მათგანი უყოყმანოდ იხდის გადასახადებს, რომელთა ჯამი ხელფასის 50 პროცენტს აღწევს. მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი მასვე დაუბრუნდება იმ მომსახურების ანაზღაურების სახით, რომელიც წინა მაგალითში ავლნიშნეთ.

ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობისათვის შექმნილია ე.წ. „სასათბურე პირობები“. ამიტომაც, რომ ეს ქვეყნები არა მარტო მთლიანად არიან უზრუნველყოფილი საკუთარი წარმოების სურსათით, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტიც ხდება.

ანალოგიური „სასათბურე პირობების“ შექმნა შესაძლებელია საანალიზო მეკარტოფილეობის დარგის ეფექტიანობის ამაღლებისათვის და შემდგომი განვითარებისათვის, რათა შევქლოთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კარტოფილით მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება, არამედ გავიტანოთ ექსპორტით საზღვარგაერთაც. ამის გამოცდილება ხომ გვქონდა – საადრეო კარტოფილი ათეულათასობით ტონა გაგვქონდა სხვა ქვეყნებში.

დასკვნები და წინადადებები

დასკვნები

1. აგრარული რეფორმის შედეგად, სოფლის საქონელმწარმოებლებმა მიიღეს მოწეული პროდუქციის რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნის, შემოსავლების გამოყენების თავისუფლება. შექმნილია ბაზარზე კონკურენციის პირობები და სხვა;

2. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის აგრარული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე წარმატებით გადასვლისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების გათავისუფლება. სურსათზე მოთხოვნილებას მოსახლეობა მხოლოდ ბაზარზე იკმაყოფილებს და თუ ჯერ ამ დაკმაყოფილების დონე საკმაოდ დაბალია, ეს მათ მსყიდველობითუნარიანობის დაბალ დონესთან არის დაკავშირებული;+

3. დადგინდა, რომ ქვეყნის აგრარულ სექტორში დღეისათვის ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა მექანიზმის მოდელი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს დარგის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას, რამაც მიგვიყვანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის დაცემამდე და მოსახლეობის საკვები პროდუქტებით არასრულ დაკმაყოფილებამდე.

4. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მოხდა ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებასა და სპეციალიზაციაშიც. მის სტრუქტურაში შემცირდა საექსპორტო, მაღალშემოსავლიანი ისეთი პროდუქტების წარმოების ხვედრითი წილი, როგორცაა ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსი, თამბაქო და სხვა.

სამაგიეროდ, გაიზარდა სასიცოცხლოდ აუცილებელი ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორცაა რძე, ხორცი, კარტოფილი, მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საჭირო შეიქმნა მოსახლეობის მოთხოვნილებების ნაწილობრივი დაკმაყოფილება მაინც საკუთარი წარმოების საკვები პროდუქტებით. აუცილებელი გახდა მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარება, რამაც, როგორც ჩვენმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, მიგვიყვანა სპეციალიზაციის დონის მკვეთრ შემცირებამდე ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში;

5. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ შემცირებას მოჰყვა სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების ეკონომიკური კრიზისი. მათი პრივატიზაციის პროცესი იგვიანებს. მათი უმრავლესობა, ჯერ კიდევ სახელმწიფო სექტორშია, იმ დროს, როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გაბატონებული ფორმა გახდა კერძო საკუთრება. ამან გაწყვიტა მათ შორის კავშირები, დააჩქარა კერძო სექტორში ნატურალური, კარხაკეტილი ტიპის მეურნეობის რეამინაციის პროცესი, ხოლო თვითონ გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები უნედლეულოდ დარჩნენ, რის გამოც, ძლიერ ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ და თითქმის შეწვეტილი აქვთ მუშაობა;

6. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონე კრიტიკულად მიჩნეულ 0,5 ნიშნულზე გაცილებით დაბალია (0,3). ბოლო პერიოდშიც კი არ შეინიშნება ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების ტენდენცია დი იგიც უპირატესად, სასურსათო პროდუქტების იმპორტის ხარჯზეა მიღწეული. ამიტომ, სურსათით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს სასურსათო ბაზრის რაციონალურ სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის გამოყენებას, მის თვითრეგულირებასთან ოპტიმალურ შეთანაწყოებაში

მოსაყვანად. ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის ბაზრის წარმატებით განვითარების პერსპექტივა უახლოეს წლებში განუხორციელებლად გვესახება.

7. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, როგორც მთელ ქვეყანაში, ისე საკვლევ რეგიონში, გამოიკვეთა მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილის და მარცვლეულის წარმოებით ოჯახური მეურნეობების დაინტესების ზრდა. ბოლო, 1997-2004 წლებში, ტენდენციური გახდა ამ პროდუქტების და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის ზრდა, რადგან მათ გასაღების (რეალიზაციის) გარანტირებული შიდა ბაზარი აქვთ. ამ სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილება სიდუხჭკის გამო, ელასტიკური გახდა, ხოლო ოჯახური მეურნეობებისთვის შემოსავლის ძირითად წყაროთაც იქცა. ასეთი ტენდენცია ნიშნავს იმას, რომ ამ სახის პროდუქტების (განსაკუთრებით, ხორბლის, კარტოფილის და მეცხოველეობის პროდუქტების) წარმოებას ეკონომიკური მოტივაცია ნამდვილად გააჩნია;

8. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და სურსათის ბაზრის წარმატებით განვითარების პერსპექტივა უახლოეს წლებში უიმედოდ გვესახება. თუ კვლავ შენარჩუნებულ იქნება მკაცრი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, მაშინ აგროსექტორში წარმოების მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდება. მის განვითარებაზე მოქმედებს შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები: სასოფლო-სამეურნეო და სარემეწველო პროდუქციის ფასების პარიტეტი, ინფლაციის დინამიკა, კრედიტებზე განაკვეთების პროცენტები, მოსახლეობის გადამხედველუნარიანობის

დონე, საბიუჯეტო პოლიტიკა, მართვის სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების მდგომარეობა.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან დღეისათვის მხოლოდ ინფლაციის დონე წარმოადგენს შედარებით დამაკმაყოფილებელს, ისიც მოსახლეობის დაბალი ხელფასებისა და მათი თვეობით გაუცემლობის ხარჯზე; ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება; საწარმოო რესურსების განუახლებლობა, მათი მოდერნიზაციის შესაძლებლობის უქონლობა; მილიონზე მეტი წვრილი, ოჯახური მეურნეობის საქმიანობისათვისაც მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფის შეუძლებლობა და სხვა, საშუალებას არ გვაძლევს ვივარაუდოთ კრიზისის მხოლოდ ინერციით გადალახვა, თუ ძირეულად არ შეიცვალა აგრარული ბაზრის მექანიზმის ფორმირებისადმი დამოკიდებულება, ამ კრიზისის პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

წინადადებები

არსებული მდგომარებიდან გამოსვლისათვის საჭირო პირობების შექმნისათვის მთავარ მიმართულებად მიგვაჩნია შემდეგი:

1. დარგთაშორისი ურთიერთობების სრულყოფა, მიზნობრივი და გარანტირებული ფასთა სისტემის გამოყენების საფუძველზე. ენერგორესურსებზე ფასების ზრდის შეზღუდვა, საგადასახადო და საკრედიტო შეღავათების შემოღება იმ დარგებისათვის, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობისათვის რესურსებს;

2. მაკროეკონმიკური სიტუაციის გაჯანსაღება და პირველ რიგში, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დონის ამაღლება. სამამულო სურსათმწარმოებლების დაცვა შიდა ბაზარზე სუსათის იმპორტიორების ექსპანსიისაგან და არაკეთილინდისიერი კონკურენციისაგან;

3. სოფლის სურსათმწარმოებლების კოოპერატივებში, აქცონერულ საზოგადოებებში და ასოციაციებში გაერთიანებასდმი კომერციულ-სავაჭრო ორგანიზაციებთან და გადამამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრაციის ხელშეწყობა;

4. საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფა. შეღავათიანი დაკრედიტების სპეციალური ფონდების ფორმირება საწარმოო მიზნებისათვის და პროდუქციის ბაზარზე გასაღებისათვის. ყოველივე ამისათვის, აუცილებელია აგრობიზნესის სახელმწიფო ბანკის ფუნქციონირება;

5. ბაზრის ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარებისადმი, მათ შორის, მსხვილი, საბითუმო და საცალო სასურსათო, აგრეთვე ადგილობრივი ბაზრების, სასაქონლო ბირჟების, აუქციონების, ბაზრობების და ვაჭრობის სხვა ფორმების ჩამოყალიბებისადმი

ფინანსური და ორგანიზაციული ხელშეწყობა;

6. აგრარული რეფორმის სრულყოფისათვის, მის დამამთავრებელ ეტაპზე მაინც, აუცილებელია შემუშავდეს აგრარული სექტორის განვითარების პროგრამა;

7. სასურათო ბაზართან ერთად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს აგრარული ბაზრის შემადგენელი სხვა ბაზრებიც - მიწის, შრომის, კაპიტალის, წარმოების საშუალებების და სხვა. მათი დარეგულირება უნდა წარმოებდეს სახელმწიფო აგრარული პოლიტიკით;

8. სასურათო ბაზარს ხშირად ქაოსი ახასიათებს. ყველამ რომ მხოლოდ იმ სახის პროდუქცია აწარმოოს, რომელიც მათ მაქსიმალურ მოგებას ძლევს, ქვეანაში წარმოიქმნება ისეთი პროდუქტების დეფიციტი, რომელიც ადამიანის კვების რაციონში აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ამტომ მათი დარეგულირება სახელმწიფოს მიერ უნდა წარმოებდეს. სტქიურად მოქმედი თავისუფალი ბაზარი, ზოგჯერ ლაგმის ამოდებას საჭიროებს.

9. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საბაზრო პირობებისადმი ადაპტირებისათვის, საჭიროა სურსათმწარმოებლებისათვის მომქედებდეს მხოლოდ ერთი, მათთვის გასაგები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ფიქსირებული გადასახადი;

10. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ფასებს შორის ზრდის პარიტეტის დაცვა;

11. ქვეყნის სამთო მიწათმოქმედების რეგიონებში, რომლებსაც საკვლევი რეგიონიც მიეკუთვნება, სხვადასხვა ფორმის კოოპერაციის განვითარება უნდა გახდეს ოჯახურ მეურნეობათა შემდგომი განვითარების გარანტი. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ

კანონის“ მიღება ერთერთი პირველი რიგის ამოცანაა;

12. ფერმერული მეურნეობების განმტკიცებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სწორ გზად მიგვაჩნია მათი, როგორც ნედლეულის მწარმოებლების ინტეგრაცია პროდუქციის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებთან საკონტრაქტო აქტებისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ამით მოხდება მათი ეკონომიკური ინტერესების თანხედომა;

13. აგარარული სექტორის საფინანსო-საკრედიტო მომსახურების სფეროს ჩამოყალიბება-განვითარებისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის საფინანსო-საკრედიტო ბაზრის ფორმირება. ეს ხელს შეუწყობს ოჯახური მეურნეობისა და ფერმერებისათვის შეღავათიანი დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი კრედიტების გაცემის დამკვიდრებას. მათი წლიური საპროცენტო განაკვეთები, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, 5-10%-ს არ უნდა აღემატებოდეს და არა 18-10%-ს, როგორც ჩვენთანაა;

14. არანაკლებ საჭიროა აგარარულ სექტორში ახალი ტიპის დაზღვევის სისტემის ფორმირებაც, რომლის გარეშეც, წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნორმალური ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

15. სასურსათო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ძალზე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მისი შესაბამისი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ქვეყანაში არსებითად ნელი ტემპით მიმდინარეობს;

16. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სურსათმწარმოებლებმა ფსონი უნდა გააკეთონ შემოსავლის გასაზრდელად, არა მარტო დანახარჯების შემცირებაზე, არამედ პროდუქციის ხელსაყრელ

გასაღებაზეც. ამიტომ, აგროსამრეწველო წარმოების სამეწარმეო საქმიანობის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს სამარკეტინგო საქმიანობას, რომელიც უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი დამატებითი და აუცილებელი სფერო. ამისათვის აუცილებელია დარგში შეიქმნას მარკეტინგული მომსახურების და კონსულტაციებისათვის სრულფასოვანი და საიმედო საინფორმაციო სისტემა, პირველ რიგში, ერთიანი სამარკეტინგო ცენტრი, რომელიც უზურნველყოფს, როგორც მწარმოებლებს, ისე მომხარებლებს ინფორმაციით პროდუქციის ფასებზე, ბაზრის კონიუნქტურაზე და სხვა;

17. პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს საინვესტიციო ბირჟამ, რომელიც ტენდერის და კონკურენციის წესით, განახორციელებს მათ პრივატიზაციას და ინვესტიციების მოზიდვას. საჭიროა ამ საქმეში დონორი ქვეყნების დახმარების პროექტების, პროგრამების და გრანტების გონივრული გამოყენებაც;

18. მიწის ბაზრის დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: მიწების გაცემა უცხოურ ფირმებზე ან მოქალაქეებზე მოხდეს მხოლოდ იჯარის პირობით; მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში (გარიგებაში) საადგილმამულო ბანკის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების აუცილებელი მონაწილეობა, რათა მიწის მყიდველები არ გახდნენ მხოლოდ მსხვილი კომერციული სტრუქტურები და ცალკეული პირები, რომლებიც გამოიყენებენ მას არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. მთელი ძალისხმევა წავმართოთ მიწის იჯარით გაცემის ვარიანტის დამკვიდრებაზე;

19. მთის ზონის სოფლებში მოსახლეობის დამაგრების მიზნით,

მომუშავენი მთლიანად უნდა განთავისუფლდნენ სახელმწიფო დაბეგვრისაგან და პირიქით, მოხდეს მათი სუბსიდირება მთის სოფლებში მოსახლეობის დარჩენისა და ტურიზმის პირობების შექმნისა და განვითარებისათვის;

20. ჩამოყალიბდეს ისეთი საბირჟო სისტემა, რომელიც დაიცავს ქვეყნის სურსათმწარმოებლებს საგარეო ექსპანსიისაგან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების აგრარულ ეკონომიკასთან ურთიერთობა წარმოებდეს ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების საწყისებზე და არა სტიქიურად;

21. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრის სრულყოფისათვის, საჭიროა „აგროტექსერვისის“ (კომერციული) რაიონული ფილიალების გახსნა, რომლებიც, გარდა მომარგებისა და რემონტისა, საწარმოო მომსახურებასაც გაუწევენ ოჯახურ მეურნეობებს;

22. მეცხოველეობაში მიღწეული დონის შენარჩუნებისათვის, სახეზე არსებული პირუტყვის სულადობის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო იქნება საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავლების სახელმწიფო ფონდიდან გამოიყოს გარკვეული რაოდენობის ფულადი სახსრები, რომელიც საკმარისი იქნება საჭირო კომბინირებული საკვების ქვეყნის გარეთ შექმნისა და შემოტანისათვის;

23. დაუყოვნებლივ სახელმწიფო ჩარევას საჭიროებს მეფრინველეობის აღდგენა. საჭიროა მხოლოდ მისი სასწრაფო პრივატიზება. ინვესტირების თვალსაზრისით, ეს დარგი, თავისი ეფექტიანობით, ძალზე მიმზიდველია;

24. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში რეგულირებისა და პროტექციონიზმის პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების მთლიანი გადასინჯვა;

25. საქართველოს აგარარული სფეროს საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ათწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მთელი რიგი დებულებებისა და მეთოდების არასრულყოფილება და მიუღებლობა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- მივაღწიოთ ბაზრის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო დარეგულირების შეთანაწყოებას;
- ბაზარზე საკუთრების ყველა ფორმისა და ორგანიზაციის სუბიექტების თანასწორუფლებიან მონაწილეობას იმ პირობით, რომ ისინი წარმოადგენენ რეალიზებული პროდუქციის და მისგან მიღებული შემოსავლის რეალურ მესაკუთრეებს;
- ეკონომიკურ გარდაქმნათა თანდათანობა, რადგან იგი სურსათმწარმოებელთა საბაზრო ურთიერთობებისადმი ადაპტაციის ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს; ამ დიდი ხნის მომწიფებული ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელება, პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის განხორციელებასთან ერთად, გამოიწვევს საბაზრო ურთიერთობათა რეალურ ამაღლებას.

26. შესაშური საექსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაში, ინსტიტუციონალური და სტრუქტურული რეფორმების, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოფლის მეურნეობის დარგში არსებული კრიზისის დასაძლევად, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მისი სოციალურ-ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებისა და პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის;

27. აგარარული სექტორის სახელმწიფოებრივ რეგულირებას მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მის ცალკეულ რეგიონებში. მისი შემდგომი განვითარება უამისოდ წარმოუდგენელია.

ეროვნული ეკონომიკის ამ დარგში, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოებრივი ინტერვენტიზმის პოლიტიკა – სახელმწიფო უნდა ჩაერიოს მის საქმიანობაში და შეიტანოს კორექტირება არასასურველ ტენდენციებში, რომელიც შეიქმნა აგარარულ რეფორმებში დაშვებული შეცდომებით და სხვა ნეგატიური მოვლენებით. ამით მას მიეცემა დარგში მიმდინარე პროცესების ეფექტური მართვის დარეგულირება – დარეგულირდეს სასურსათო ბაზრების ფუნქციონირება, სად წარმოებს ოჯახური მეურნეობების პროდუქტების რეალიზაცია, ისე, რომ თანაბრად დაცული იქნეს, როგორც მათი, ისე მომხმარებლის ინტერესები; სამამულო წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დაცული იქნას აგრეთვე იმპორტული პროდუქციის ექსპანსიისაგან, თუნდაც ამისათვის ჯერჯერობით მაინც მოგვიხდეს მინიმალური ფასების დაწესება.

ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს ახალი, ოპტიმალური საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა და დადგინდეს მოქნილი სატარიფო სისტემა. იმპორტირებულ პროდუქტზე უნდა დაწესდეს მკაცრი, ხოლო სამამულოზე – შეღავათიანი ტარიფები.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში რეალურად ჩაწერისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სურსათის მწარმოებელ ოჯახურ (გლეხურ) მეურნეობებს კანონმდებლობით მიენიჭოთ სასოფლო-სამეურნეო მეწარმის (ინდივიდუალური ან იურიდიული პირის) სტატუსი, ხოლო მათი რეგისტრაცია განხორციელდეს სასამართლო-სამეწარმეო რეესტრში.

28. მეკარტოფილეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის დაბალ

დონეს იწვევს კარტოფილის მოსავლიანობის დაბალი დონე. იმის ნაცვლად, რომ ჰექტარზე მიღებული იქნეს სულ ცოტა, 200-250 ცენტნერი, ფაქტიურად, რეგიონში საშუალოდ, იღებენ 100-120 ცენტნერს. ამიტომ ინვესტიციებით ჩადებული კაპიტალური დანახარჯების კომპენსაცია ვერ ხერხდება;

29. დარგში ძირითადი საწარმოო აქტივების (ფონდების) გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს მისი სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებს შორის ოპტიმალური შეთანაწყობის დაცვა. ზონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციიდან გამომდინარე, დადგენილ იქნა, რომ მათში 30% უნდა მოდიოდეს მეკარტოფილეობაზე, 45% - მეცხოველეობაზე, 9,7% - სხვა დანარჩენზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდლულაძე რ. და სხვები. სახელმწიფო ინტერნაციონალიზმი სოფლის მეურნეობაში. ასკ-ის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საიუბილეო შრომათა კრებული. თბ., 1999. გვ. 28-35.
2. აგრარული რეფორმის განხორციელებისა და კრიზისიდან გამოსვლის პირობები საქართველოში (სამეურნეო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები). საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1994.
3. ბურკაძე ვ., ჭინჭარაული ნ. აგროსამრეწველო კომპლექსი, მიზანი. რეალობა. ჟ. „ეკონომიკა“. №6-8, 1994. გვ. 17-19.
4. გამოყენებითი ეკონომიკა (თარგ. ინლისურიდან). „მარიხი“. თბ., 1997.
5. ელიზბარაშვილი ზ. მათემატიკური დაპროგრამება, ს/მ-ის საწარმოო სისტემების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელიერება. „მეცნიერება“. თბ., 1991.
6. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 1996.
7. ვარიანი ჰელ. მიკროეკონომიკა. თანამედროვე მიდგომა (თარგ. ინგლისურიდან). „დიოგენი“. თბ., 1998. გვ. 13-34.
8. კოლუაშვილი პ., გიორგაძე კ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემებიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. „მერანი“. თბ., 1999.
9. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. „მეცნიერება“. თბ., 1997.

10. კემბელ რ., მაკონელ სტენლი, ლ. ბრიუ. ეკონომიკსი. (თარგ. ინგლისურიდან). ნაწ. I. „საქპროფგამი“. თბ., 1993. გვ. 62-75.
11. ლუკასი რ. საბაზრო ეკონომიკა. (თარგ. ინგლისურიდან). ფინანსთა სამინისტრო. თბ., 1997.
12. საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2002. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2002.
13. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2004. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2005. გვ. 14.
14. ულრიხ ფული, პეტერ ობერენდერი. მიკროეკონომიკის საფუძვლები. (თარგ. გერმანულიდან). თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი. თბ., 1998.
15. ქარქაშაძე ნ. მსოფლიოს სოფლის მეურნეობა. „განათლება“. თბ., 1993.
16. ანდლულაძე რ. აგრარული რეფორმა: მთავარი მიმართულებები, განხორციელებული გზები. ჟ. „ეკონომიკა“. 1994. №4-5.
17. ბურკაძე ვ. აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებები. ჟ. „ეკონომიკა“. №6-8, 1994.
18. გიორგობიანი ო., საღარეიშვილი ო. ასკ-ის საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები და მათი მართვის სიძნედეები. ჟ. „ეკონომიკა“. №4-6, 1994.
19. დიდებულიძე ა. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში. პრობლემები და პერსპექტივები. გაეროს პროგრამა – საქართველო. თბ., 1997.
20. გაშაკიძე ო. სოფლად კოოპერირება და აგროსამრეწველო ინტეგრირება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა

- გამოყენების საფუძველზე აუცილებელია. სმედმს-ის შრ. კრებული. ტ. 12. თბ., 1996.
21. თელია ა. მიწის პრივატიზაცია ქართული სოფლის აღორძინების რეალობა. შ. „ეკონომიკა“. №10-11, 1992.
 22. კიკნაველიძე ა. მიწათმოქმედება: მდგომარეობა, განვითარების გზები. შ. „ეკონომიკა“. №6-71, 1993.
 23. მანველიძე რ. აგრარული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება: „აჭარა“, ბათუმი, 2002.
 24. ნოზაძე ლ., ელიზბარაშვილი ზ. საბაზრო ურთიერთობათა რეგულირება აგროსამრეწველო კომპლექსში. შ. „ეკონომიკა“. №6-71, 1994.
 25. ტურაბელიძე ნ. მიწის რესურსები და მათი გამოყენების პროგნოზირება. საქ. განათლების სამინისტრო. აგრარ. უნივერსიტეტი. თბ. 1996.
 26. ქეშელაშვილი თ. ბიზნესის ორგანიზაცია. თბ. 1995.
 27. პაპავა ვლ. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. „მეცნიერება“. თბ., 1995.
 28. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. „საქართველო“. თბ. 1993.
 29. ძნელაძე დ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. „საქართველო“. თბ. 1991.
 30. ბადრიშვილი გ. კარტოფილის კულტურა საქართველოში. თბ., 1963.
 31. ზედგინიძე ლ. კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის შესახებ. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

- შრომების კრებული. ტ. VI. თბ. 2002.
32. გელაშვილი თ., ზედგინიძე ლ. მეკარტოფილეობის მდგრადი განვითარების პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთში. სსსუ-ს სამეცნ. შრ. კრებული. „აგრარული მეცნიერების პრობლემები“. ტ. XXXII. თბ. 2005.
 33. ზედგინიძე ლ. მეკარტოფილეობის ისტორია და მისი წარმოების განლაგება სამცხე-ჯავახეთში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი. ახალგაზრდა მეც. მუშაკთა შრომების კრებული. თბ. 2002.
 34. ყამარაული ს. წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში. თბ. 2000.
 35. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიები საქართველოს მთიანეთში. ავტორთა ჯგუფი. თბ. 2000. ქ. „ქვა საერთაშორისო საქართველოში“.
 36. ნათაძე ნ. სამცხე-ჯავახეთის ბუნების საგანძური. ა/ო კავშირი „აწყური“. ახალციხე. 2004.
 37. ასათიანი რ. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში. თბ. 2002.
 38. ბურკაძე ვ., საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. №2. 2001. თბ.
 39. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზი. „კოლორი“. თბ., 2004.
 40. საქართველოს სსრ სახ-სამ. წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და ს/მ-ის გაძღოლის სისტემები. ტ. I, II, III. თბ. 1960.

41. ქეშელაშვილი ო. აგრარული სექტორი კრიზისიდან რომ გამოვიდეს. ჟ. „ეკონომიკა“. №4-5, 1994.
42. ულენტი პ., ქეშელაშვილი ო. საქართველოს სას-სამ. სპეციალიზაცია და ინტეგრაცია. „საბჭოთა საქართველო“. თბ. 1977.
43. სოფლის მეურნეობის ნორმატიულ-საცნობარო მასალების კრებული. „მეცნიერება“. თბ. 1971.
44. ნიკოლეიშვილი მ. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სპეციალიზაციის დონის განსაზღვრა და შეფასება. ჟ. „ეკონომიკა“. №3-4. 2000.
45. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქ. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის სახ-ფო დეპარტამენტი. თბ. 2005.
46. გავაშელიშვილი გ. მეცმენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური შეფასება. თბ. 2005.
47. „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“. კონფერენციის მასალები. რიო-დე-ჟანეირო. 1992. თავი 14.
48. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიები. თბ. 2000. გვ. 17.
49. გლეხური (ფერმერული) მეურნეობათა მოდელირების შესახებ. ჟ. „ეკონომიკა“. №6-7. 1993.
50. სავენკო ნ. და სხვები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა. (თარგმანი). „განათლება“. თბ. 1985.
51. Альферьев В., Федотов А. Формирование рынка средств производства.

- Ж.. «АПК: экономика, управление». №1. 1992.
52. Анализ аграрных и производственных рынков. Ж.. «АПК: экономика, управление». №2. 1992. с.36.
53. ИНТТЭСХ, Рыночные отношения в агропромышленном производстве России. М. 1996. с. 15-26, 34-38.
54. Дашков Л.П. и др. Предпринимательство и бизнес. Информационно-внедреченский центр. «Маркетинг». М. 1996. с. 26-30.
55. Дорофеева Н., Жуков Н. Развитие агросервиса рыночной экономики. Ж.. «АПК: экономика, управление». №1. 1992.
56. Еникиев В.Г. и др. Экономика аграрного рынка. Изд. Уральского гос. университета. Екатеринбург. 1994. с.12-31.
57. Исаксен А., Гамильтон К., Гульфасон Т. Экономика переходного периода. От плана к рынку. кн. 1. (пер. с англ.). СОВ-ВИП. М. 1993. с.15-30.
58. Коваленко Н.Я. Экономика сельского хозяйства с основами аграрных рынков. Изд. ЭКМОС. М. 1989. с.72-78, 162.
59. Лингарт К., Янда К. Рыночные отношения и обеспечение продовольствием. Ж.. «АПК: экономика, управление». №2. 1992. с. 70-73.
60. Крупич А. Государственное регулирование АПК в условиях рынка. Ж.. «АПК: экономика, управление». №1. 1992. с. 42-46.
61. Машина М.В. Экономическая азбука. «Международное отношение». М. 1995. гл.2.
62. Макконел К.Р., Брю С.Л. Экономикс: принципы, проблема и политика. В 2-х томах (пер. с англ.) «Туран», Бишкек. 1996.
63. Маркетинг сельхозпродуктов. «АПК: экономика, управление». №1. 1992. с. 46.

- 64.Петраков А. Специфика сельского хозяйства и современная аграрная реформа в России. Энциклопедия российских деревень М. 1995.
- 65.Международный сельскохозяйственный журнал. №2. 1992. с.14.
- 66.Ричард Л., Кольз и Джозеф Н. Ул. Маркетинг сельскохозяйственной продукции (перев. с англ.) «Колос». М. 2000. с.369-370.
- 67.Рудаков Н. Сельскохозяйственный Маркетинг. «АПК: экономика, управление». №4. 1992. с. 52.
- 68.Серова Е.В. Аграрная экономика. Тасис. М. 1999. с.17-67.
69. Сельскохозяйственные рынки. «Колос». М. 2001. с. 262.
- 70.Сельскохозяйственное производство и маркетинг. «АПК: экономика, управление». №3. 1992. с. 62-66.
- 71.Эдвин Дж Долан, Девид У. Линдсей. Микроэкономика. АО «Санкт-петербург оркестр». Санкт-петербург. 1994. с.59-81.
- 72.Чекотовский Э., Головкин В. Многофакторный анализ «АПК: экономика, управление». №2. 1991.